საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
ხაზების ტელეფონი 16—80
ექსპედიციის 5—48.

დღიური

— ერთა ლიგის სესია გაიხსნება 2 სექტემბერს ჟენევაში.
— მუნიციპალურ არჩევნებში გულლის ორ რაიონში (ინგლისი) მუშათა პარტიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა.
— ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიამ მოწოდებით მიმართა მუშებს ომის საკითხის შესახებ.
— მემაღაროეთა ბელადების და მთავრობის წარმომადგენლების თათბირი უშედეგოთ დამთავრდა.
— პარასკევს საბჭოთა კავშირში ჩამოვა ინგლისის მემაღაროეთა დელეგაცია.
—26 აგვისტოს ჰელსინგფორსში დაიწყო მოლაპარაკება ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადებათ.

შაბათი, 28 აგვისტო 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 195 (1740)

სოციალური დაზღვევის საკითხები

სოციალურ დაზღვევის ორგანოთა მძიმე ფინანსიური მდგომარეობა, რომელიც დღეს თითქმის საყოველთაო მოვლენათ გადაიქცა, არ წარმოადგენს, რასაკვირველია, მხოლოდ დაზღვევის საქმის საჭირბოროტო საკითხს. მას უახლოესი კავშირი აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებასთან.

როგორც ვიცით, სოციალურ დაზღვევის ფინანსიურ წყაროს წარმოადგენს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ანარიცხები. თუ დღეს დამზღვევი ორგანოები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, ეს იმიტომ, რომ დღითი-დღე იზრდება დაწესებულება-წარმოებათა დავალიანება დამზღვევ სალაროსადმი. სად უნდა ვეძებოთ ამის მიზეზები? აქვს თუ არა ამ შემთხვევაში ადგილი ბოროტგანზრახვას ანარიცხების გადამხდელთა მხრივ, თუ ეს სხვა გარემოებითაა გამოწვეული?

აშკარაა, რომ ამ მოვლენის მიზეზები გაცილებით უფრო რთული და მრავალფეროვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით მოგვეჩვენება. თუ ეს არა, რით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ჩვენში წლიდან წლამდე სოციალურ დაზღვევის ანარიცხების საშუალო ტარიფი მცირდება და დაწესებულება-წარმოებათა დავალიანება კი იზრდება. ასე მაგალითად, 1924 წელში სოციალურ დაზღვევის ანარიცხების საშუალო ტარიფი უდრიდა 15,2 პროც., 1925 წელში კი —12,36 პროცენტს. მაგრამ ამ დაკლებამ მდგომარეობა ვერ გამოასწორა. პირიქით, დავალიანება დამზღვევ ორგანოებისადმი შეუჩერებლივ იზრდება.

ცხადია, აქ მარტო საშუალო ტარიფის დაკლების გზით საქმეს თავი არ მოევლება. პირველ ყოვლისა საჭიროა თვითეულ ტიპის წარმოება - დაწესებულებათა ტარიფების გადასინჯვა და ისეთი ნორმების დაწესება, რომლის გადახდასაც პირნათლად შესძლებს ის. დღეს ჩვენ ზოგჯერ ისეთი მდგომარეობა გვაქვს, როცა სოციალურ დაზღვევის ანარიცხები მძიმე ტვირთად აწვება წარმოებას და ნორმალურ განვითარების საშუალებას უსპობს მას.

საქართველოს მრეწველობაში დაბანდებულ მუშა - მოსამსახურეთა ხელფასის ყველა ზედნართ ხარჯებში მარტო სოციალურ დაზღვევის ანარიცხები შეადგენს თითქმის 82 პროცენტს. ასეთი მდგომარეობა, ცხადია, არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს.

ამიტომ ერთ მთავარ საშუალებათ სოციალურ დაზღვევის ორგანოთა ფინანსიურ ხელმოკლეობის დაძლევის საქმეში, უნდა მივიჩნიოთ ანარიცხების ტარიფების გადასინჯვა და მათი დაწესებულება-წარმოებათა რეალურ შესაძლებლობასთან შეფარდება. ეს ერთნაირად სასარგებლოა, როგორც ჩვენი მეურნეობის განვითარების, ისე თვით სოც. დაზღვევის ორგანოთა ფინანსიურ მდგომარეობის გამტკიცებისათვის.

ამასთან ერთად ჩვენ ვიცით ზოგჯერ ისეთი შემთხვევები, როცა დაწესებულება-წარმოებას შესაძლებლობა აქვს შეიტანოს ხვედრი ანარიცხი სოციალურ დაზღვევის სალაროში, მაგრამ ის არ იჩქარის, ფეხს ითრევს. ზოგჯერ სოციალურ დაზღვევის ანარიცხებს მეორე ხარისხოვან საკითხად უყურებენ. დავალიანებას გაისტუმრებენ მაშინ, როცა ყველა სხვა საჭიროებანი დაკმაყოფილებულია. ასეთ ზერელე დამოკიდებულებას სოც. დაზღვევის საქმისადმი სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. ჩვენ ვიცით, თუ რა უაღრესი მნიშვნელობა აქვს სოციალურ დაზღვევას წარმოების მუშაობასთან. ამიტომ დაწესებულება - წარმოებებმა ერთხელ და სამუდამოდ კანონად უნდა დაიდვან სოც. დაზღვევის ანარიცხების თავის დროზე და უკლებლივ გასწორება.

მაგრამ სოც. დაზღვევის ორგანოთა ფინანსიურ დაბრკოლების საკითხი მარტო ამით არ ამოიწურება. დიდი მნიშვნელობა აქვს არსებულ მდგომარეობის გამოსასწორებლად თვით დამზღვევ აპარატის მუშაობის გაჯანსაღებას. აქ კი, როგორც ვიცით, გასაკეთებელი საკმაოზე მეტიც მოიძებნება.

პირველყოვლისა აღსანიშნავია ერთი მეტად საგულისხმო გარემოება. ესაა ერთგვარი ქველმოქმედება დამზღვევ სალაროების ხარჯზე, რომელსაც იჩენენ ჩვენს წარმოება - დაწესებულებებში ბევრ შემთხვევაში დამზღვევი სალაროები ავადმყოფებს მეტ დახმარებას აძლევენ, ვიდრე ეს კანონითაა დათვალისწინებული. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ სათანადო ორგანოები სისწორით არ აღნიშნავენ ავადმყოფ მუშის ხელფასს. ისინი „გულკეთილობას“ იჩენენ დამზღვევ სალაროს ხარჯზე.

ამიტომ საჭიროა გავადიდოთ იმ პირთა პასუხისმგებლობა, ვინც განაგებს ავადმყოფ მუშა - მოსამსახურეთათვის ხელფასის შესახებ ცნობების მიცემას. ეს მით უფრო, რომ ამგვარი „გულკეთილი“ პირების მეოხებით დიდათ ზარალობს ჩვენი დამზღვევი ორგანოები.

ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზედნართი ხარჯების შემცირებას თვით დამზღვევ ორგანოების მუშაობაში. პირველყოვლისა უნდა შემცირებულ იქნას აპარატის შესანახი ხარჯები. უნდა შემოკლდეს მივლინებები, მსუბუქი ტრანსპორტის გასავალი, უნდა გადაისინჯოს აგარაკების შესანახი ხარჯები და სხვა. ცხადია, აქ ბევრის დაზოგვა შეიძლება.

გარდა ამისა, შემჩნეულია, რომ სოციალურ დაზღვევის სალაროთა გასავალის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ფულადი დახმარება დროებით დაავადმყოფებულებზე. აქ ერთხელ კიდევ ისმება ჩვენს წინაშე სიმულიაციის და სამუშაო დროის უმიზეზოდ გაცდენის საკითხი. როგორც ვხედავთ, ამ მავნე სენის უარყოფითი გავლენა ერთ და იმავე დროს წარმოებაშიაც იჩენს თავს და დამზღვევ ორგანოთა სალაროებსაც ზედმეტ მძიმე ტვირთად აწვება. ამიტომ დროებით დაავადმყოფებათა გამო გაცემულ დახმარების დროს სოც. დაზღვევის ორგანოებს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ.

აქ ყველაზე მეტად საჭიროა მჭიდრო კავშირი პროფესიულ ორგანიზაციებთან. უნდა ყურადღება მიექცეს აგრეთვე დამზღვევ სალაროს ექიმების მუშაობასაც.

ამრიგად, ერთი მხრივ სოც. დაზღვევის ორგანოთა და დაწესებულება-წარმოებების ფინანსიურ ურთიერთობის მოწესრიგება და მეორე მხრივ თვით დამზღვევ ორგანოების მუშაობაში შესაფერის შესწორებების შეტანა, იჭვი არაა, ხელს შეუწყობს სოციალურ დაზღვევის საქმის მატერიალურად გაჯანსაღებას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ახალი ცენტრი

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ახალი ცენტრის საორგანიზაციო ბიურო „სოფლის კავშირი“ უკვე შეუდგა სამეურნეო და საორგანიზაციო მუშაობას ახალი კავშირის შესაქმნელად. ფინანსიური კრიზისით დაუძლურებული ძირითადი ქსელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა უნდა აღსდგეს, მიუხედავად წარმოკავშირის ლიკვიდაციისა; მისი ხელმძღვანელობა და გაჯანსაღება ევალება „სოფლის კავშირს“.

წარმოკავშირის ლიკვიდაცია ზოგიერთ ძირითად ორგანიზაციებსაც დაღუპვით უქადის, მაგრამ არსებობს ისეთი ორგანიზაციებიც, რომლებიც შესძლებენ კრიზისის დაძლევას და მათი დატოვება კავშირის გარეშე შეუძლებელია და საზიანო კოოპერატიული მოძრაობის განვითარებისათვის. ისეთი ორგანიზაციებიც არსებობენ, რომლებიც არ ითვლებოდენ წარმოკავშირის წევრებათ და „სოფლის კავშირმა“ პირველად ყოვლისა, უნდა იკისროს მათი შეკავშირება წარმოკავშირის ჯანსაღ ორგანიზაციებთან ერთად.

წარმოკავშირის ლიკვიდაცია დაიწყო სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციის ძირითადი ქსელის გაერთიანების დროს. ამ მუშაობის დამთავრებით, ძირითადი ქსელის რეორგანიზაციით და გადახალისებით უნდა შეიქნეს ნიადაგი სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო კოოპერაციის ჯანსაღი კოოპერატიული მუშაობის გაფართოებისთვის.

უკანასკნელ დრომდე ჩვენში ფაქტიურად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორი ქსელი არსებობდა: წარმოკავშირის და სასოფლო - სამეურნეო ბანკის და მათი არანორმალური ურთიერთობა მეტად უარყოფით შედეგებს იძლეოდა. ცალკე საკრედიტო ამხანაგობების მოწყობა დაწყებული იყო საკრედიტო საქმიანობის უკეთ განვითარების მიზნით, მაგრამ სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ მარტო საკრედიტო ფუნქციებით მათი მუშაობის გაფართოება და დატვირთვა შეუძლებელია. საკრედიტო ამხანაგობები ამ მხრივ ფაქტიურად მხოლოდ ბანკებიდან გადაცემული თანხების გამნაწილებელ აპარატს წარმოადგენენ, მოსახლეობიდან თავისუფალი თანხების მოზიდვა, სანაბარო და სხვა საკრედიტო ოპერაციების საკმაო განვითარება მათ ვერ შესძლეს და თავისი ყურადღება მიწოდება-გასაღების დარგში გადაიტანეს. წარმოკავშირის კოოპერატივებიც უმთავრესად მიწოდება-გასაღების დარგში ეწეოდენ მუშაობას და ამნაირად ხდგილი მიეცა მავნე ქიშპობას, პარალელიზმს და ფუნქციების არევდარევას. მე-14 პარტკონფერენციამ შეუძლებლად იცნო ასეთი მდგომარეობის დატოვება და საჭირო გახდა სასოფლო - სამეურნეო - საკრედიტო კოოპერაციის ერთიანი ქსელის შექმნა.

ჩვენში ახლად წარმოშობილი საკრედიტო ამხანაგობები არც ერთ კოოპერატიულ კავშირებში არ შედიოდენ, თუმცა კოოპერატიული მუშაობა წარმოუდგენელია საკავშირო მშენებლობის, და ხელმძღვანელობის გარეშე. კოოპერატიული კავშირის ფუნქციების შესრულებას კისრულობდა სასოფლო-სამეურნეო ბანკი, მომავალში კი საკრედიტო ამხანაგობები აუცილებლად შეეცდებოდენ თავის კავშირის დაარსებას.

დღეს მდგომარეობა იცვლება. საკრედიტო ამხანაგობები გაერთიანებული არიან სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებთან, უკვე არსებობს სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობების ერთიანი ძირითადი ქსელი. საჭიროა ამ ძირითადი ქსელის გაერთიანება კოოპერატიულ კავშირში და ასეთად უნდა გახდეს „სოფლის კავშირი“, რომელიც უნდა აერთიანებდეს მთელი საქართველოს სასოფლო - სამეურნეო - საკრედიტო კოოპერაციას. ეს საკითხი თავიდანვე უნდა მოწესრიგდეს სხვა საორგანიზაციო საკითხებთან ერთად. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობაში გეგმიანობის დაცვა და მისი მუშაობის თვისობრივი გაუმჯობესება.

ჩვენში, დაახლოებით ერთი წლის წინად, დაარსდენ მეურნეობის ცალკე დარგების სპეციალური კოოპერატიული ცენტრები: „საქართველოს ღვინო“ და „ბაღბოსტანკავშირი“; საქართველოს სასოფლო - სამეურნეო - საკრედიტო კოოპერაციის სისტემის მთლიანობის მიზნით, საჭიროა, რათა ეს კოოპერატიული ცენტრებიც „სოფლის კავშირში“ წევრათ შედიოდენ და მასთან ერთად ეწეოდეს შეთანხმებულ მუშაობას. ამასთანავე ერთად აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციები სოფლის მეურნეობის ნაწარმოების დასამზადებლად კერძო აგენტების საშუალებითაც გამოდიოდენ ბაზარზე და სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის აპარატს არ იყენებდენ ამ საქმიანობისათვის. ამას არევდარევა შექონდა ბაზარზე და აფერხებდა გლეხობის კოოპერატიულ დარაზმვას. „სოფლის კავშირი“ ჯერ-ჯერობით ნორჩი ორგანიზაცია არის, მაგრამ მომავლისათვის ის უნდა გახდეს ჩვენი სოფლის ნაწარმოების მთავარ დამამზადებლათ. მაგრამ ამას ის ვერ შესძლებს, თუ არ მოხერხდა საბანკო კრედიტის გაიაფება და საზოგადოთ მისი პირობების შეგუება სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ოპერაციების ხასიათთან. ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ უკვე გადადგმულია ნაბიჯები ამ მიმართულებით და უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ „სოფლის კავშირს“ უკეთეს პირობებში მოუხდება თავის სამეურნეო საქმიანობის განვითარება, ვიდრე წარმოკავშირს, რომელიც ზოგიერთ ოპერაციების ჩასატარებლად ბანკებიდან აღებულ სესხში თითქმის დიდ პროცენტებს იხდიდა.

მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს სესხის პირობები, სასოფლო -სამეურნეო კოოპერაციამ მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ხაკუთარ საშუალებათა გადიდებას: საპაიო და სანაბარო თანხების მოზიდვით, სამეურნეო ოპერაციების სარგებლიანობით და სხვ. უამისოდ მისი არსებობა მუდამ საფრთხეში იქნება.

არის მრავალი სხვა საჭირბოროტო საკითხები, რომელთა მოწესრიგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მომავალი განვითარებისთვის. „სოფლის კავშირმა“ თავიდანვე უნდა გაითვალისწინოს ყოველივე ეს და სათანადო ორგანოების დახმარებით უზრუნველყოს ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტურათ გარდაქმნა.

მ. ღ.

შინაგანი ბრძოლა ფაშისტურ პარტიაში

(წერილი იტალიიდან)

ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი იტალიის შინაურ პოლიტიკაში ამ ბოლო დროს იყო ფაშისტური პარტიის გენერალური მდივნის ფარინაჩის დამხობა და მის ადგილზე ავგუსტო ტურატის დანიშვნა (არ გეგონოთ, რომ ეს ტურატი სოციალ- დემოკრატიის ცნობილი ბელადია!) ფარინაჩის გადადგომა უმწვერვალესი წერტილი იყო იმ ბრძოლაში, რომელიც იმ რომაული სასახლეების დერეფნებში და მისაღებ ოთახებში სწარმოებდა, სადაც სხვადასხვა სამინისტროები და თვით ფაშისტური პარტიაა მოთავსებული.

თუმცა ცენზურამ აკრძალა ყოველგვარი განცხადება და კამათი ამ საგანზე, მაგრამ ფარინაჩის საქმემ დიდი თავის მტვრევა გამოიწვია მთავრობის წრეებში. ფაშისტებს შორის შეტაკებები მოხდა სხვადასხვა ქალაქებში, ტურინსა, გენუასა და სხვა ადგილებში. სავონაში ფაშისტურმა ოპოზიციამ თვითმმართველობა, პრეფექტურა, ფაშისტური პარტიისა და ფაშისტური პროფკავშირების შენობებიც კი დაიკავა. მაგრამ აჯანყება დროზე ჩააქრეს პოლიციამ, კარაბინერებმა და მილიციამ. ნეაპოლშიაც მწვავე შეტაკება მოხდა ოფიციალურ და ოპოზიციურ ფაშისტებს შორის, ამის საბაბი იყო უცნაური სიკვდილი კაპიტან პადოვანისა, რომელიც პარტიიდან იყო გამორიცხული. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ მილანის პრეფექტმა მოსთხოვა ფარინაჩის დაუყოვნებლივ დაეტოვებია ეს ქალაქი, სადაც ის თავის მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა. ტრიესტშიც დიდი კონფლიქტები მოხდა მთავრობასა და ოპპოზიციონერ ფაშისტებს შორის, რამაც სროლაც კი გამოიწვია ქალაქის ქუჩებში.

ამასთანავე განვითარდა პარალელური ბრძოლა ფაშისტური კორპორაციების (პროფკავშირების) ბელადებსა და მრეწველობა-მეურნეობის კავშირის ხელმძღვანელებს შორის. ახალი კანონი და კიდევ უფრო პროფკავშირების წესდება მათ ყოველივე ავტონომიას, ყოველივე თვითმოქმედების შესაძლებლობას ართმევს და მათ პოლიტიკური ხელისუფლების ქვემდებარე ორგანოებათ ჰქმნის, ამავე დროს მწარმოებლების კავშირს ფართო თვითმოქმედების შესაძლებლობა აქვს მინიჭებული. მასსების უკმაყოფილების დასაცხრობათ და თავიანთი ძალა-უფლების შესანარჩუნებლად კორპორაციების ზოგიერთი ბელადები შეეცადენ წინააღმდეგობა გაეწიათ ოფიციალური მთავრობისთვის. ამ გარემოებამ ცხარე კამათი გამოიწვია ფაშისტების ეგრეთ წოდებულ დიდ საბჭოში: დეპუტატმა როსსინიმ, კორპორაციების გენერალურმა მდივანმა, მუქარით აღსავსე სიტყვები წარმოსთქვა, კერძო ლაპარაკში ის იმასაც კი არ შეუშინდა, რომ „დუჩესა“ (ე. ი. მუსოლინისს) და ზოგიერთ მთავართანამშრომელზე მწვავე შენიშვნები გაექცეთებია. კიდევ მეტი: ფაშისტური პროფკავშირების მეორე ხელმძღვანელმა ისიც კი გაჰბედა, რომ საყოველთაო გაფიცვაზე დაიწყო ლაპარაკი. მაგრამ ბოლოს, რასაკვირველია, მემამულეებმა და მრეწველებმა გაიმარჯვეს მთელს ხაზზე.

უკანასკნელი დიდი საკამათო საკითხი იყო, რომელ კავშირში უნდა შედიოდნენ ნახევრად გაპროლეტარებული მოიჯარადრეები, მემამულეებისა თუ სოფლის მუშების. იურიდიული ამოცანის წამოსახსამში აქ სინამდვილეში გახვეულია პოლიტიკური პრობლემა, მიტომ, რომ მემამულეებს სურთ ყოველი კავშირი მოსპონ მოიჯარადრეებსა და სოფლის მუშებს შორის და ამისთვის პირველ მათგანთ ისეთ ორგანიზაციებში ერეკებიან, სადაც თვითონ არიან გაბატონებულნი. პროფკავშირების წესდების მეხუთე მუხლმა ეს საკითხი მემამულეების სურვილისამებრ გადასწყვიტა. მხოლოდ ფაშისტურმა პროფკავშირებმა ის ხელახლა სადისკუსიოთ დასვეს. მაგრამ მეტად საეჭვოა, რომ გაიმარჯვონ.

ამ ბრძოლებს ნამდვილად უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, როგორც ნიშანს, რომ წვრილი ბურჟუაზიის მასები უკმაყოფილონი არიან ფაშიზმის ოლიგარხიული და პლუტოკრატიული რეჟიმით. მეორე მხრივ ისინი ამტკიცებენ, რომ ცენტრსა და პერიფერიებს შორის ღრმა უფსკრული გაითხარა.

ცენტრალური ხელისუფლება დღეს ფულიანი ხალხის ხელშია, რომელიც ქვეყანას ოლიგარხიის შემწეობით მართავს. ეს ოლიგარხია შესდგება წინანდელი ნაციონალისტებიდან, რომელნიც ფაშიზმს მიემხრნენ და მისი სულიერი ხელმძღვანელები და ბატონ-პატრონები გახდნენ. მთავრობაში ტრიუმვირატი ბატონობს: ფედერცონი, როკკო და ვოლპი. ფედერცონი და როკკო ყოფილი ნაციონალისტებია, აბსოლუტური რეჟიმის მომხრეები, მხოლოდ ხელისუფლება მათ ღვთაებრივ უფლებიდან კი არ გამოჰყავთ, არამედ ძალის უფლებიდან. ვოლპი „კომერციული ბანკის“ წარმომადგენელია, იტალიისა და უცხოეთის მსხვილი ფინანსისტების რწმუნებული. მისი თანაშემწეა ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრი, ბელლუცო, რომელიც კაპიტალისტების ყურმოჭრილი მონა-მოსამსახურეა. მუსოლინი ყოველგან მეთაურის და საფარის როლს ასრულებს. ნამდვილად ის ტყვეა ამ ოლიგარხიისა... მაგრამ თავის ნებითვე ტყვეთ ჩავარდნილი, რასაკვირველია.

ის პოლიტიკა, რომელსაც ეს ხალხი აწარმოებს, რასაკვირველია, მასების ჩაგვრისა და ექსპლოატაციის პოლიტიკაა. ეკონომიური მდგომარეობა უარესდება ფაშისტური „რეკონსტრუქციების“ მიუხედავად. სავაჭრო ბალანსის დეფიციტი საშინლად იზრდება, ლირა თანდათან ეცემა. უკანასკნელ ორ თვეში მან 10 პროცენტი დაჰკარგა, დღეს ის 14 სანტიმი ღა ღირს ომის წინადროინდელ ლირასთან შედარებით. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ფაშისტური ოლიგარხია ხელფასის შემცირებას სცდილობს, თუმცა მუშათა კლასი ისედაც დამშეულია.

თავის-თავად ცხადია, რომ ეს ამბები მარტო მუშებსა და გლეხებს როდი ეხებიან: შემოსავლის შემცირება, ცხოვრების გაძვირება, გადასახადების გადიდება და სხვ. პირდაპირ თუ არა - პირდაპირ წვრილ მესაკუთრეებსა, ვაჭრებსა, ერთი სიტყვით წვრილ - ბურჟუაზიულ მასებს აწვება მხრებზე. ისინი გრძნობენ, რომ ის აღფრთოვანება, რომლითაც ისინი ფაშიზმის გამარჯვებას შეხვდნენ უკუღმართი საქმისთვის დახარჯულა. არჩეულ თვითმართველობათა დაშლა და მათი შეცვლა რომიდან დანიშნული პირებით, სავაჭრო კამერების დაშლა, არაფაშისტურ კავშირების აღკრძალვა აღიზიანებს თვით წვრილ - ბურჟუაზიასაც. ფარინაჩის საქმეში გამოაშკარავდა ამ წრეების უკმაყოფილება, ამ უკმაყოფილებამ თავი იჩინა აგრეთვე ფაშისტურ კორპორაციების მოძრაობაში.

გ. როსსი.

რომი, 16 აგვისტო.

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა პრესა

სამარცხვინო იუბილე

ლაპარაკია ამსტერდამის ინტერნაციონალის 25 წლის იუბილეზე. ეს იუბილე საკმაოდ მკრთალად აღნიშნეს თვით ამსტერდამელებმა. უფრო გამოეხმაურენ ამას, რასაკვირველია, თავისებურათ, რევოლიუციონურათ, ჩვენი ამხანაგები. ამსტერდამელებს მართლაც სათქმელი და დასაქადი ცოტა რამ აქვთ. როგორც მკვდრის ოთახში, ისინი ჩუმათ ან ჩუტუნით გაუარეს მათ ამ თარიღს. რევოლიუციონურ პროფკავშირებს და მათ ორგანოებს, როგორც ყოველთვის, აქაც ხმამაღლა და გაბედულათ შეეძლოთ ეთქვათ და სთქვეს კიდევაც თავიანთი სიტყვა.

25 წლის წინად, 1901 წლის 21 აგვისტოს, კოპენჰაგენში შეიკრიბენ გერმანიის, ინგლისის და ბელგიის პროფესიონალ[illegible] კავშირების ცენტრების წარმომადგ[illegible]. ამ კრებამ ჩაუყარა საძირკველი საერთაშორისო პროფკავშირთა სამდივნოს, რომელსაც 1913 წელს დაერქვა პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაცია, მემარჯვენე რეფორმისტული მიმართულებით. მსოფლიო ომმა დაარღვია ის ისევე, როგორც მეორე ინტერნაციონალიც. მას შემდეგ ცდა მისი ხელახლა გამოცოცხლებისა უშედეგოთ დარჩა და მხოლოდ 1919 წლის ივლისში მოხერხდა ამ ფედერაციის ნამტვრევების შეკოწიწება ამსტერდამის კონფერენციაზე, სადაც მას შერჩა დღემდი სახელწოდება ამსტერდამის ინტერნაციონალისა. 1920 წელს მასში შედიოდენ 24 მილიონი პროფორგანიზაციებში შეკავშირებული მუშები. მიმდინარე წელს კი, თავისი არსებობის 25 წლის თავზე, იქ გაერთიანებულია მხოლოდ 13 მილიონი. ასეთია შედეგი მისი რეფორმისტული მუშაობისა და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის.

საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს ორგანო „ტრუდ“ (21 აგვისტო) ჩამოთვლის მის ნამოღვაწარს ომის შემდეგ.

„ჩვენ გვახსოვს, როგორ იქცეოდა ამსტერდამი ყველა კრიტიკულ მომენტებში, რომლებითაც ასე მდიდარია ომის შემდგომი ეპოქა. თავის პირველი ნაბიჯებიდანვე ის დაუკავშირდა ერთა ლიგას და მის შრომის ბიუროს. ამსტერდამი ახლაც ყოველთვის ამ ლიგას მიმართავს ყველა საერთაშორისო კონფლიქტების დროს. მან დაადასტურა ვერსალის ყაჩაღური ზავი და კონტრიბუცია, სრული უმოქმედობა გამოიჩინა რურის რაიონის მოკავშირეების მიერ დაკავების დროს, დაადასტურა გერმანიის დაუესიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ამ ქვეყნის „გაჯანსაღებას“, რასაკვირველია, პროლეტარიატის ხარჯზე; ის იჩენდა და იჩენს პასივობას ფაშისტების შემოტევის დროს, ასევე იქცევა ის კაპიტალის შემოტევის დაწყებიდან 1920 წლის შემდეგ. მოღალატური იყო მისი მოქმედება უკანასკნელი საყოველთაო გაფიცვის დროსაც ინგლისში“.

ამ მხრით მან შეინარჩუნა თავისი ძველი ბუნება. უმთავრესი „კეთილშეძენილი“ თვისება მისი მდგომარეობს იმაში, რომ თავის რეფორმიზმს და მოღალატეობას ის ატარებს ახლა უფრო გეგმიანათ, დაჟინებით და ფართოდ. ის ებრძვის სასტიკად მემარცხენეებს თავის რიგებში, აძევებს მათ ორგანიზაციებიდან, მაგიერათ ფართო თანამშრომლობას ეწევა ბურჟუაზიასთან.

ასეთია ეს „პროლეტარული“ ორგანიზაცია, რომლის **არსებობის და ღალატის** ოცდახუთი წელი შესრულდა ამ დღეებში.

1920 წელს მოკავშირეებმა საქართველო იტალიას „აჩუქეს“

იტალიის მთავრობა უარს ამბობს რუმინეთის მიერ ბესარაბიის ოკუპაციის დადასტურებაზე

მეფის ყოფ. საკონსულოს შენობა დანციგში დააცლევინეს თეთრგვარდიელებს და საბჭოთა წარმომადგენლობას გადასცეს

გერმანიაში იზრდება მტრული განწყობილება ინგლისის მიმართ.—ინგლისის პრესა გერმანიის ახალი ორიენტაციის შესახებ

საქართველოს „გაჩუქება“

იტალიის ყოფ. პრემიერის ნიტტის განცხადება

პარიჟი, 27 აგვისტო. იტალიის მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ ნიტტიმ „მშვიდობიანობის კონგრესის“ სხდომაზე ბეირვილლში (ეს კონგრესი მოწვეული იყო წვრილ-ბურჟუაზიულ პაციფისტურ მოღვაწეთა მიერ) წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ მოკავშირეებმა თავის დროზე საქართველო იტალიას დაუთმეს, მაგრამ მან, ნიტტიმ, უარი სთქვა ამ წინადადებაზე თავისი „პაციფისტური განწყობილების გამო“.

შენიშვნა: იტალიის ყოფილი პრემიერი ნიტტი თავის წიგნში, რომელიც ეხლახან დაიბეჭდა, ამბობს, რომ 1920 წელში, როცა იგი შეუდგა პრემიერის მოვალეობათა აღსრულებას, მას დახვდა გამზადებული ხელშეკრულება იტალიისა და მოკავშირეებს შორის დადებული, რომლის ძალითაც იტალიას ეძლეოდა საქართველოს ოკუპაციის „უფლება“. ნიტტი ამბობს, რომ მან არ მოისურვა ესარგებლა ამ „უფლებით“.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საბჭოთა გამოფენა უცხოეთში

ტოკიო, 26 აგვისტო. დაიხურა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან გამართული საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ - ყოფა-ცხოვრების გამოფენა.

გამოფენა ინახულა საზოგადოებრივი წრეების 1200 წარმომადგენლებმა. გამოფენა ინახულა აგრეთვე ვიკონტმა გოტომ, რომელმაც საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულს ბესედოვსკის განუცხადა თავისი სრული კმაყოფილება იაპონიაში საბჭოთა პირველი გამოფენის შედეგით და სურვილი გამოსთქვა, რომ ასეთი გამოფენა განმეორდეს უფრო სრული სახით, რომ იაპონია გაეცნოს საბჭოთა კავშირის ერების ცხოვრებას.

კომერციული ინფორმაცია საბჭოთა კავშირის შესახებ

ნიუ-იორკი, 26 აგვისტო. „ჟურნალ ოფ კომერსმა“ 40 გვერდიანი სპეციალური დამატება გამოუშვა, რომელიც მთლიანად საბჭოთა კავშირის ვაჭრობას ეხება. მოწინავე წერილში განმარტებულია, რომ ეს სპეციალური ნომერი გამოშვებულია იმიტომ, რომ „ვაჭრობა ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ბრკოლდება იმ გაუგებრობათა გამო, რომლებიც უმთავრესად ინფორმაციის უქონლობითა და ყალბი ცნობებით არის გამოწვეული. რადგან ამ ქვეყნებს შორის ოფიციალური ურთიერთობა არ არსებობს, ამერიკელ მრეწველებსა და ექსპორტიორებს არა აქვთ სწორი ცნობები საბჭოთა ბაზრის მოთხოვნილებათა და პერსპექტივების შესახებ“.

გაზეთ „პარკერ ვილლის“ რედაქტორი, რომელიც ამას წინედ ეწვია საბჭოთა კავშირს და შეაგროვა მასალები ამ ნომრისათვის, მოწინავე წერილში სწერს: **„საბჭოთა კავშირი ამერიკელ მრეწველებს ფართო ასპარეზს უხსნის. საბჭოთა მთავრობა მტკიცეა. უცხოეთის კაპიტალისტებს საბჭოთა კავშირში საფრთხე არ მოელის. საბჭოთა სავაჭრო ორგანოების კომერციული კეთილ-სინდისიერება დამტკიცებულია. სავაჭრო საქმეები საბჭოთა კავშირთან უფრო ნაკლებ რისკს განიცდიან, ვიდრე სხვა ქვეყნებთან“.**

შეეხო რა საბჭოთა ვაჭრობის მომავალ განვითარებას, ვილისმა განაცხადა. **„ამერიკის საქმიანმა წრეებმა უნდა იკისრონ კრედიტების პირობების გაუმჯობესების შესახებ, რომ საშუალება მიეცეთ უცხოეთის კონკურენციასთან ბრძოლისა. აუცილებელია ჩვენი დიპლომატიური პოლიტიკის გადასინჯვა“.**

სპეციალურ ნომერში მოთავსებულია იოფფეს, კვირინგის, მალიშევის, ალექსანდროვის და საბჭოთა კავშირის სხვა მოღვაწეთა წერილები.

საბჭოთა კავშირი და ურუგვაი

ბუენოს-აირესი, 27 აგვისტო. ურუგვაის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბანკეტი გაუმართა კრაევსკის საბჭოთა კავშირისა და ურუგვაის შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების აღსანიშნავად.

ურუგვაის პრესა იწონებს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას.

თეთრგვარდიელები მიაგრძანეს

მეფის ყოფ. საკონსულოს შენობის გადაცემა საბჭოთა წარმომადგენლობისათვის

ვარშავა, 27 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ტელეგრ. სააგენტოს ვარშაველი კორესპონდენტი იუწყება, რომ დანციგის ხელისუფლების წარმომადგენლებმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს პოლონეთში გადასცეს ყოფილ მეფის საკონსულოს შენობა დანციგში. ამ სახლში მცხოვრებმა თეთრგვარდიელებმა შენობის დაცლის დროს იგი ისე დააზიანეს, რომ საჭიროა მისი კაპიტალური შეკეთება.

ამხ. რაკოვსკი პუანკარესთან

პარიჟი, 27 აგვისტო. 26 აგვისტოს პუანკარემ მიიღო რაკოვსკი.

ავსტრიის მუშა-ქალთა დელეგაცია

ვენა, 26 აგვისტო. საბჭოთა კავშირში მუშათა დელეგაციის გაგზავნის მომწყობმა კომიტეტმა მიიღო საბჭოთა კავშირის მუშა ქალებისაგან მოწვევის ბარათი, რომელშიაც წინადადებას აძლევს ავსტრიის მუშა ქალებს შეუერთდენ საბჭოთა კავშირში ენკენისთვეში გასაგზავნ გერმანიის მუშა ქალთა დელეგაციას. ავსტრიის მუშა ქალთა დელეგაციის არჩევა მოხდება მუშა ქალთა საერთო კრებაზე ისე, როგორც ამას ადგილი ქონდა თავის დროზე საბჭოთა კავშირში ავსტრიის მუშათა დელეგატების გამომგზავრების დროს.

ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია ომის საკითხის შესახებ

ლონდონი, 26 აგვისტო. ინგლისის დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, სადაც ყურადღებას აქცევს ომის საშიშროებას, რომელიც მოსალოდნელია ინგლისის დიპლომატიის პოლიტიკის წყალობით პოლონეთში.

„ლიტვა და საბჭოთა კავშირი,—ნათქვამია მოწოდებაში—დარწმუნებული არიან, რომ პილსუდსკი აწყობს ლიტვაზე თავდასხმის სამხედრო გეგმებს ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს საიდუმლო რჩევით“.

მოწოდება ემყარება ხმებს იმის შესახებ, რომ სწარმოებს საიდუმლო მოლაპარაკება გერმანიის შეთანხმების შესახებ, რომლის მიხედვით გერმანიას დაუბრუნდება კომპენსაციის სახით პოლონეთის კორიდორის ნაწილი.

„**უნდა აღინიშნოს**—ლაპარაკობს მოწოდება. რომ—**პოლონეთის ყოველგვარ გამოსვლას ლიტვის წინააღმდეგ** რუსეთი ჩასთვლის თავის საწინააღმდეგო მუქარათ და ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია დაუყოვნებლივ მოხდეს სამხედრო მოქმედების დაწყება რუსეთსა და პოლონეთ შორის. **ეჭვი არ არის, რომ ეს სამხედრო მოქმედება გამოიწვევდა სხვა სახელმწიფოების ჩარევას და აუცილებელს გახდიდა ევროპის ახალი ფართე ომის საშიშროებას**“.

დამოუკიდებელი მუშათა პარტია მიუთითებს იმაზე, რომ **ინგლისის მუშათა მოძრაობამ ყურადღებით უნდა ადევნოს თვალყური მდგომარეობას და განუმარტოს ინგლისის მთავრობას, რომ პოლონეთისთვის იარაღის მიწოდებას და ახალი ომის საშიშროებას ისეთივე გადაჭრით წინააღმდეგობას გაუწევს მუშათა კლასი, როგორც ეს მოხდა ოთხი წლის წინათ, რამაც ხელი შეუშალა ინგლისს დახმარებოდა პოლონეთს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში**“.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს ავტორიტეტულმა და გარეშე საქმეთა კარგათ მცოდნე პიროვნებამ გამოსთქვა აზრი, რომ ამ შემთხვევაში ინგლისის პოლიტიკის სულის ჩამდგმელი არიან ბირკენხედი და საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ლოკერ ლემპსონი; ჩემბერლენი კი, როგორც სჩანს, სავსებით არ იზიარებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიღებულია ამ მიმართულებით.

ერთა ლიგის სესიის წინ

საფრანგეთის შიში

პარიჟი, 27 აგვისტო. საფრანგეთის პრესა შეშფოთებულია ერთა ლიგის მოსავალი სესიით, ვინაიდან, მისი აზრით, რომ საფრანგეთს ცოტა შანსები აქვს განიარაღების საკითხში საკუთარ თვალსაზრისის გატარებისა, რადგან ამ თვალსაზრისს ეწინააღმდეგებიან სხვა დიდი სახელმწიფოები.

როგორც ცნობილია, საფრანგეთი იმ თვალსაზრისზე სდგას, რომ შეიარაღების შეფასების დროს აუცილებელია მიღებულ იქმნას მხედველობაში არა მარტო ჯარების რიცხვი, არამედ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიური და ფინანსიური სიძლიერე. გაზეთი აღნიშნავს, რომ ერთა ლიგის საბჭოს ალბად მოუხდება ამ საკითხის კომპრომისის გზით გადაწყვეტა. **გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია ვერავითარ წინასწარ გარდაწყვეტილებამდე ვერ მივიდენ ტანჟერისა და ერთა ლიგის საბჭოში ადგილების განაწილების საკითხებში.**

ერთა ლიგის სესია

ბერლინი, 27 აგვისტო. ერთა ლიგის საბჭოს სესია 2 სექტემბერს დაიწყება ჟენევაში. სესიაზე თავმჯდომარეთ იქნება ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელი ლიგაში ბენეში. სესია განიხილავს საბჭოს რეორგანიზაციის საკითხს და მთელ რიგ სხვა საკითხებს.

იტალია უარს ამბობს ბესარაბიის ოკუპაციის ცნობაზე

ლონდონი, 14 აგვისტო. ეხება რა რუმინიის პრემიერის გენერალ ავერესკუს ჩასვლას რომში, კონსერვატიული გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საფრანგეთ-რუმინეთის ხელშეკრულების დადების შემდეგ, რუმინეთისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, რომ იტალიამ დაამტკიცოს ბესარაბიის ოკუპაციის აქტი. „თუ იტალია არ დაამტკიცებს ბესარაბიის ოქმს,—სწერს კორესპონდენტი,—**მაშინ, როგორც გათვალისწინებულია ოქმში, ის გაუქმებული იქნება და არ მიიღებს საერთაშორისო კანონის ძალას. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ლიგამ არ სცნოს რუმინეთის უფლება ბესარაბიაზე** და აგრეთვე საფრანგეთის მოვალეობა—დაიცვას ეს ოლქი რუსეთის ყოველგვარი მისწრაფებისაგან დაიბრუნოს წინად მის ფარგლებში მყოფი პროვინცია. მიუხედავათ ამისა, **იტალია სთვლის, რომ საბჭოთა მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების ძალით, მას არ შეუძლია დაამტკიცოს ხელშეკრულება ბესარაბიის შესახებ და კვლავ აცნობა ამის შესახებ მოსკოვს.**

კრიზისი საფრანგეთში

მილიერანის განცხადება

პარიჟი, 26 აგვისტო. გაზეთ „ენტრანსიჟამის“ ანკეტის საპასუხოთ საფრანგეთის კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ, ნაციონალური ბლოკის დამაარსებელმა და საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა 1920—1924 წელში მილიერანმა განაცხადა, **რომ ეხლანდელ მდგომარეობაში ეჭვი არავის შესდის კონსტიტუციის გადასინჯვის აუცილებლობაში. პრეზიდენტს უნდა მიეცეს ახალი რწმუნებანი და კერძოთ, ორთავე პალატების დათხოვნის უფლება.**

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და სასწრაფო რეფორმა არის დეცენტრალიზაციის გატარება. აუცილებელია ცენტრის—პარიზის დაუყოვნებლივ განტვირთვა, რომელსაც ეხლა უკვე აღარ უნდა ჰქონდეს საფრანგეთის მთელი ცხოვრების მოწესრიგების პრეტენზია. ამ საქმეში უნდა ჩაებას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

საფრანგეთის მთავრობის ახალი ზომები

პარიჟი, 27 აგვისტო. საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ ავტონომიურ საამორტიზაციო კასის (მოკლე ვადიან ვალდებულებათა მიმდინარე ვალის დასაფარავად) გამგეობის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა სენატორი **ლებრენი,** საფრანგეთის დელეგატათ სარეპარაციო კომისიაში—სენატორი **შაპსალი** (ბარტუს მაგივრად).

მინისტრთა საბჭომ გამოსცა ახალი დადგენილება პურეულის ნათესების ახალი აღწერისა და მოსავლის შეფასების მოხდენის შესახებ. დეკრეტი ითვალისწინებს აგრეთვე მარცვლეული პურისა და წისქვილებში დაგროვებულ ხორბლეულობაზე კონტროლის დაწესებას.

შემუშავებულია მომჭირნეობის გატარებისა და ადმინისტრატიული აპარატის განმარტივების საერთო გეგმა. გადაწყვეტილია, დაწესებულ იქმნას კონტროლი სურსათის და ფართო მოხმარების საგნების გაყიდვაზე, გაუმჯობესებულ იქმნას სურსათის მიწოდების წესი და ბაზრების საქმიანობა.

მთავრობა მიიღებს ზომებს, რომლებსაც მიზნად ექნება შავი პურის ხმარების შემოღება მოსახლეობის ყველა ფენებში. გარდა ამისა, მთავრობამ დაადგინა, რომ საუზმისა, სადილისა ან ვახშმისათვის რესტორანებში შეიძლება მოთხოვნილ იქმნას არა უმეტეს ორი თავი საჭმელისა.

გაფიცვა ინგლისში

მემაღაროეთა მოლაპარაკება მთავრობის წარმომადგენლებთან

ლონდონი, 26 აგვისტო. ბურჟუაზიული პრესა ფიქრობს, რომ მომავალ თათბირზე მთავრობის წევრები იმ თვალსაზრისს დაიცავენ, რომ 7½ ან 8 საათის სამუშაო დღის საფუძველზე შეიძლება მიაღწიოთ მუშებისათვის გაცილებით უკეთეს შრომის პირობებს, ვიდრე 7 საათის სამუშაო დღის საფუძველზე იყო.

ნახშირის შეტანა

ლონდონი, 26 აგვისტო. სამთო მრეწველობის დეპარტამენტის ცნობებით, უცხოეთის ქვანახშირის შეტანა ინგლისში კვირაში 520.000 ტონიდან 916 ათას ტონამდე გაიზარდა.

ინგლისის მაღაროებში ნახშირის ყოველდღიური ამოღება ამჟამად 200.000 ტონს შეადგენს წინააღმდეგ ნორმალური დროის 5½ მილიონი ტონისა.

თათბირი მთავრობასა და მემაღაროეთა წარმომადგენლებს შორის

ლონდონი, 27 აგვისტო. 26 აგვისტოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში შესდგა თათბირი მთავრობისა და მემაღაროეთა წარმომადგენლებს შორის. პირველის მხრით მონაწილეობას იღებენ: ფინანსთა მინისტრი ჩერჩილი, შრომის—სტილ მეიტლენდი და სამთამადნო დეპარტამენტის მართველი—ლეინფოკსი; მემაღაროეთა ფედერაციის მხრით დაესწრო ოთხი წარმომადგენელი: სმიტი, კუკი, რიჩარდსი და რიჩარდსონი. თათბირზე დაწვრილებით განიხილეს სანახშირო მრეწველობის მდგომარეობა. პარასკევს გამოაქვეყნებენ სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშს.

მუშათა პარტიის გამარჯვება გულში

ლონდონი, 26 აგვისტო. საქალაქო არჩევნებში გულის ორ რაიონში მუშათა პარტიის კანდიდატებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს, ვინემ კონსერვატორების წარმომადგენლებმა, რომლებსაც დღემდე ამ რაიონებში მტკიცე პოზიცია ეპყრო. ამჟამათ მუშათა პარტიას ყავს გულის ქალაქის საბჭოში 17 წარმომადგენელი.

„ინდუსტრიალური მშვიდობიანობის ლიგა“

ლონდონი, 26 აგვისტო. მანჩესტერის სავაჭრო პალატის კრებაზე მანჩესტერის ქალაქის თავმა წინადადება შეიტანა „ინდუსტრიალური მშვიდობიანობის ლიგის“ ორგანიზაციის შესახებ. წინადადება შეიცავს ხელშეკრულების დადებას მწარმოებლებსა და მუშებს შორის, რომლის ძალით 7 წლის განმავლობაში აკრძალული იქნება ყოველგვარი გაფიცვა და ლოკაუტი. ორივე მხარე ვალდებული იქნებიან სერიოზული უთანხმოების ჩამოვარდნის დროს დაემორჩილონ დამოუკიდებელ საარბიტრო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ანტი-ინგლისური განწყობილება გერმანიაში

პარიჟი, 27 აგვისტო. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია მთელი რიგი სიმპტომებისა, რომლებიც მოწმობენ გერმანიის საზოგადოებრივი აზრის შეცვლას საფრანგეთის სასარგებლოდ და ინგლისის საწინააღმდეგოდ. ასე, მაგ. პრუსიის იუნკრების ორგანო **„კრეიც ცეიტუნგი“**, რომელიც ყოველთვის მტრულად იყო განწყობილი, საფრანგეთისადმი, ჰბეჭდავს ფრანკოფილურ წერილს, რომელიც ინლგისის წინააღმდეგ არის მიმართული. „დღემდე, ამბობს გაზეთი, ჩვენ ვფიქრობდით, რომ უმთავრესად საფრანგეთი ეწინააღმდეგება გერმანიის აღდგენას, **მაგრამ ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი აღდგენა ინგლისისათვისაც ისევე არა სასურველია**“. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისი ყოველთვის ისწრაფოდა შეენარჩუნებია არბიტრობის პოზიცია ევროპაში და რომ ეხლა იგი სულ უფრო და უფრო მეტის უნდობლობით უყურებს საფრანგეთისა და გერმანიის შერიგების ტენდენციებს, და წინააღმდეგობას უწევს გერმანიის ორიენტაციას კონტინენტზე, და რომ მჭიდრო ფინანსიურ ურთიერთობას იჭერს პოლონეთთან გერმანიის საზიანოდ. დაბოლოს გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ინგლისი სცდილობს უნგრეთში გერმანიის გავლენის ნეიტრალიზაცია მოახდინოს. „საფრანგეთში, განაგრძობს გაზეთი, წინააღმდეგი არ არიან გერმანიასთან შეთანხმებისა, მაგრამ ინგლისს სურს ჩამოაგდოს შუღლი ბერლინსა და პარიზს შორის, რომ, საშუალება ექნეს, მომავალშიაც შეინარჩუნოს არბიტრის პოზიცია რეინზე, ე. ი. ევროპაში.

მეტად გავლენიანი პატრიოტული ლიგის ახალგაზრდა გერმანელთა ორგანო **„იუნგდეიტშ“** სავსებით იწონებს „კრეიც ცეიტუნგის“ წერილს და აღნიშნავს, რომ აუცილებელია საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების პრობლემა სერიოზულად იქმნას შესწავლილი.

განწყობილების ასეთი შეცვლა თვით ლიუდენდორფსაც ემჩნევა. **„დეიტშე ვოხენშაუში“** ამას წინად დაბეჭდილ წერილში იგი თანაგრძობით ლაპარაკობს საფრანგეთის ფინანსიურ დაბრკოლებათა შესახებ, რომლებიც მისი აზრით, საფრანგეთს, გერმანიის მსგავსად, აყენებს „დაუესის კოლონიის“ მდგომარეობაში. ლიუდენდორფი ფიქრობს, რომ გერმანიას არა აქვს საფუძველი სიხარულით შეხვდეს საფრანგეთის უბედურებას. ლიუდენდორფის წერილში ლაპარაკია ფარულ ძალებზე, რომლებიც მართავენ ქვეყნის ბედს. გერმანიის ნაციონალისტური პრესა, გარდა ამისა, ხაზ-გასმით აღნიშნავს, რომ პარიზში ჩასულ გერმანელებს ფრანგები გაცილებით უფრო მეგობრულად ეპყრობიან, ვიდრე ამერიკელებსა და ინგლისელებს.

„მანჩესტერ გარდიენი“ ამის გამო ხაზს უსვამს, რომ გერმანიის საზოგადოების სწორედ ის მემარჯვენე ელემენტები, რომლებიც საფრანგეთისადმი მძულვარებას ქადაგებდენ, როგორც პატრიოტულ მოვალეობას, განსაკუთრებულის სიმხურვალით გამოსთქვამენ თავიანთ სიმპატიებს საფრანგეთის მიმართ. „ჩვენ მოწმენი ვართ ღირსშესანიშნავი მოვლენისა, ამბობს გაზეთი, გერმანიაში უკვე ქუდის მოხდას იწყებენ საფრანგეთის წინაშე“.

პერსელი ბერლინში

ბერლინი, 27 აგვისტო. ჩამოვიდა პერსელი, იმ მიზნით, რომ მოაწყოს სოლიდარობის მიტინგები და აწარმოოს კამპანია ინგლისელ მემაღაროეთათვის ფულადი შემოწირულების შესაგროვებლად.

საბჭოთა კავშირის ტელეგრ. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში პერსელმა განაცხადა, რომ სასაცილოა შემთანხმებელთა პრესის ყალბი ცნობები, ვითომც ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვას საფრთხე ელის იმით, რომ ინგლისში შეაქვთ საბჭოთა ნავთი.

ერთად-ერთი საფრთხე, როგორც წინედ, ისე ეხლაც არის ქვანახშირის შეტანა ინგლისში დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ეს ნახშირი არა მარტო კვებავს ინგლისის მრეწველობას, არამედ აძლევს საშუალებას, რომ განახორციელოს ტეხნიკური მეთვალყურეობის მუშაობა გაფიცულ სანახშირო რაიონებში.

ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტი

ბერლინი, 26 აგვისტო. 26 აგვისტოს ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტში, რომელშიაც შედიან პიუ, სუელსი, სიტრინი, ხიკსი და ფინდლეი ტრედიუნიონების გენერალ საბჭოს მხრით და ანდრეევი, მელნიჩანსკი, ლეპსე, შვარცი და უგაროვი საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს მხრით, განიხილა საბჭოთა დელეგაციის წინადადება ინგლისელ მემაღაროეთათვის დახმარების აღმოჩენისა და პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლის შემდგომი ნაბიჯების შესახებ.

მსჯელობის შედეგები გადმოცემულია იმ დეკლარაციებში, რომლებიც უნდა წარედგინოს სათანადო პროფკავშირების ცენტრებს.

მოლაპარაკება მემაღაროეთა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის

ლონდონი, 26 აგვისტო. ბურჟუაზიული პრესა იუწყება, რომ მთავრობის წარმომადგენლობასა და მემაღაროეთა თათბირმა ოდნავადაც არ წასწია წინ კონფლიქტის მოგვარების საქმე. პრესა მაინც აღნიშნავს, რომ „თათბირმა გამონახა შესაძლებლობა მახლობელ დღეებში ახალი მოლაპარაკების დასაწყებად. მაგრამ ხელახალი შეხვედრისათვის არაა დრო დანიშნული. მემაღაროეთა ბელადებმა გამოაქვეყნეს თავისი პოზიცია, რომელზეც ისინი დღეს დგანან". მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მზად არიან შეეკითხონ მაღაროს მეპატრონეებს და მოაწყონ საერთო თათბირი მემაღაროეთა და მაღაროს მეპატრონეთა, თუ მხარეები დასთანხმდებიან ამაზე. მთავრობის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ მემაღაროეებმა, თუ მათ ნამდვილად სურთ შეთანხმება, უნდა შეცვალონ თავისი შეურიგებელი პოზიცია.

ბელგიის დელეგაციისა და ლენსბერის განცხადება

ლენინგრადი, 26 აგვისტო. ლენინგრადში მყოფი ბელგიის მუშათა დელეგაცია დაესწრო საგუბერნიო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომას. სხდომას დაესწრო აგრეთვე კავკასიიდან დაბრუნებული ინგლისის მუშათა პარტიის წევრი ლენსბერი.

ბელგიის დელეგაციის თავმჯდომარემ ვერკრეზმა მხურვალე სიტყვა სთქვა. მან განაცხადა რომ დელეგაციის წევრებს არ ეშინიათ დევნის, რომელიც მათ მოელით ბელგიაში და მოუწოდებენ ბელგიის მუშებს გაჰყვენ ერთად ერთ ჭეშმარიტ გამარჯვების გზას—გზას რუსეთის პროლეტარიატისას.

ლენსბერიმ, გაუზიარა რა მათ თავისი შთაბეჭდილება საბჭოთა კავშირის შესახებ, სთქვა: „ჩემი ხმა რომ იყოს ისეთი მჭექარე, რომ მთელს ქვეყანას შეეძლოს მისი გაგონება, მე გავყვირებდი, რომ **არსად მთელს ქვეყანაზე არ არის იმდენი მზრუნველობა მუშის სულსა და სხეულზე, როგორც აქ—საბჭოთა სახელმწიფოში.**

შეტაკება

ლონდონი, 27 აგვისტო. პოლიციასა და მემაღაროეებს შორის მოხდა რამდენიმე შეტაკება, რომლის შედეგათ ორივე მხარეზე არიან დაზარალებულნი.

ვუდორში კუკმა განაცხადა, რომ მიღებული ცნობებით მთავრობას განზრახვა აქვს დაუყოვნებლივ გაგზავნოს ჯარები ნახშირის რაიონებში.

გაფრთხილების ზომები

ლონდონი, 27 აგვისტო. კონსერვატიული ორგანოს „დეილი-ტელეგრაფის" ცნობით—ინგლისის მთავრობამ გაგზავნა გიბრალტარიდან ტანჟერში სამხედრო საზღვაო დახმარება ტანჟერში ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებელი აჯანყების თავიდან აცილების მიზნით.

რეპრესიები გრძელდება

ლონდონი, 27 აგვისტო. რკინისგზო კამპანიები განაგრძობენ რეპრესიების მიმართვას იმ მუშების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ საერთო გაფიცვაში.

ამის გამო გუშინ შედგა რკინის გზელთა ნაციონალური კავშირის აღმასკომის, ორთქლმავლების მემანქანეთა და ცეცხლფარეშთა გაერთიანებული კავშირის და რკინისგზის მოსამსახურეთა ასოციაციის გაერთიანებული სხდომა კავშირების ტაქტიკის განსახილველად.

სხდომაზე აღნიშნეს, რომ კამპანიები, მიუხედავათ იმისა, რომ მატარებლების მოძრაობა სავსებით აღდგენილია, აიძულებენ მუშების საგრძნობ ნაწილს იმუშაონ არა სრული დრო, რაც ამცირებს მოძრაობის უხიფათობას.

ჩვენსა და ინგლისის პროფმოძრაობის შორის განუწყვეტელი კავშირი იქნება

ბერლინი, 26 აგვისტო. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ბერლინელ კორესპონდენტთან საუბრის დროს ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ ანდრეევმა განაცხადა:

ინგლისის სამთამადნო მუშების ბრძოლა 4 თვე გრძელდება. გასაკვირია მემაღაროეთა სიმტკიცე და გაბედულობა. გამარჯვების შესაძლებლობას იძენენ უდიდესი გაჭირვებით, რადგან მემაღაროეთა წინააღმდეგ მიმართულია ყველა ძალები. დღეს უკვე ყველასათვის დამტკიცებულია, რომ კონსერვატორების მთავრობა პირდაპირ დახმარებას უწევს მწარმოებლებს. ამის დასამტკიცებელი საბუთი არის—უკანასკნელი ცნობა პოლიციის მობილიზაციის შესახებ შტრეიკბრეხერების დასაცავად.

ინგლისის პროფკავშირების ზოგიერთ ბელადებს ვერ გაუგიათ, ან არ უნდათ გაიგონ, ეს გარემოება, მაგრამ თვითეული პატიოსანი პროლეტარისათვის გასაგებია, რომ ინგლისის მთავრობასა და კონსერვატიულ პარტიას გადაწყვეტილი აქვს, რათაც არ უნდა დაუჯდეს, დაამარცხოს სამთამადნო მუშები. მემაღაროეები წინანდებურად განცალკევებული არიან, მიუხედავათ ინგლისის პროფმოძრაობის ხელმძღვანელთა სიტყვიერი განცხადებისა მემაღაროეთა დახმარების შესახებ. ყველაფერმა ამან არ შეიძლება აღმოფოთება არ გამოიწვიოს ბრძოლის უკუღმართად გათავების დროს.

ჩვენ, საბჭოთა რუსეთის პროფკავშირები და მუშები, ყველაფერს ვაკეთებთ, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული, რომ დახმარება აღმოუჩინოთ ჩვენს ძმებს—მემაღაროეებს. ჩვენ ამას დიდ დამსახურებათ არ ვთვლით და ვფიქრობთ, რომ ჩვენ ვასრულებთ მხოლოდ კლასობრივ მოვალეობას.

ჩვენ წამოვაყენეთ მემაღაროეთა დახმარების გაფართოებისა და გაღრმავების საკითხი ახლად დასრულებულ კომიტეტის სხდომაზე ბერლინში. თუ ამ თათბირს შედეგათ არ მოჰყვება დაჩქარებით დახმარების აღმოჩენა ინგლისის გაფიცულ მემაღაროეების მიმართ, მაშინ ჩვენ იმედი გვაქვს, ყველა მუშებს ეცოდინებათ, რომ ეს მოხდა არა ჩვენი მიზეზით.

ბოროტი ცილის წამებაა იმის მტკიცება, თითქოს საბჭოთა კავშირის პროფესიონალურ კავშირებს უნდოდეს უკარნახოს თავისი ნება ინგლისის პროფმოძრაობას და უხელმძღვანელოს მას. ჩვენ არა ერთხელ გვიცხადებია და ეხლაც ვაცხადებთ, რომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირებს არაფერი არ სურს გარდა ძმური დახმარებისა გაერთიანებული ბრძოლის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად და მხურვალე სურვილისა გაერთიანებული მუშაობის საშუალებით შევქმნათ ნამდვილი საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობა.

ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ჩვენი კლასობრივი მტრებისა და მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის მოწინააღმდეგეების ცილის წამებას არ შეუძლია გასწყვიტოს კავშირი ინგლისის და რუსეთის პროფმოძრაობის შორის.

იმპერიალისტების „განიარაღება"

ამერიკა აღიდებს სამხედრო საჰაერო ფლოტს

ვაშინგტონი, 26 აგვისტო. ახალი პროგრამით გათვალისწინებულია ამერიკის საჰაერო ფლოტის გადიდება 282 ჰაეროპლანით, აქედან 100—მებრძოლი ჰაეროპლანია, 47—მზვერავი, 61—ყუმბარების და წამლების მფრქვეველი და 74 ჰაეროპლანი ვარჯიშობისათვის.

ეს პროგრამა არის დამატება ავიაციის გაფართოების 6 წლის სქემისა, რომელიც დამტკიცებულია კონგრესის მიერ.

მოკავშირეთა ვალების საკითხი

ხოუტონის ახალი გეგმა

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. გაზ. „ნიუ-იორკ უორლდის" ცნობით, ამერიკის ელჩი ლონდონში ხოუტონი ამ დღეებში დაბრუნდება ვაშინგტონში იმ მიზნით, რომ განიხილოს ვალების პირობების გადასინჯვის საკითხი იმ მტრულ განწყობილებასთან დაკავშირებით, რომელსაც ევროპის სახელმწიფოები იჩენენ შეერთებულ შტატების მიმართ. გაზეთების სიტყვით, ხოუტონი მომხრეა, რომ შემსუბუქებულ იქმნას ინგლისის ვალის გადახდის პირობები, და აგრეთვე, ალბად წინადადებას შეიტანს, რომ დაკლებულ იქმნას ამერიკის იმპორტის სატარიფო განაკვეთები.

საბჭოთა კავშირში

მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის

მოსკოვი, 27 აგვისტო. „პრავდა" მოწინავე წერილში „მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის" ხაზს უსვამს, რომ ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელებასთან ერთად პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირთა ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პროლეტარიატის ნივთიერი კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხებსაც.

„მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, სწერს „პრავდა", სდგება ჩვენს წინაშე, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მუშათა არსებობის ნივთიერი პირობების გაუმჯობესების შესახებ: ბინის საკითხი, სამუშაო ხელფასის საკითხი, წარმოებებში შრომის პირობების საკითხი და სხვ. ყველა ამ საკითხების გადაწყვეტა სახელმწიფოსაგან მოითხოვს მილიარდების დახარჯვას რამდენიმე წლის განმავლობაში. ამ თანხების ნაწილს ჩვენ მივიღებთ გლეხობის დანაგროვის მოზიდვის გზით. რასაკვირველია, იმდენად, რამდენადაც ეს ნაკარნახევი იქნება მუშურ-გლეხური ბლოკის განმტკიცებისა და შენარჩუნების აუცილებლობით. ზოგ ნაწილს თანხებისა ჩვენ მივიღებთ ბურჟუაზიული დაგროვების ბანაკში, რასაკვირველია ისეთ ფარგლებში, რომლებიც არ სპობენ „ნეპს". მაგრამ ძირითადი რეზერვი არის მეურნეობის სოციალისტური სექტორის რესურსები.

დამამტკიცებელი იმისა, რომ პარტია თავის სერიოზულ და პასუხისმგებელ ამოცანად სთვლის მუშათა კლასის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, არის ის, რომ იგი შეუდგა მომჭირნეობის რეჟიმის ფართო, ხანგრძლივ კამპანიის გატარებას.

ერთი მნიშვნელოვანი ზომათაგანი, რომელიც ხელს შეუწყობს სამუშაო ხელფასის მომატებას, მდგომარეობს ვაჭრობის დარგში მომჭირნეობის რეჟიმის კურსის მტკიცე გატარებაში და საქონლის სწორ განაწილებაში იმ მიზნით, რომ შემცირებულ იქმნეს მათი საცალო ფასი.

ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ნორმალური სამუშაო ხელფასის მომატების მნიშვნელობა ისპობა საცალო ფასების მაღალი დონით. აქედან გასაგებია ღრმა პოლიტიკური აზრი ფასების დაკლებისათვის ბრძოლისა, რომელიც განსვენებული ძერჟინსკის ინიციატივით დაიწყო.

პარტიამ აიღო მტკიცე კურსი მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სამუშაო ხელფასის აწევისა. ისეთივე მტკიცე კურსი, როგორიც აღებული არის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. ვინაიდან ერთი მეორესთან არის დაკავშირებული, ერთი მეორესაგან განუშორებელია.

ამ ამოცანის შესრულება,—უეჭველია, მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ პარტია ამ სიძნელეს არ მალავს მუშათა კლასისაგან. პარტია ფიქრობს, რომ ჩვენ შევსძლებთ ამ ძნელი ამოცანის გადაწყვეტას, ვინაიდან მუშათა კლასი შეიგნებს, რომ სწორედ ის გზები, რომელზედაც მას მიუთითებენ, არის ის გზები, რომლებიც ყველაზე უფრო სწრაფად მიგვიყვანენ დასახულ მიზნამდე!

გადმოცემულია ტელეგრაფით.

ღამის ცნობები

ინგლისის მემაღაროეთა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

ლონდონი, 26 აგვისტო. პარასკევს საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ინგლისის სამთა-მადნო მუშების ფედერაციის დელეგაცია. დელეგაციაში შედის 10 მაღაროს მუშა და 6 მაღაროს მუშის ცოლი, მათ შორის კუკის ცოლიც.

მემაღაროეთა დასახმარებლად

ბერლინი, 26 აგვისტო. ბერსელის მოთხოვნით გერმანიის პროფკავშირების ცეკამ გამოაქვეყნა მოწოდება ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა დახმარების შესახებ. მომავალ კვირაში ინგლისის მემაღაროეთა ბელადები გამოვლენ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში მასიურ მიტინგებზე მემაღაროეთა დახმარების შესახებ.

ამსტერდამის ინტერნაციონალმა ინგლისის ტრედიუნიონებთან და ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციასთან ერთად მოწოდება გამოუშვა გაფიცულთა დახმარების გასაძლიერებლად.

უშედეგოთ

ლონდონი, 26 აგვისტო. გაზეთების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მემაღაროეთა და მინისტრებს თათბირი სრულიად უშედეგოთ დამთავრდა.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში რიჩარდსმა განაცხადა, რომ მოლაპარაკების დროს ჩერჩილი ისეთ აშკარა უხეშათ იქცეოდა, როგორც მაღაროს მეპატრონეთა თავმჯდომარე ევენ ვილიამსი იქცეოდა მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის კონფერენციის დელეგატებთან.

„რამდენათაც საქმე შეეხება მათ, განაცხადა რიჩარდმა, მათ აშკარათ უნდათ ბრძოლა ბოლომდის".

საბჭოთა კავშირი და ფინლიანდიის საგარანტიო ხელშეკრულება

ჰელსინგფორსი, 26 აგვისტო. ჰელსინგფორსში დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და ფინლიანდიას შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ. საბჭოთა კავშირის მხრით მოლაპარაკებას აწარმოებს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ფინლიანდიაში ლორენცი, ფინლიანდიის მხრით-კი ენკელი, ტაშნერი და კოსკენი.

კალაგანის ევაკუაციის შემდეგ

პეკინი, 26 აგვისტო. ჩან-ძო-ლინისა და ჩან-ძუნ-ჩანის ჯარების ზოგიერთი ნაწილები, კერძოდ-კი ნეჩაევის თეთრგვარდიელთა რაზმი, განაგრძობს სახალხო არმიის კალაგანის იქით დევნას. მიუხედავათ ამისა, რეიტერის ცნობით, მოკავშირეთა მთავარი ძალების კალაგანს იქით გადასვლა კამპანიის ახალი გეგმის გამომუშავებამდე განზრახული არ არის. მოკავშირეთა ჯარების შტაბის ოფიციალური ცნობებით (კალაგანის სამხრეთ დასავლეთით 70 კილომეტრის მანძილზე) მოწინააღმდეგეებმა სახალხო არმიას წაართვეს 8 საბარგო მატარებელი სამხედრო ბარგით, 6 საველე ზარბაზანი და 1.000 თოფი.

დღეს კალაგანიდან ჩამოსული პიროვნებები, რომელიც პირველი სამგზავრო მატარებლით ჩამოვიდა, გვაცნობებს, რომ სახალხო არმიამ დაიწყო კალაგანის დაცლა. 14 აგვისტოს ევაკუაცია ჩატარდა წესიერად; ყოველგვარი სამხედრო იარაღების მარაგი გაზიდულია, ჯარიც გაყვანილია. ნეჩაევის რაზმი მისდევდა სახალხო არმიის ცხენოსან ნაწილს, რომელიც უკანასკნელად გავიდა ქალაქიდან.

ამჟამად ქალაქში ქაოსია გამეფებული.

ხელშეკრულების პროექტი პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის

მოსკოვი, 27 აგვისტო. გარეშე საქმეთა კომისარიატი იუწყება: „საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ვარშავაში, ამ დღეებში გადასცა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ხელშეკრულების პროექტი თავზე არ დასხმის შესახებ, თავის შეკავება ყოველგვარი აგრესიული მოქმედების შესახებ, თითეული მხარის მიერ ნეიტრალიტეტის დაცვისა, თუ ერთ მათგანს თავს დაესხმის მესამე სახელმწიფო, მონაწილეობის მიუღებლობა ისეთ პოლიტიკურ და ეკონომიური ხასიათის ხელშეკრულებაში, რომელიც მიმართული იქნება მეორე ქვეყნის წინააღმდეგ და სადაო საკითხების გადაწყვეტისა შერეული შეთანხმებული კომისიის მიერ.

საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსთქვა სურვილი, რომ აქტების ხელის მოწერა მოხდეს პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ზალესკის აგვისტოში, მოსკოვში ჩამოსვლის დროს ჩიჩერინის შარშანდელი ვიზიტის საპასუხოთ. მაგრამ პოლონეთის მთავრობა ამ წინადადებას თანაგრძნობით არ შეხვდა. სამაგიერო ვიზიტი უნდა მომხდარიყო მაისში, მაგრამ პოლონეთში მომხდარ გადატრიალების გამო გადაიდვა. ჩიჩერინის ავადმყოფობის გამო, ზალესკის სამაგიერო ვიზიტი გადადებულია შემოდგომის დამლევისათვის.

გაფიცვა

ინდო-ევროპიულ ტელეგრაფზე

კენინგამის განცხადება და ფოსტა-ტელეგრ. მუშაკთა კავშირის პასუხი

მოსკოვი, 28 აგვისტო. საზოგადოება „ინდოს" რწმუნებულმა მოსკოვში კენინგამმა ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატს მიმართა თხოვნით, რომ შუამავლობა იკისროს საზოგადოება „ინდოს" და ფოსტა-ტელეგრ. მუშაკთა ცეკას შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად.

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა ცეკა სწერს: „კენინგამმა ჩვენი თვალსაზრისით დაუშვებელ მეთოდს მიმართა, 20 აგვისტოს წამოაყენა მოთხოვნილება (გამოტოვებულია) 36 საათის განმავლობაში ყველა მისი წინადადებანი. საზოგადოება პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ სამუშაოზე არ იქმენ დაშვებული „ინდოს"-ის თანამშრომლები—ინგლისის მოქალაქენი, რომლებიც კავშირის წევრები არ არიან და რომლებიც უსაბუთოდ სთვლიან გაფიცვის გამოცხადებას. საზოგადოება სთხოვს განმარტებულ იქნას საკონცესიო ხელშეკრულება ისე, რომ მხედველობაში იქნას მიღებული კეთილსინდისიერების გონიერი გაგება".

კენინგამის განცხადების გამო საბჭოთა კავშირის ტელეგრ. სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს:

„განსხვავება ინდო-ევროპიულ საზოგადოებისა და ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის თანამშრომელთა ხელფასის შორის არის იმის გამო, რომ „ინდოს" წარმოებებში შემოღებულია ჯამაგირის მომატება დამსახურებული წლების მიხედვით. თუ ამ მომატებას გამოვაკლებთ, მაშინ ხელფასი რამდენადმე დაბალი იქნება იმ ხელფასთან შედარებით, რომელიც დაწესებულია ფოსტა-ტელეგრაფისა და გზათა მიმოსვლის კომისარიატის მუშაკთათვის, განსაკუთრებით სოფლის ადგილებში.

რაც შეეხება მითითებას იმაზე, რომ „ინდოს" თანამშრომელთა მხრით არ იყო უკმაყოფილება გაფიცვის გამოცხადებამდე, უნდა ითქვას, რომ ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ცეკას განკარგულებაში არის მრავალი განცხადებანი ადგილობრივ პროფკავშირთა ორგანიზაციებისაგან, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ ჯამაგირის არა 20, არამედ 33 პროცენტით მომატებას. ახლო მომავალში ფოსტა-ტელეგრაფის ცეკა გამოაქვეყნებს ამ რეზოლიუციებს, რომლებიც ნათლად ახასიათებენ „ინდოს" თანამშრომელთა უკმაყოფილებას თავიანთი ნივთიერი მდგომარეობით. საზოგადოება უარს ამბობს მივლინების ხარჯების გადიდებაზე, ანგარიშს არ უწევს ჩვენი შრომის კანონმდებლობას, რომელშიაც ნათლად არის ნათქვამი ამის შესახებ. ფოსტა-ტელეგრ. კომისარიატი ხომ აძლევს მივლინების ხარჯებს მონტიორებს და სხვ. ჯამაგირის გარდა. გაუგებარია, რატომ „ინდო" ამბობს უარს კანონიერ მოთხოვნილების შესრულებაზე.

შემდეგ კენინგამი აცხადებს, რომ 36 საათის განმავლობაში, რომელიც მას მიეცა გაფიცვის გამოცხადებამდე საბოლოო პასუხისათვის, მან ვერ მოასწრო ლონდონს დალაპარაკებოდა. მაგრამ იგი არ ამბობს არაფერს იმაზე, რომ გაფიცვას წინ უსწრებდა მოლაპარაკება „ინდოს" ადმინისტრაციისა და ფოსტა-ტელეგრ. ცეკას შორის, რომელიც 9 თვეს გაგრძელდა. ეს ვადა სავსებით საკმაო იყო ყოველგვარ გაუგებრობათა გამორკვევისათვის.

ინგლისის მოქალაქეთა სამუშაოზე არ დაშვებას არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა იმიტომაც, რომ უბრალო მუშებს შორის ასეთები არ არიან. ინგლისის მოქალაქენი მხოლოდ ადმინისტრაციის წევრები არიან, რომლებიც ტელეგრაფზე მუშაობის შეწყვეტის შემდეგ უსაქმოდ არიან. მართლაც, ფოსტა-ტელეგრ. კავშირის განკარგულებაში მყოფ ცნობებით, 23 აგვისტოს, გაფიცვის პირველ დღეს, ადმინისტრაციის წევრები და ინგლისელები ამთავრებდნენ მუშაობას. ისინი ჯამს უკეთებდნენ წარსული დღის მუშაობას. ინგლისელ მოქალაქეთა მუშაობაზე დაუშვებლობის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია".

ფოსტა-ტელეგრ. კომისარიატის პასუხი

მოსკოვი, 27 აგვისტო. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატი კენინგამისადმი პასუხში აღნიშნავს, რომ ეს კონფლიქტი მოგვარებულ უნდა იქნეს უშუალო მოლაპარაკებით ადმინისტრაციისა და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ცეკას შორის.

ამავე დროს ფოსტა-ტელეგრ. და გზათა მიმოსვლის კომისარიატი ურჩევს, რომ რაც შეიძლება მალე იქნას მოგვარებული კონფლიქტი, რომ შესაძლო გახდეს დარღვეული კავშირის აღდგენა.

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია საქართველოში

თბილისის წარმოება-დაწესებულებების დათვალიერება

27 აგვისტოს, დილის 9 საათიდან გერმანიის მუშათა დელეგაცია დაიყო 5 ჯგუფად და გაემგზავრა თბილისის ქარხნების, სახელოსნოების და სხვა წარმოებათა დასათვალიერებლად.

ერთი ჯგუფი დელეგატებისა გაემგზავრა კომკავშირელებთან მათი ცხოვრებისა და მუშაობის გასაცნობად.

მეორე ჯგუფმა დელეგაციის თავმჯდომარე კერბერის მეთაურობით დაათვალიერა საფოსტო დაწესებულებები და კოოპერატიული ორგანიზაციები. **მესამე** ჯგუფმა დაათვალიერა გერმანიის ახალშენები ასურეთში. **მეოთხე** ჯგუფმა დაათვალიერა ცეკას სტამბა და სპილენძის სადნობი ქარხანა; მეხუთე ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ ამხ. ამხ. **კრაფტი, ზინკერტი, ბუსერი** და **ბიუნცელი** გაემართნენ რკინის გზის სახელოსნოების დასათვალიერებლად.

ა.-კ. რკინის გზის პროფკავშირში

დეპოში მიმავალ დელეგაციის წევრებმა გზათ შეიარა ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობაში.

იქ მათ მიეგებნენ კავშირის პრეზიდიუმის წევრები: **სტეპანოვი, ჭაჭაკიძე** და სხვები. ამხ. სტეპანოვი მიესალმა სტუმრებს და სთქვა:

ამხ. სტეპანოვის მისალმება

ჩვენ მოხარული ვართ ძვირფასი სტუმრების ნახვით. ჩვენთან ბევრი დელეგაციები იყვნენ, რომლებიც დაწვრილებით გაეცნენ საქართველოს მუშების ყოფა-ცხოვრებას. ამხ. გერმანელებო! თქვენს საბჭოთა საქართველოში მოგზაურობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან თქვენ დარწმუნდებით იმაში, თუ როგორ ზრუნავს საბჭოთა ხელისუფლება სახელმწიფოს ეკონომიურად და კულტურულად ასაღორძინებლად. გადაეცით გერმანელ ამხანაგებს თუ როგორ ვმუშაობთ ჩვენ. თქვენი დახმარებით და თქვენთან მთლიანი ფრონტით ჩვენ კიდევ მეტის გაკეთებას შევსძლებთ. გადაეცით გერმანიის რკინისგზის პროლეტარიატს ჩვენი ძმური სალამი.

ამხ. ბუსერის სიტყვა

ამხ. სტეპანოვის მისალმების საპასუხოთ დელეგაციის წევრმა ამხ. ბუსერმა სთქვა: მართალია, ჩვენ არ ვართ თქვენსავით თავისუფალი, მაგრამ ჩვენ მომავალში ყოველ ზომას ვიხმართ და ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ თქვენ დაგეწიოთ, ყოველ შემთხვევაში უკან არ ჩამოვრჩებით.

მთავარ სახელოსნოებში

დელეგაციის წევრებს დიდათ აინტერესებდათ რკინის-გზის მუშების მდგომარეობა და ამ მიზნით დელეგაციის ზოგიერთი წევრები, გუშინ, დილის 10 საათზე, ესტუმრნენ მთავარ სახელოსნოებს და დეპოს.

სტუმრებმა ყურადღებით დაათვალიერეს ორთქლმავლები. შემდეგ დაათვალიერეს საჭედი.



რ. ზინკერტი

დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე, კალატოზი, კომუნისტი.

დელეგატების ყურადღება მიიპყრო სამქროში ახალგაზრდობის სიმრავლემ. ესაა სასწავლო ბრიგადა. აქ მზადდება კვალიფიციური მუშების კადრი.

სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე მთავარი სახელოსნოების უზარმაზარი სახარატო ცეხი.

დელეგატებმა აქაც გამოკითხეს მუშებს, თუ როგორია მათი შრომის პირობები, შრომის ხელფასი, რა მდგომარეობაშია დაზღვევის საქმე და სხვა.

ყველა ამ კითხვებზე დელეგატებმა ამომწურავი პასუხი მიიღეს მათ გარშემო შეკრებილ მუშებისაგან.

დელეგატები ათვალიერებენ ყველა დარგებს, ელაპარაკებიან მუშებს. მუშების მდგომარეობით დელეგატები მეტად კმაყოფილი რჩებიან.

დელეგაცია გამოესალმა მუშებს შემდეგი სიტყვებით:

ჩვენ გავეცანით საბჭოთა საწარმოო ცხოვრებას და დავრწმუნდით, რომ თქვენ ადგეხართ სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

— ჩვენ გვეუბნებოდნენ საბჭოთა კავშირში ყველაფერი ინგრევაო და აქ-კი რას ვხედავთ. მრეწველობისა და წარმოების განვითარება მიმდინარეობს ჩქარი ტემპით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ასეთი შრომითა და ენერგიით საბოლოოდ გაიმარჯვებთ.

მუშები შემდეგი სიტყვებით აცილებდნენ ძვირფას სტუმრებს:

ამხ. გერმანელებო! გადაეცით ჩვენი მოძმე გერმანიის პროლეტარიატს, რომ ჩვენი სანატრელი სურვილია იქაც მოხდეს ის, რაც ჩვენ მოვახდინეთ და ჩვენ, როგორც ერთი კაცი ერთ ფეხზე დავდგებით და დავეხმარებით.

კომკავშირის ცეკაში

გერმანიის სოციალისტური ახალგაზრდობის წარმომადგენლები ამხ. **ბუხსარდსი, რიმერი, შენებურგი, ლიუდვიგი, ხამრადი** და **შტეინიკე**, რომლებიც გერმანიის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან, დღეს მთელი დღე ეცნობოდნენ თბილისის კომკავშირის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

პირველ რიგში ისინი ეწვიენ საქართველოს კომკავშირის ცეკას, სადაც მეგობრული საუბრის შემდეგ დაესწრნენ საქართველოს კომკავშირის ცეკას სხდომას.

სახელმწიფო გამომცემლობაში

სხდომის გათავების შემდეგ დელეგაცია ეწვია საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის საბავშვო გამომცემლობის სექციას. აქ მათ მოისმინეს სახელმწიფო გამომცემლობის გამგის დაწვრილებითი მოხსენება საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის შესახებ. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დელეგატებში დასაბეჭდათ დამზადებული კარლ მარქსის „კაპიტალის" ქართული თარგმანის ხელთნაწერმა. აქვე სტუმრებს გადასცეს საჩუქარი—პარიზში მომუშავე ქართველი მხატვრების სურათების ალბომი, რისთვისაც მათ უღრმესი მადლობა გამოსთქვეს.

სტამბა „კომუნისტი"-ს დათვალიერება

დელეგაციის მეოთხე ჯგუფმა, რომელშიაც შედიოდა მბეჭდავი **რიხარდ ბურგარდი, ოსკარ ფეიგ, იოზეფ ლენც** და სხვ. დაათვალიერა ახალი სტამბა, სადაც იბეჭდება ქართული გაზეთები.

როგორც მბეჭდავი, მუშებს პირველი გამოესაუბრა ამხ. ბურგარდი.

დელეგატებმა დაწვრილებით დაათვალიერეს სტამბის ყველა განყოფილებები.

სტამბებში დელეგატებს ძლიერ მოეწონათ შრომის დაცვის საუკეთესო პირობები.

საროტაციო მანქანები ამუშავა გერმანიიდან ჩამოსულმა მუშამ **რუზერმა**, რომელმაც დასდგა ეს საროტაციო მანქანები.

ამხ. რუზერი სტუმრებს აძლევდა სათანადო ახსნა-განმარტებას.

ამის შემდეგ დელეგატები ესტუმრნენ ჩვენი გაზეთის რედაქციას.

სტამბის დათვალიერების შემდეგ, სტუმრები ძლიერ კმაყოფილნი გაემგზავრნენ სპილენძის სადნობ ქარხანაში.

სპილენძის ქარხანაში

დელეგატები სპილენძის სადნობ ქარხანაში მივიდნენ იმ დროს, როდესაც გაცხარებული მუშაობა სწარმოებდა.

წითელმა დირექტორმა **იუზბაშევმა** გერმანულ ენაზე გააცნო სტუმრებს მიმდინარე მუშაობის სურათი.

მელითონე **ოსკარ ფეიგმა** გამოკითხა დირექტორს, თუ რამდენს ღებულობს მუშა თვიურ ჯამაგირს და ჩაიწერა უბის წიგნში.

გამოირკვა, რომ ჩვენი მუშა მეტს ღებულობს, ვინემ გერმანიის მუშა.

დელეგატები დაწვრილებით ათვალიერებენ თვითეულ წვრილმანს. ხანგრძლივი მეგობრული საუბრის შემდეგ დელეგაცია გაემგზავრა სამხატვრო გალერეაში.

სამხატვრო გალერეაში

სამხატვრო გალერეაში სტუმრები აღტაცებაში მოიყვანა ძველი მხატვრების და ქანდაკების ნიმუშებმა. გალერეის გამგე მათ სათანადო ახსნა-განმარტებას აძლევდა.

ძალიან მოეწონათ დელეგატებს წარმოებებთან მოწყობილი სხვადასხვა წრეები, სამკითხველოები, კლუბები და სხვა.

ჩვენს თანამშრომელს მათ გაუზიარეს თავიანთი აღფრთოვანება წარმოებებში ნახულის და მოსმენილის შესახებ.

დელეგაცია ახალ სტამბაში



Eine Gruppe der II. deutschen Arbeiter Delegation besuchte heute die Staatsdruckerei Tiflis, ein neu hergestelltes Unternehmen. Ein Monteur der M.A.N., namens Ruser geleitete uns durch den Betrieb, u. gab uns technische Aufklärung. Wir konnten uns davon überzeugen, daß alle typographischen Maschinen modernster deutscher Konstruktion sind, u. waren überrascht, daß im Kaukasus so etwas Vollkommenes auf diesem Gebiet zu finden ist. Wir sahen eben hier ein gewaltiges Stück Aufbauarbeit des neuen Georgien.

Josef Lenz.

გერმანიის მუშათა მე-2 დელეგაციის ერთმა ჯგუფმა დღეს ინახულა ახლად მოწყობილი სახელმწიფო სტამბა თბილისში. მონტიორმა რუზერმა მთელი წარმოება დაგვათვალიერებინა და ტეხნიკური ახსნა-განმარტება მოგვცა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ყველა ტიპოგრაფიული მანქანები გერმანული კონსტრუქციისაა და გაოცებული დავრჩით, როცა დავინახეთ, რომ კავკასიაში ამ დარგში ასეთი გაუმჯობესებისთვის მიუღწევიათ. აქაც ჩვენ ვიხილეთ ახალი საქართველოს აღმშენებლობითი მუშაობის დიდებული მაგალითი.

იოზეფ ლინც

ფოსტა-ტელეგრაფის დათვალიერება

დელეგაციის ერთ-ერთმა ჯგუფმა ამხ. კერბერის ხელმძღვანელობით და ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. **ჯანი-ბახჩიევის** თანხლებით დაათვალიერა ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის უწყებები.

დელეგაციის თავმჯდომარე **ფრიც კერბერი** დაწვრილებით ეცნობოდა აღნიშნულ უწყებების მუშაობას. კერბერის კითხვებზე თანამშრომლები აძლევდნენ ამომწურავ პასუხს.

გერმანელთა ახალშენში

დელეგაციამ ასურეთში დაათვალიერა ადგილობრივი ელსადგური, სავადმყოფო და სხვ.

დელეგატებს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ ასურეთში მცხოვრებ გერმანელებთან და დიდათ დაინტერესებული იყვნენ მათი ყოფა-ცხოვრებით.

გაიმართა პატარა მიტინგი. ადგილობრივი მცხოვრებლები დიდ სიხარულს გამოსთქვამდნენ დელეგაციის ნახვის გამო.

დელეგაციას მიესალმა გლეხი **ფიშერი**, რომელმაც გააცნო მათ თავიანთი ცხოვრების პირობები და დასძინა, რომ ისინი ფრიად კარგს პირობებში იმყოფებიან.

სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე საქართველოს საბჭოთა მუშაკების კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. **ნ. ღლონტმა**, რომელმაც გააცნო ხალხს დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი.

დელეგაციის წევრმა **კერბერმა** დიდი მადლობა გადაუხადა მათ ძმური შეხვედრისათვის.

პროფსაბჭოს საზეიმო სხდომა

გუშინ, საღამოს 7 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბში გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის საპატივცემლოდ შესდგა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს საზეიმო სხდომა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტებისა და კავშირების ცენტრალურ გამგეობათა წევრების თანდასწრებით.

საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. **გ. ჟურულაშვილმა**, რომელმაც დელეგატებს მიმართა შემდეგი სიტყვით:

ამხ. ჟურულაშვილის სიტყვა

ამხანაგებო! გასულ წელს საქართველოს ესტუმრა გერმანიის მუშათა დელეგაცია. დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო სოციალისტურ აღმშენებლობას საქართველოში და აქ ნახული გადასცა თავიანთ ძმებს. ვინაიდან პირველი დელეგაციის საბჭოთა კავშირში მოგზაურობამ დისკუსია გამოიწვია გერმანიაში, ამიტომ ჩვენში გამოემგზავრა გერმანელ მუშათა მეორე დელეგაცია, რომელშიაც შედიან სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები და სხვადასხვა პროფესიის მუშები.

პირველმა დელეგაციამ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა.

ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო იქნება, რომ მუშათა დელეგაციები ჩვენს ქვეყნებში ხშირ-ხშირად ჩამოდიოდნენ, მაგრამ მათ ამის საშუალებას არ აძლევენ ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიები. გარდა ამისა კარგი იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირიდანაც იგზავნებოდეს დელეგაციები ევროპაში, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამის საშუალებას მოკლებული ვართ და თუ ხელისშემწყობი პირობები დადგება, ამ განზრახვას განვახორციელებთ.

ჩვენი მთავარი ამოცანაა მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნა, მით უმეტეს, რომ დღეს მშრომელი კლასი გარსშემორტყმულია აუარებელი მტრებით.

ევროპის კაპიტალისტური და ბურჟუაზიული სახელმწიფოები სცდილობენ წაართვან მუშებს ის უფლებები, რომლებიც დიდის ბრძოლით და ვაი-ვაგლახით მოიპოვა პროლეტარიატმა. გავიხსენოთ თუნდაც ინგლისის მემაღაროეთა ბრძოლა 7 საათის სამუშაო დროის შესანარჩუნებლად და სხვა.

ორატორმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო მთლიანი ფრონტის შექმნის საჭიროებას და დასასრულ იმედი გამოსთქვა, რომ გერმანიის მუშათა კლასი ხელი-ხელ ჩაკიდებული წავა საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატთან ერთიანი ფრონტის შესაქმნელად, რათაც გაგვიადვილდება საბოლოო მიზნის—სოციალიზმის მიღწევა.

გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატს და სოციალიზმის დამყარებას გერმანიაში,—დაამთავრა თავისი სიტყვა ამხ. გ. ჟურულაშვილმა.

ამხ. ჟურულაშვილის სიტყვა გადათარგმნილ იქნა გერმანულ ენაზე.

შემდეგ საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენელი **ბოგდანოვი** აცნობს კრებას დელეგაციის წევრებს ცალკ-ცალკე.

ამხ. კუპრაშვილის სიტყვა

დელეგატებს ესალმება ძველი მუშა ლავრენტი კუპრაშვილი. ორატორი ეხება რა საქართველოს მენშევიკური პარტიის ღალატს რევოლიუციისადმი ამბობს, რომ 1921 წლიდან მენშევიკურმა პარტიამ ფეხი შესდგა შემცდარ გზაზე და აწარმოებდა ბრძოლას რევოლიუციის წინააღმდეგ. ეს გარემოება გამოწვეული იყო მით,—ამბობს ორატორი, რომ ჩვენ მენშევიკურ ბელადებს უსაზღვროთ ვენდობოდით და ამით მათ დაღუპვის კარამდის მიიყვანეს საქართველოს მუშათა კლასი. აგვისტოს ავანტიურამ სულთათანა უგალობა ბურჟუაზიის ლაქია—მენშევიკებს და მაშინ ნათლად გამოირკვა თუ ვინ არის საქართველოს ხალხის მტერ-მოყვარე. ამის შემდეგ მენშევიკური პარტიის წევრები—მუშები, გონს მოვიდნენ და 1924 წ. 7—8 ოქტომბერს ნაძალადევში, პლეხანოვის თეატრში, შეიკრიბა 5.000 კაცი, რომელმაც ერთხმად მიიღო დადგენილება საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესახებ. არჩეული იქნა მუშათა კომისია, რომელიც დღესაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ინტენსიურ მუშაობას საქართველოს მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

დასასრულ ორატორმა განაცხადა:

თუ გერმანიის მუშათა დელეგაცია მოისურვებს, ჩვენ მათ გავაცნობთ მუშათა კომისიის მიერ 2 წლის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას, საიდანაც ნათლად დაინახავენ, თუ როგორ ჩამოშორდა მენშევიკურ პარტიას მშრომელი მასა.

ამხ. კერბერის სიტყვა

ამხანაგებო! ჩვენ თქვენთან გამოგზავნილი ვართ 100.000 მუშის მიერ, მართალია, გერმანიის მუშები ჩამორჩნენ თქვენ რევოლიუციურ ბრძოლაში, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ჩქარა ამოგიდგებით გვერდში. ჩვენ ვართ აქ ჩამოსული განსაკუთრებული დავალებით.

ჩვენ მოვიარეთ რუსეთის სამრეწველო ქალაქები და რაიონები და დაწვრილებით გავეცანით აღმშენებლობითი მუშაობას და **დავრწმუნდით, რომ რასაც საზღვარგარეთელი ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული გაზეთები სწერენ საბჭოთა კავშირის შესახებ, ყველაფერი ის ცილისწამება და ჭორი ყოფილა.** ჩვენ ვიცით, თუ როგორ გაანადგურა საბჭოთა კავშირის მეურნეობა მსოფლიო იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომმა. მიუხედავათ ამისა **საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო დანგრეული მეურნეობის აღდგენა.**

მე ღრმად დავრწმუნდი, რომ თქვენ შეგწევთ მშენებლობის უნარი. მე საკმაო ფაქტიური მასალებით გამოვალ გერმანიის მუშათა წრეებში და მიუდგომლად გავაშუქებ ყოველივეს აქ ნახულს.

ჩვენ მრავალი დაბრკოლებები გვეღობებოდა წინ საბჭოთა კავშირში გამომგზავრების წინ. ბურჟუაზიული და „სოციალისტური" პრესა სასტიკ კამპანიას აწარმოებდა ჩვენს წინააღმდეგ. ბევრს პარტიიდან გამორიცხვით დაგვემუქრნენ, ზოგიერთ ამხანაგებზე ეს „ზომა" უკვე განახორციელეს. მუქარამ ჩვენ ვერ დაგვაშინა. ჩვენი მიზანი მიღწეულია. **ჩვენ მივალთ და ყველაფერს დაუფარავად უამბობთ გერმანიის მუშებს.**

დასასრულ კერბერმა სთქვა: **ვიძლევი პატიოსან სიტყვას, რომ გამოვალ მუშათა საერთო კრებებზე გერმანიაში და გავაქარწყლებ იმ ჭორებს, რომლებსაც გერმანიის მუშათა წრეებში ავრცელებენ. მივიღებთ ყოველგვარ ზომებს მთლიანი მუშათა ფრონტის შესაქმნელად.** (ტაში).

ამხ. მუსკოლცის სიტყვა

დელეგაციის წევრმა მუსკოლცმა სთქვა: გერმანიაში კაპიტალისტებს კომუნიზმის აჩრდილი დიდ შიშსა გვრის. იქ არ სცდილობენ გაიგონ თუ რა არის საბჭოთა ხელისუფლება და თუ როგორია მისი სტრუქტურა. მხოლოდ გერმანიის პროლეტარიატია დაინტერესებული იმით, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში. მართალია, ჩვენ ვიცოდით, რომ საბჭოთა კავშირის შესახებ გავრცელებული ხმები მართალი არ იქნებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც ჩამოვედით თქვენთან. ჩვენ საბჭოთა კავშირიდან ბევრი რამ შევისწავლეთ. როდესაც ჩვენ ამას უამბობთ გერმანიის მუშებს, ისინი, და არა მარტო ისინი, არამედ ყველა ქვეყნის მუშები ჩვენთან ერთად იბრძოლებენ პროლეტარიატის მთლიანი ფრონტის შესაქმნელად.

ჩვენ განცვიფრებაში მოგვიყვანა იმ გარემოებამ, თუ როგორი ძმური დახმარება აღმოუჩინა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა ინგლისის მემაღაროეებს, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნის მუშები სდუმან დახმარების აღმოჩენაზე. ჩვენი ლიდერები სცდილობენ ჩაგვიშალონ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ერთიანი ფრონტის შექმნის საქმე, მაგრამ ჩვენ მედგრათ ვიბრძოლებთ მის განსახორციელებლად.

ამხ. ბოგდანის სიტყვა

დელეგატებს წითელი არმიის სახელით მიესალმა ამხ. **ბოგდანი**, რომელმაც, სხვათაშორის, სთქვა:

წითელი ლაშქარი კომუნიზმის სკოლაა.

ამხ. ბოგდანმა ასე დაასრულა თავისი მისალმებელი სიტყვა: „გაუმარჯოს გერმანიის მომავალ წითელ-ჯარს".

ყველა დელეგატების სიტყვებს ფარავდა მქუხარე ტაში.

სხდომა დაიხურა ინტერნაციონალის ჰიმნით. სხდომის დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი

რეზოლიუცია

საქართველოს პროფკავშირების გაფართოებული პლენუმი საქარხნო კომიტეტების მონაწილეობით მხურვალე სალამს უძღვნის გერმანიის მუშათა კლასის მეორე დელეგაციას და მის სახით გერმანიის მუშათა კლასს—საქართველოს პროლეტარიატი გამოსთქვამს სიხარულს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის მთავარი ლოზუნგი მსოფლიო მუშათა კლასის მთლიანობის შესახებ უახლოვდება თავის განხორციელებას, ყოველი მუშათა დელეგაცია, რომელიც ჩამოდის საბჭოთა კავშირში არის შემაერთებელი ხიდი მუშათა კლასის მთლიანობის შესაქმნელად ევროპის და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს შორის. მხოლოდ ეს კავშირი მისცემს ძალას მსოფლიო პროლეტარიატს დაამხოს მსოფლიო ბურჟუაზიის ბატონობა და დაამყაროს მუშათა კლასის ხელისუფლება ყველა ქვეყნებში.

გაუმარჯოს გერმანიის მუშათა კლასს!

გაუმარჯოს მუშათა კლასის მთლიანობის ფრონტს!

გაუმარჯოს მომავალ მსოფლიო რევოლიუციას!

დელეგაციის მთელი შემადგენლობა დღეს დაათვალიერებს ზაჰესს, გამაჯანსაღებელ სახლს და სხ. დღესვე დელეგაცია ეწვევა მთავრობას. დღეს საღამოთი დელეგაცია გაემგზავრება ბორჯომ-ბაკურიანში.

ბორჯომიდან დელეგაცია გაემგზავრება ბათომში, შემდეგ სოხუმში—იქიდან კი როსტოვში.

პარტიული ცხოვრება

ბავშვთა კვირეულის გამო

ამ.-კავკ. მშრომელთა ყველა ნორჩ პიონერებს, ყველა ბავშვებს

ნორჩო ამხანაგებო!

იწყება მე-6 საერთაშორისო ბავშვთა კვირა,—კვირა კომუნისტურ ბავშვთა რიგების შემოწმებისა, ყველა ქვეყნის პროლეტარულ ბავშვების გამოძახებისა.

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა, შრომის კაპიტალთან ბრძოლის ნიადაგზე აღზრდილი, წარმოშობის პირველ დღიდანვე ატარებდა კლასიურ ხასიათს, იგი მუშათა კლასის საერთო ბრძოლაში სახავდა ბავშვთა მოძრაობის სპეციფიურ ამოცანებს. ჯერ კიდევ კაპიტალიზმის განვითარების განთიადზე, მოგების სურვილით გატაცებულმა კაპიტალიზმმა წარმოებაში გადაისროლა ასი ათასობით, მილიონობით უპატრონო ბავშვი, როგორც ყველაზე უფრო იაფი მუშა ხელი. სიღარიბისა და სიმშილის გამო კაპიტალისტურ წარმოებაში ჩაბმულ ბავშვების შრომის არა ადამიანურ, არაჩვეულებრივ ექსპლოატაციას უხდენდნენ და უხდენენ, ასე, მაგალითად, ოფიციალურ სტატისტიკის თანახმად, შეერთებულ შტატებში 15 წელზე ნაკლები ხნის ბავშვები არა უმცირეს ორი მილიონისა დაქირავებულ შრომას ეწევიან. კალიფორნიაში წარმოებაში მუშაობს 150.000 ბავშვი. კოლორადოსა და მიჩიგანის შტატებში მშრომელთა ერთი მეოთხედი 10 წელზე ნაკლები ხნისაა, მეორე მეოთხედი—10-დან 12 წლამდეა. ერთი მესამედი მათგანი მუშაობს ყოველდღიურად 11 საათს და ერთ მერვედზე მეტი კი ყოველდღიურად მუშაობს 12-დან 15 საათამდე.

შეერთებული შტატების სანახშირო მაღაროებში მუშაობს ბავშვების მთელი არმია, რომელიც ვირებს მწყემსავს და ნახშირს აგროვებს.

გერმანიაში 10-12 წლის ბავშვები დილის 8-დან ღამის 11 საათამდე მუშაობენ. ინგლისში მიწის ქვეშ მუშაობს 50.000 ბავშვი. მხოლოდ მარტო ლანკაშირში ამ ჟამად მუშაობს 8.000 მეტი ბავშვი 14 წლისაზე ნაკლები ხნისა, ჩამომხმარ ქარხნებშიაც კი მუშაობენ 14 წელზე ნაკლები ხნის ბავშვები. განსაკუთრებით მძიმე ცხოვრების პირობები აქვთ ბავშვებს აღმოსავლეთის ქვეყნებში. მხოლოდ მარტო ერთ ქალაქში შანხაიში უცხოეთის კაპიტალისტების ქარხნებში, რომლებიც მთელ ჩინეთზე ბატონობენ, მუშაობს 170.000 ჩინელი ბავშვი, რომელთაგან 20.00-% მეტი ბავშვი 10 წელზე ნაკლების ხნისაა. ყველა ისინი საშინელი სიმშილის გამო იძულებული არიან იმუშაონ 10-12 საათი, ხანდახან კი 16 საათიც დღეში.

ბავშვების მუშაობა უსაშინელეს პირობებში სწარმოებს, უმეტეს შემთხვევაში ღამ-ღამობით, შრომის ხელფასი კი 5 მანეთს არ აღემატება. უკეთ არ არის დაყენებული ბურჟუაზიული სკოლების წესებიც. იქ დღემდე არსებობს ბავშვების ფიზიკური დასჯა, კარცერში ჩასმა და სხ. მშრომელთა ბავშვების უმრავლესობას კი, რომელიც წარმოებაში არის ჩაბმული, საშუალება არა აქვს სკოლაში იაროს. ასეთია ბავშვების მდგომარეობა ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყნებში და აღმოსავლეთის დაჩაგრულ ქვეყნებში, ასე ცხოვრობენ ბავშვები წითელი საზღვრების იქით.

მხოლოდ ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება ეკუთვნის მუშებსა და გლეხებს, მშრომელთა ბავშვებს აქვთ ფართო შესაძლებლობა თავისუფლად აღიზარდონ კომუნისტურ საფუძველზე, ისწავლონ, განვითარდნენ, იმუშაონ. მუშურ-გლეხური ხელისუფლება ყოველი საშუალებით სცდილობს, რომ საუკეთესო ნიადაგზე დააყენოს ბავშვთა აღზრდის საქმე.

ყოველ წლობით სულ უფრო და უფრო მძლავრად იჩენს თავს კაპიტალისტური ქვეყნების რევოლიუციონურ მუშებში მისწრაფება, ჩამოაგდონ ბურჟუაზია, მდიდრები და დაამყარონ თავიანთი ხელისუფლება. იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი რევოლიუციონური პროლეტარიატის რიგები ყოველ წლობით სწირავს აუარებელ მსხვერპლს. ბურჟუაზია, მსოფლიო რევოლიუციის საფრთხის წინაშე აცახცახებული, სულთმობრძავი, იტაცებს პროლეტარიატის რიგებიდან კომუნიზმისათვის საუკეთესო მებრძოლებს. საუკეთესო მომავლისათვის ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო მუშები, არამედ მათი შვილებიც.

ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია საზღვარგარეთის კომკავშირთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ამტკიცებს, აფართოებს თავის რიგებს, ეხმარება კომპარტიას და კომკავშირს, მუშათა კლასს განმანთავისუფლებელ ბრძოლაში. სკოლაში, ფაბრიკაში თუ დემონსტრაციებზე ამ „პატარა კომუნისტებს" შეაქვთ თავიანთი წვლილი მუშათა კლასის საქმეში. ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების ეს ზრდა არ მოსწონთ ევროპისა და ამერიკის მმართველ კლასებს. მათ სურთ პიონერების ჩახრჩობა, სვამენ მათ ციხეებში, სცემენ, უნდათ მოსპონ ბავშვთა კომუნისტური ჯგუფები. „მაგრამ განა შეიძლება შეჩერებულ და მოსპობილ იქმნას ამომავალი მზე".

ბავშვთა კომუნისტურმა ორგანიზაციამ მთელ მსოფლიოში კომკავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა წინ თავისი თვისობრივი და რაოდენობითი განვითარების გზაზე. პატარა, თანდათანობით ჩამოყალიბებულ უმნიშვნელო ჯგუფებიდან ეხლა ისინი გადაიქცნენ მასიურ კომუნისტურ ორგანიზაციებად, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ მშრომელთა ბავშვების ფართო ფენებს.

საბჭოთა კავშირში ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა დაუბრკოლებლივ ვითარდება ლენინურ კომკავშირის ხელმძღვანელობით. თუ ერთი წლის წინედ საბჭოთა კავშირის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის რიგებში მე-5 საერთაშორისო ბავშვთა კვირისათვის ირიცხებოდა ერთი მილიონი პიონერი, ეხლა, მე-6 საერთაშორისო ბავშვთა კვირისათვის მისი რიგები 2 მილიონ პიონერამდე გაიზარდა. პიონერთა ორგანიზაციების ასეთივე გიგანტიური ზრდა არის ამიერ-კავკასიაშიაც. 100.000-დან ერთი წლის განმავლობაში მათი რიცხვი გაიზარდა 200.000-მდე. უკანასკნელ წლებში ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია შეიჭრა საბჭოთა საზოგადოებრიობის ყოველ კუნჭულში, აქტიურად ჩაება ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში, თავისი მუშაობა გაავრცელა ამიერ-კავკასიის თითქმის ყველა სოფლებში, სკოლებსა და წარმოებებში და აწარმოებს უდიდეს პრაქტიკულ მუშაობას მშრომელთა ბავშვების კულტურულ და ფიზიკურ აღზრდისათვის, მესამე თაობის კომუნისტურად გადამუშავებისათვის.

მეექვსე საერთაშორისო ბავშვთა კვირისათვის ყველა ქვეყნის პიონერთა ორგანიზაციები ჯამს გაუკეთებენ თავიანთ ნამუშევარს, დაისახავენ შემდგომი განვითარების ამოცანებს და გააძლიერებენ მუშაობას იმ ადგილებში, სადაც დღემდე სუსტად სწარმოებდა მუშაობა. ამ კვირისათვის ყველა ქვეყნის მშრომელთა ბავშვებმა ინტერნაციონალურ სოლიდარობით აღტკინებულმა კიდევ უფრო უნდა შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები საერთო მტრის—ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ კვირაში ყოველმა პიონერთა კოლექტივმა უნდა შეამოწმოს, რა გააკეთა მან კაპიტალისტურ ქვეყნების პიონერთა კოლექტივებთან კავშირის დამყარების საქმეში, ბავშვთა ინტერნაციონალურად აღზრდის დაყენების საქმეში. ისინი კომკავშირის ორგანიზაციებთან ერთად უნდა გამოიდგნენ ახალ საშიშროებათა წინააღმდეგ, ყველა ქვეყნის იმპერიალისტების განზრახვათა წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ დაიწყონ ახალი იმპერიალისტური ნაციონალისტური ომები. მათ სასტიკად უნდა იბრძოლონ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც ისწრაფვის მშრომელთა გათიშვისაკენ, მათ უნდა იბრძოლონ ახალი ომების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის—მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის დასაყრდენის მხარის დაცვისათვის.

ნორჩო ამხანაგებო! საბჭოთა ამიერ-კავკასიის ბავშვებო! ამ კვირის განმავლობაში ყოველი საშუალებით განამტკიცეთ თქვენი რიგები, შეამოწმეთ თქვენი მუშაობა, აიშორეთ ყოველივე ნაკლი, მოემზადეთ იმისათვის, რომ ღირსი იყოთ ლენინურ კომკავშირის, ლენინის პარტიის (ბოლშევიკების) რიგების შევსებისა!

პარტიამ წამოაყენა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი. სოციალისტური აღმშენებლობის საქმის გაგრძელებისათვის საბჭოთა კავშირში საჭიროა ტეხნიკურად და კულტურულად მომზადებული ხალხი. ნორჩო პიონერებო ემზადეთ ამთავითვე, რომ ოქტომბრის საქმის გამარჯვებით დამთავრების ინდუსტრიალისტები გახდეთ!

ჩვენი სკოლა აშენებულია ძველი, მეფის, ბურჟუაზიული, ნაციონალისტური სკოლის ნანგრევებზე და ჯერ-ჯერობით ბევრი ნაკლი აქვს. თქვენი ძალების საშუალებით უნდა იქმნას შესრულებული უდიდესი მუშაობა სოციალისტური სკოლის აღმშენებლობისა. ყველა ბავშვებთან ერთად დაუახლოვდით სკოლას, ახლო დადექით მესამე თაობის აღზრდის სწორი ორგანიზაციის საქმესთან!

პიონერებმა უნდა ისწავლონ, დააგროვონ გამოცდილება და ცოდნა, ვინაიდან ცოდნა—გზაა კომუნიზმისაკენ. ასე ამბობდა ილიჩი. პიონერებო, შეასრულეთ ამხ. ლენინის ანდერძი!

ბავშვთა მოძრაობის წარმატებით განვითარება შესაძლოა მხოლოდ ისეთ პირობებში, როცა ამ მოძრაობას კომუნისტური ხელმძღვანელობა აქვს. ლენინურ კომკავშირის ხელმძღვანელობით თქვენ წარმატებით ასრულებდით და ასრულებთ ყველა იმ ამოცანებს, რომელსაც კომუნისტური პარტია აყენებს ბავშვთა მოძრაობის წინაშე. მომავალშიაც აწარმოეთ თქვენი მუშაობა კომკავშირის, პარტიის მუშაობის მიხედვით, ვინაიდან მხოლოდ პარტიული მემკვიდრეობათა თანმიმდევრობით შეიძლება იქმნას მიღწეული მოზარდი თაობის ბოლშევიკურად აღზრდა. პარტიის სამი თაობის განუწყვეტელი კავშირი—საკავშირო კომპარტიის, საკავშირო ლენინური კომკავშირისა და ნორჩი ლენინელების კავშირი არის ის ძლიერი ძალა, რომელსაც შეუძლია კომუნისტურად გადაამუშაოს მთელი კაცობრიობა, რომელიც წაიყვანს ყველა მშრომელთ ბრწყინვალე მომავლისაკენ, კომუნიზმისაკენ.

და თქვენი უკანასკნელი ამოცანაა—გააფართოვეთ პიონერთა რიგები, გაამრავლეთ პიონერთა დიდი არმია ქალაქისა და სოფლის შეკავშირებული ბავშვებით. ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა შვილებო! ბავშვთა კომუნისტური რიგები, ლენინის დროშები გელიან თქვენ! შედით ნორჩ პიონერთა რიგებში! გააფართოვეთ პიონერთა რიგები!

ნორჩო ამხანაგებო! მტკიცედ სჭედეთ მშრომელთა ინტერნაციონალური თაობა, დაუკავშირდით აღმოსავლეთისა და დასავლეთის მშრომელთა ბავშვებს!

მოუმზადეთ პარტიას და კომკავშირს ჯანსაღი ლენინური შემცვლელი რაზმი.

დეე განმტკიცდეს რევოლიუციის სამი თაობის განუწყვეტელი კავშირი—ლენინის პარტიის, ლენინურ კომკავშირისა და ნორჩ ლენინელ-პიონერთა კავშირი!

ისწავლეთ, ემზადეთ და შეასრულეთ ილიჩის ანდერძი!

საკავშირო ლენინურ ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

მუშა-ქალები და კოოპერაცია

მოსკოვი, 27 აგვისტო. იმ მიზნით, რომ მუშა-ქალები ჩაბმულ იქმნან საბინაო-სამშენებლო კოოპერაციაში, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასთან არსებულმა მუშა-ქალთა და გლეხის ქალთა განყოფილებამ აუცილებლად სცნო, რომ საბინაო კოოპერაციის ფრაქციებმა მოახდინონ აღრიცხვა მშრომელ ქალთა მოსახლეობისა, რომლებიც საბინაო კოოპერაციის წევრებად არიან და კოოპერატიულ სახლებში სცხოვრობენ აგრეთვე. მიზან-შეწონილად იქმნა ცნობილი, რომ საბინაო კოოპერატივების ფრაქციებმა ამ სახლებში მობინადრეთაგან გამოყონ კომუნისტი ქალები, კომკავშირელი ქალები, აქტიური დელეგატები, კოოპერატიული ორგანიზატორები, რომლებიც ქალთა შორის იმუშავებენ.

დავეხმაროთ გაფიცულ მემაღაროეებს

(ქუთაისი)

ამას წინად ქუთაისში შესდგა სამრეწველო და საწარმოო დაწესებულებებში ჩაბმულ მუშა და დელეგატ-ქალების გაერთიანებული კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. სტურუამ ინგლისის სამთა-მადნო მუშების გაფიცვის შესახებ. მომხსენებელმა ფართოდ გააშუქა გაფიცვის მიზეზები და ინგლისის მუშების მდგომარეობა ამჟამად რის შემდეგ მოუწოდა ქალებს, რათა ისინიც დაეხმარონ გაფიცულ მუშებს თავის მხრივ. მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ინგლისის სამთამადნო მუშების კაპიტალის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის შესახებ, ქ. ქუთაისის სამრეწველო და საწარმოო დაწესებულებებში ჩაბმული მუშა ქალები დელეგატ და დიასახლის ქალებთან ერთად თანაგრძნობით ვეგებებით სამთა-მადნო მუშების შეურყეველ ბრძოლას. ჩვენ მოვალეთ ვთვლით თავს დავეხმაროთ ნივთიერად და ზნეობრივად მებრძოლ მუშებს და მათ ოჯახებს, რომელთა ბრძოლაც მომასწავებელია მუშათა კლასის გამარჯვების მსოფლიო მასშტაბით.

ს. ჩ.

პარტიული ქრონიკა

პარტიის ისტორიის განყოფილების საბჭო

საქართველოს კომპარტიის ცენ. კომიტეტის სამდივნომ დაამტკიცა პარტიის ისტორიის განყოფილების საბჭოს შემდეგი შემადგენლობა: 1) ცხაკაია მიხა, 2) მახარაძე ფილიპე, 3) კალაძე რაჟდენ, 4) ტოროშელიძე მალაქია, 5) ბიბინეიშვილი ბარონი (სახელგამი და სარევოლიუციო მუზეუმი), 6) ჟურულიშვილი გიორგი (პროფკავშირთა საბჭო), 7) ძიგრაშვილი (ახ. კომ. კავშირი) და 8) საყვარელიძე პ. მ. (ცეკას აგიტპროპი).

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ოზურგეთი, 27 აგვისტო. სამაზრო საგადასახადო კომისიამ დაამთავრა მუშაობა, ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშების დარგში, 1926—27 წლისთვის. გადასახადის საერთო ჯამი უდრის 36.407 მანეთს.

გადასახადი სრულებით არ ხვდებათ ღარიბ-ღატაკებს, ხოლო მცხოვრებთა საშუალო ფენა 3 პროცენტით არის დაბეგრილი.

საბაღოსნო კულტურებიდან დაბეგვრისაგან სრულებით განთავისუფლებულია მანდარინის ნამყენები, რომლებიც ყინვებისაგან დაზარალდენ 1924—1925 წლის ზამთარში, აგრეთვე ჩაის პლანტაციები, რომლის ნამყენების ზრდა ხუთ წელიწადს არ გადაცილებია.

საერთოდ, მეურნეობათა საერთო რიცხვიდან გადასახადის შეტანიდან განთავისუფლებულია 80 პროცენტი.

სამაზრო ფინანსიურ განყოფილებამ ყველა თემებში დაგზავნა პიროვნული საგადასახადო ფურცლები.

1925—26 წლის ხვედრი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ოზურგეთი, 27 აგვისტო. 25 აგვისტომდე სამაზრო ფინანსიურ განყოფილების სალაროში, 1925—26 წლის ხვედრი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შემოვიდა 27.483 მანეთი, ე. ი. 81 პროც. 1924—25 წლის შემოუტანელ თანხიდან—18.273 მან.—73 პროცენტი.

სიმინდის აკრეფა

თელავი, 27 აგვისტო. კახეთში უკვე შეუდგენ სიმინდის აკრეფას, მოსავალი კარგია.

წყალსადენი სოფელში

თელავი, 27 აგვისტო. სოფლების: ყურიათუბანის და შაშიანის მცხოვრებლებმა თავისი ინიციატივით გაიყვანეს სასმელი წყალი წყაროდან, რომელიც სოფლის მახლობლად მდებარეობს შუბში. სამაზრო აღმასკომმა ტექნიკური დახმარება აღმოუჩინა.

კურორტი

ქუთაისი, 27 აგვისტო. მოწესრიგებულ იქნა სოფ. უნისის მინერალ წყლები შორაპნის მაზრაში. ააშენეს სამი სახლი 24 ოთახით და მოაწყვეს აბაზანები.

მინერალური წყლები ჰკურნავს კანის ავათმყოფობებით დაავადებულებს.

ფოთის ნავთსადგურში

ფოთი, 27 აგვისტო. დამთავრდა მიწის ამოსაღები სამუშაოები ნავთსადგურის წყლის არხის გასაღრმავებლად. არხს, რომელსაც 50 საჟენი განი აქვს, უნდა ჰქონდეს 30 ფუტი სიღრმე. შესავალ არხის გაღრმავება შესაძლოთ გახდის ოკეანეს გემების შემოსვლას ნავთსადგურში.

გრძელდება აშენება ჩრდილოეთის ახალი სანაპიროსი.

ამერიკაში წავიდა ინგლისის გემი „რივერ გუდძონი", რომელმაც წაიღო 2.350 ტონი ძირტკბილა.

ქინაქინის ნაკლებობა

თელავი, 27 აგვისტო. თელავის მაზრის სამკურნალო დაწესებულებებში შემჩნეულია ქინაქინის ნაკლებობა. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში საექიმო პუნქტებში აღრიცხული იყო 1.446 მალარიით დაავადებული.

სოფლების: ფშაველის, ენისელის და ქვაფელის აფთიაქებში თვეზე მეტია ქინაქინა სრულებით არ იშოვება. ახალსოფელში და სხვა სოფლებში ქინაქინა ძლიერ ცოტაა. ქინაქინა არ იშოვება თითქმის თელავის აფთიაქშიც. უქინაქინოთ დარჩა ყვარელის სამალარიო სადგურიც.

აფხაზეთი

მევენახეობა

სოხუმი, 27 აგვისტო. სოხუმის მაზრის ვენახების აღსადგენათ, სოხუმის აღმასკომმა გადასწყვიტა შეისყიდოს 500.000 მეტრი ამერიკული ვაზი.

სეტყვა

სოხუმი, 27 აგვისტო. ამ დღეებში სოხუმის მაზრაში თხილის ოდენა სეტყვამ დააზიანა 9 ნახ. დესეტინა თამბაქო. ნათესები დაზღვეული იყო.

ციმბირის წყლული

სოხუმი, 27 აგვისტო. ციმბირის წყლულმა აფხაზეთში თანდათან იკლო. აგვისტოში საქონლის დახოცვის შესახებ ცნობა არ მოსულა.

გაფლანგვა კოოპერატივებში

სოხუმი, 27 აგვისტო. სარევიზიო კომისიამ გამოარკვია საქონლის ნაკლებობა ესტონელების კოოპერატივში, 800 მანეთის ღირებულებისა, ხოლო სოფელ დიხაზურის კოოპერატივში გამგეობის წევრების მიერ გაფლანგულია 500 მანეთი.

თხილის მიწოდება

სოხუმი, 27 აგვისტო. აფხაზეთის კოოპერატივების კავშირმა ხელშეკრულება დასდო ამიერ-კავკასიის კავშირთან 15.000 ფუთი თხილის მიწოდების შესახებ. დამზადება სწარმოებს განსაკუთრებით კოოპერატივების მიერ.

სამხრეთ-ოსეთი

სამრეწველო პერსპექტივები

ცხინვალი, 27 აგვისტო. საქართველოს მთავრობამ 200.000 მანეთი გადასდო სამხრეთ-ოსეთის მრეწველობისთვის.

სამხრეთ-ოსეთის ცაკ-მა დაამტკიცა სამხრეთ-ოსეთის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამომუშავებული გეგმა, საქართველოს მთავრობისაგან გადადებულ თანხის გამოსაყენებლად სამხრეთ-ოსეთის სამრეწველო განვითარებისათვის.

ამ გეგმის მიხედვით, მთავარი ყურადღება პირველ რიგში უნდა მიექცეს სატყეო მრეწველობის განვითარებას. გადაწყვეტილია ცხინვალში ააშენონ ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

წერილები

თემსაბჭოები და მათი სექციები

თემსაბჭოების მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სექციების უნარიანობას და აქტივობას. მართალია ყოველგვარ მუშაობას თემში საბჭოს პრეზიდიუმი ხელმძღვანელობს და იგივე პრეზიდიუმი პასუხისმგებელია ამ მუშაობისათვის. მაგრამ თუ სექციები უმოქმედობას იჩენენ, მარტო პრეზიდიუმი საქმეს ვერ გასწვდება.

ბევრ თემებში საბჭოს სექციები ხშირად არც კი სჩანან. ისინი ზოგჯერ დაბადებისთანავე გარდაიცვალენ და მათი არსებობა ოქმებშიღა თუა აღნიშნული. საქმე ამით, რასაკვირველია, ბევრს ზარალობს. საბჭოს პრეზიდიუმიც არ იღებს ზომებს, რომ სადათას ძილს მიცემული სექციები გამოაღვიძოს. ის ზოგჯერ ასე მსჯელობს: სექცია პასუხისმგებელია თავის მუშაობაში. თუ რამე დააშავებს, თვითვე აგებს პასუხს.

ზოგჯერ ისეთი შემთხვევებიც არის, როცა პრეზიდიუმმა არც კი იცის სექციების შემადგენლობა. საქმისადმი გულშემატკივარი თემაღმასკომის პრეზიდიუმი როცა ხედავს, რომ სექციების უმოქმედობით თემი უკან რჩება, თითონ ჰკიდებს ხელს მუშაობას. ის ყველაფერს ჰკიდება, თავის მიმდინარე საქმესაც უძლევება და სექციათა მოვალეობასაც კისრულობს. ამით ხშირად ერთი საქმეც ფუჭდება და მეორეც [illegible] არაფრით მიდის წინ.

რატომ ხდება ეს? ერთი მხრივ იმიტომ, რომ საბჭო თავიდანვე ვერ დაუხვდა საქმეს შესაფერისად. მან ვერ გამოჰყო სექციებში ისეთი ხალხი, რომელნიც გაამართლებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. მეორე მხრივ ამაში ბრალი მიუძღვის აღმასკომის პრეზიდიუმს. მის მოვალეობას შეადგენს, რომ უხელმძღვანელოს და თვალი ადევნოს სექციების მუშაობას. თუ კი სექციები უმოქმედობას იჩენენ, თუ სექციის წევრები აშკარად ამტკიცებენ საქმისადმი გულგრილობით ან დაკისრებულ მუშაობის არცოდნით თავიანთ უვარგისობას, პრეზიდიუმს შეუძლია ვადამჭრელი ხასიათის ზომები მიიღოს ამ მდგომარეობის ბოლოს მოსაღებად. პრეზიდიუმმა უნდა მოიწვიოს საბჭოს კრება და დასვას საკითხი უვარგისი სექციების შეცვლის შესახებ.

ჩვენ ვიცით, რომ ხშირად ეს ასე არ ხდება. აღმასკომის პრეზიდიუმი, კიდევაც რომ ხედავდეს სექციების უვარგისობას, არ დააყენებს საკითხს მათი გადარჩევის შესახებ, ის ახალ არჩევნებს ელოდება: „ის გაასწორებს მტყუანსა და მართალსო".

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. საბჭოების სექციებმა ან უნდა იმუშაონ, ან უნდა სხვას დაუთმონ ადგილი სამუშაოდ. პრეზიდიუმს ყოველთვის შეუძლია დასვას საკითხი მათი გადარჩევის შესახებ, რადგან სექციებს საბჭო ირჩევს და საბჭოსვე ეკითხება მათი ავი და კარგი საქმიანობა.

გ. ვაბრაძე.

სოფელი ბალი

(ს. ფლავი, გორ. მ.)

სოფ. ფლავი მდებარეობს ტყვიავის თემში და მიკრულია მთავარ ქედის კალთებს, მაღლობ ადგილს ეგრეთ-წოდებულ „გვერდის ძირას", თავისი ჰავით და მდებარეობით ეს სოფელი არ ჩამოუვარდება სხვა საგარაკო ადგილებს, აქ სრულიადაც არ იციან ციებ-ცხელება, რაც ბევრ-რიგათ არის გავრცელებული საქართველოს სხვა კუთხეებში. მაგრამ სოფელს ეჭირვება კეთილმოწყობა, გამშვენიერება, რომ იგი გახდეს, მართლაც საგარაკო ადგილი.

ხილი და ბოსტნეული აქ საუკეთესო ღირსებისა მოდის, რადგან შეიცავს ნაკლებ წყალს და მეტ შაქარს და საუკეთესოთ იტანს შორს მანძილზე გადატანას. ეს კარგად იციან ადგილობრივმა ბაყლებმაც და ბუზებივით ეხვევიან ს. ფლავის ხილს. წელს ხილის მოსავალი საუკეთესო არის; ხეს უფრო მეტი ნაყოფი ასხია, ვიდრე ფოთოლი და მეტის მსხმოიარობისაგან ტოტები ემტვრევა. სამაგიეროთ, მოსავლის ღირსება ვერ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან სხვადასხვა ავადმყოფობისაგან ხილი სულ მთლად დაზიანებულია; ამის გამო წელს სრულიადაც არ არის მოსალოდნელი გასატანი ხილის მოსავალი. აქაური მეურნენი შედიან წევრებათ ამხ. „ლიახვში", მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჩარჩ-ბაყლებს ზოგჯერ ჩალის ფასად ჩაიგდონ გლეხისაგან მოსავალი.

ხვნა-თესვა ისევ ძველებური წესით სწარმოებს და არავითარ გაუმჯობესებას ან და მექანიზაციას აქ ფეხი არ შეუდგამს. მთელი წლის განმავლობაში გლეხი თავის ოჯახით ჩაბმულია ამ საქმეში, წელებზე ფეხს იდგამს, მაგრამ უკეთეს შემთხვევაში მას მოჰყავს მხოლოდ ოჯახისთვის საარსებო პური და სიმინდი; წელს ხორბლეულობის მოსავალიც კარგი იყო; საშუალოთ დღიურზე ადის 30—35 ფუთამდე, მაგრამ კალოობის დროს ამინდი ძლიერ ცუდი შეხვდა და პური თავთავშივე დაზიანდა.

საჭიროა აქ დაარსდეს აგრონომიული პუნქტი, დაინიშნოს მუდმივი აგრონომი ან ინსტრუქტორი, მოეწყოს მავნებლებთან ბრძოლა, დაარსდეს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა და სხვა.

კულტურულადაც სოფ. ფლავი ძლიერ ჩამორჩენილი არის. აქ არსებობს ოთხწლედი სკოლა, მაგრამ ბინის უქონლობის გამო სწავლა არ მიმდინარეობს. მოსწავლე ახალგაზრდობა ბლომად არის, რომელსაც სოფლის სკოლა ვერ იტევს და იძულებულია სოფლის გარეშე ეძიოს პირველდაწყებითი სწავლა-განათლება. ამჟამად აქ თავმოყრილია გარეთ მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს აქაურ კულტურულ ცხოვრებაში. არსებობს აქ კლუბი, რომელიც ჯერ მოუწყობელი არის უსახსრობის გამო, კლუბში არავითარი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები არ მოიპოება, არ არის აგრეთვე სხვა გასართობებიც, მაგრამ აქაური ახალგაზრდობა ახერხებს დრო-გამოშვებით წარმოდგენების გამართვას. კვირას, 15 აგვისტოს, აქ დასდგეს პიესა „ეთერი", რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. ბევრი უადგილობის გამო უკან დაბრუნდა. წარმოდგენამ მეტად მწყობრად და მოხდენილად ჩაიარა. მონაწილეობას ღებულობდენ უმთავრესად გლეხის შვილები; ზოგიერთ მათგანს სასწავლებლის კარიბჭე არც კი უნახავს. სამუშაოდან მოსულმა, წერა-კითხვის უცოდინარმა ს. მღებრიშვილმა საუცხოვოთ ჩაატარა თავისი როლი.

კულტურულ დონის ასაწევად საჭიროა სასწავლებლის წესიერი მოწყობა; უმჯობესი იქნებოდა არსებული სკოლის დაბალ ტიპის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლად გადაკეთება.

ს. ფლავს აქვს კიდევ ერთი დიდი ნაკლი. აქ სრულებით არ არის სასმელი წყალი. სარწყავი რუები მეტის-მეტად უსუფთაო მდგომარეობაში იმყოფება და აქედან წყლით სარგებლობა შეუძლებელი ხდება. სოფელს თავში გასდევს ტირიფონის არხი, რომელიც იძლევა სარწყავ წყალს, მაგრამ როგორც სასმელი, იგი არ გამოდგება, ვინაიდან მრავალ სოფელს მოსდევს და უეჭველია სიბინძურესაც წამოიყოლიებს თან. სოფლიდან ორი ვერსის დაშორებით არის მშვენიერი წყაროები, რომლის გამოყვანა ადვილათ შეიძლებოდა. სოფელს ამისათვის შეძენილიც აქვს საჭირო მილები, მუშაობითაც მზათ არიან თითონ იმუშავებენ, მაგრამ მეზობელი სოფლები წყალს არ ანებებენ. საჭიროა ამ გარემოებას მაზრის ხელისუფლებამ მიაქციოს ყურადღება, და მეზობელ სოფლებს შორის მოახდინოს შეთანხმება.

დ. სამადაშვილი.

დაუმსახურებელი ბრალდება

(სოფ. გულუხეთი, სენაკის მ.)

გაზ. „კომუნისტის" № 162 მოთავსებულ წერილში სათაურით, „მასწავლებელს არ შეშვენის", წერილის ავტორი „მოსული" მე ბრალს მსდებს იმაში, რომ თითქოს „ადგილობრივი სოფლის დრამწრის გამართულ კრებას ორჯერ დაესწრო და თითქოს მე ვცდილობდი მის ჩაშლას", რაც სიმართლეს სრულიად მოკლებულია; საქმე იყო შემდეგში: 4 ივლისს, ჩემი კერძო ინიციატივით დაუგზავნე ბარათები სოფლის ყველა აქტივ გლეხ-მომუშავეებს, კულტ-ორგანიზაციას, საბჭოთა დაწესებულებას, ახკომკავშირს და სოფ. ინტელიგენციას, რომ მომეწყო კრება და დაგვეარსებია დრამატიული წრე სისტემატიური წარმოდგენების გასამართავად მიმდინარე ზაფხულის სეზონში. ჩემი წინადადებით კრება აღფრთოვანებით შეხვდა დრამწრის დაარსებას და გამოჰყვეს თავიანთ წრიდან საუკეთესო ამხანაგები, ამასთან აირჩიეს გამგეობა და სარევიზიო კომისია.

შეუდგენ არჩეული სათეატრო ორგანოები თავიანთ საქმეს, რაშიაც მე მივიღე მხურვალე მონაწილეობა და 10 ივლისს გავმართეთ პირველი წარმოდგენა—„მალარია", საგ. საპროპ. პიესა, რომლის წმინდა შემოსავალი გადაეცა ადგილობრივი ქოხ-სამკითხველოს.

ალბათ სულ სხვა ზრახვები ამეტყველებს „მოსულს" ვიდრე გულუხეთის კულტურული ინტერესები, თორემ ის ასე დაუმსახურებლად არ დასწამებდა ცილს უდანაშაულო ადამიანს.

გულუხეთის 4 წლ. გამგე—ი. წივწივაძე.

წითელ ჯარში

ახალწვეულთა განაწილება სხვადასხვაგვარი იარაღის ნაწილებში

თვითეულმა გასაწვევმა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, თუ რა მოთხოვნილებით წაეყენება მას ამა თუ იმ გვარ იარაღის ჯარში ჩასანიშნავად. თუ ეს მოთხოვნილებები ეცოდინება მას, ის წინასწარ შეიტყობს, თუ რომელ ნაწილში დაინიშნება გაწვევის დროს.

ქვეითა ნაწილში ინიშნებიან, ფიზიკურად განვითარებული, ღონიერ, ამტანი, საღი მხედველობის და სმენის ახალწვეულები. ქვეითა ჯარში დასანიშნავად საჭიროა, რათა გასაწვევი სიმაღლით იყოს არა ნაკლები 153 სანტიმეტრისა. აქ ინიშნებიან შემდეგი სპეციალობის მუშები: ზეინკლები, დურგლები, პურის მცხობელები, მკერავები, მეწაღეები.

საკანცელარიო და ხაზის საქმის გამცოდნენი ინიშნებიან მომეტებულად შტაბებსა და სამმართველოებში.

არტილერიაში ინიშნებიან მაგარი აგებულების მოქალაქეები, ფართე მხარ-ბეჭით, სწორად განვითარებული მკერდით, კარგი მხედველობითა და სმენით, რომლებსაც არ გაუჭირდებათ მძიმე ქვემეხებზე მუშაობა. მომეტებულად არტილერიაში ინიშნებიან ისეთი პირები, რომლებმაც იციან რაიმე ხელობა და პირველ რიგში კი—მჭედლობა, ზეინკლობა, აგრეთვე ხე-ფიცრის საქმის მოხელენი.

არტილერიაში ინიშნებიან გაწვეულები, რომელთა სიმაღლეზე არ უნდა იყოს 160 სანტიმეტრზე ნაკლები.

ცხენოსან ნაწილებში ინიშნებიან მაგარი აგებულობის, კუნთებიან, უსათუოდ არა მოკლე ფეხებით, კარგი სმენისა და მხედველობის მქონენი, აგრეთვე ის პირები, რომლებსაც აქვთ ცხენის მოვლის გამოცდილება და ვინც იცის ჭედვა.

ცხენოსან ნაწილში დასანიშნი მოქალაქე უნდა იყვეს არა უმდაბლესი 160 და არა უმაღლესი 174 სანტიმეტრისა. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წონას: 4 ნახევარ ფუთიანს ზევით ცხენოსან ჯარში არ დაინიშნება.

ჯავშნოსან ნაწილებში პირველ ყოვლისა ინიშნებიან ისეთი პირები, რომლებსაც შეუძლიათ აიტანონ ხანგრძლივად მაღალი ტემპერატურა, ცეცხლთფარეშები, დუმელებზე მომუშავეები, ფიზიკურად ძლიერნი, ნორმალურ მხედველობით წ.-კითხვის მცოდნენი და განვითარებულნი; პირველ რიგში—შოფერები, მათი თანაშემწეები, ელექტრო-მონტიორები, მელითონეები, აგრეთვე ორთქლმავლის მოხელეები, ლიანდაგის დამგებნი და ზეინკლები.

ჯავშნიან ნაწილებისათვის მაღალი ტანის მეომარი არაა საჭირო. ის უნდა იყვეს არა უმაღლეს 166 სანტიმეტრისა.

რკინის გზის ნაწილებში ინიშნებიან რკინის გზის მოსამსახურეები, რომელთაც გაუვლიათ სპეციალურად სარკინიგზო წვევამდე მომზადება. გარდა ამისა სარკინიგზო ნაწილებში დაინიშნებიან კარგი სმენა-მხედველობის და კარგი ნერვების მქონე პირები.

საჰაერო ფლოტში ინიშნებიან კარგი მხედველობის და მაგარი ნერვების მქონენი, წერა-კითხვის კარგათ მცოდნენი, განსაკუთრებით: საზეინკლო, სადურგლო, სამანქანო, სამოტორო საქმის მცოდნენი და ყველა საავიაციო-საავიაშენებლო ქარხნებსა და სახელოსნოებში მომუშავენი.

გაწვეულები, რომლებმაც იციან სასანიტარო ვეტერინარული და საფერშლო საქმე და რომელთაც გაუთავებიათ სამხედრო-სასანიტარო და სამხედრო-ვეტერინარო სკოლები, ინიშნებიან სამსახურში სანიტარულ და სავეტერინარო სპეციალობაზე.

შეღავათები გაწვეულთათვის

მოქალაქეები, დაბადებულნი 1904 წელში, რომელნიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე გაიწვევიან ნამდვილ სამხედრო სამსახურის მოსახდელად და რომელთაც სურთ ისარგებლონ შეღავათით ქონებრივ-ოჯახურ მდგომარეობის მიხედვით, ვალდებულნი არიან შეიტანონ განცხადება შეღავათის შესახებ, კენჭის ამოღებამდე.

გამწვევი კომისიები ყველა განცხადებებს განიხილავენ საჩქაროდ და გამოიტანენ დასკვნას გაწვეულთა შემოწმებამდე.

გამწვევი კომისიები ყველა განცხადებებს გაწვევა და აქვთ განათლება არა უმაღლეს მე-2-ე საფეხურის სკოლისა, ეძლევათ სამხედრო სასწავლებელში შესვლის უფლება. ამის შესახებ მათ უნდა განუცხადონ გამწვევ კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც გადაგზავნის მათ სათანადო შემკრებ კომისიაში.

მომავალ გაწვევაზე საექიმო კომისიები იხელმძღვანელებენ წარსული წლის ავადმყოფობათა აღწერილობით (ნუსხით). გაწვეულები ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით გაიყოფებიან შემდეგ კატეგორიებად: სრულიად ვარგისი—პირველი კატეგორია, ვარგისი მხოლოდ ომიანობის დროს—მეორე კატეგორია, დროებით უვარგისი—მესამე კატეგორია და სრულიად უვარგისი—მეოთხე კატეგორია.

პროფკავშირებში

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში

(სატრანსპორტო კავშირის ექვსი თვის მუშაობის ანგარიშიდან 1-ლ იანვრ. 1-ლ ივლისამდე)

სატრანსპორტო კავშირი პირველ ივლისისათვის აერთიანებდა სამ სამაზრო განყოფილებას, 7 სამაზრო ადგილკომს და ქ. ტფილისში 21 ადგილობრივ კომიტეტს და 9 პროფრწმუნებულს. წევრთა რიცხვი უდრის 7.402. მათ შორის ქალებია 153, ახალგაზრდები—440.

მუშაობის გეგმა შესრულებულია სრული 100 პროცენტით და გეგმის გარეშე ჩატარებულია 6 კამპანია.

ც. გამგეობის სხდომა იყო 10-ჯერ, სადაც გაირჩა 50 საკითხი. პრეზიდიუმის სხდომა მოხდა 28-ჯერ, გაირჩა 314 საკითხი. გარჩეულ საკითხებში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა შემდეგს: პროფორგანოების სამეურნეო ფუნქციებიდან განტვირთვას, ადგილკომების დეცენტრალიზაციას, რკინიგზის მტვირთავი მუშების დაზღვევის საკითხს, ქალაქის მზიდველებიდან შრომის კოლექტივის შექმნას და მრავალ სხვას.

დამოკიდებულება წერილობითი და ცოცხალი როგორც მაღლა მდგომ პროფორგანოებთან, აგრეთვე ადგილებთან, ნორმალურია.

სამაზრო განყოფილებათა გამოკვლევა.

ამ ხნის განმავლობაში დეტალურად გამოკვლეულ იქნა მუშაობა სამი სამაზრო განყოფილების, 5 სამაზრო ადგილკომის და ქ. ტფილისის ყველა ადგილკომების და პროფრწმუნებულების.

ც. გამგეობამ დაუგზავნა ადგილებს 20 ცირკულიარული წერილი პროფმუშაობის ძირითად საკითხებზე კონკრეტიულ მითითებებით. კავშირი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა პროფაქტივთან მუშაობის გაღრმავებას. პროფაქტივის რიცხვი 25 წლის 1-ლ იანვრისათვის უდრიდა 15 პროცენტს, 1-ლ ივლისისათვის კი იყო 18 პროცენტი.

დელეგატთა ინსტიტუტი მოწყობილია ყველგან, სადაც მუშა-მოსამსახურეების რაოდენობა აღემატება 200 კაცს.

ნაციონალურ უმცირესობათა შორის მომუშავენი გამოყოფილნი არიან მათი წრიდან, ემსახურებიან მათ ენაზე და მათი წარმომადგენლობა დაცულია როგორც ცენტრალურ გამგეობაში, აგრეთვე ძირითად უჯრედებშიაც.

საკონცესიო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცში" ჩაბმულია 500 მუშა-მოსამსახური. კოლექტიური ხელშეკრულება გადათვალიერებულ იქნა მიმდინარე წლის თებერვალში. ძველ პირობებთან შედარებით ახალ ხელშეკრულებაში არის მიღწევები.

უმუშევართა რიცხვი უდრის 668 კაცს. თვიური დახმარება ეძლევათ 3, 5 და 7 მანეთი. მათ სასარგებლოდ გამართულია საღამო, რომლის შემოსავალი 252 მანეთი გადაირიცხა უმუშევართა ფონდში. უმაღლეს სასწავლებლებში, მუშათა ფაკულტეტებში და პარტიულ სკოლებში სწავლობს 75 სტუდენტი, რომელთა სტიპენდია უდრის სახელმწიფო—25 მან. და სამეურნეო—50—70 მან.

ა. ფრუიძე.

პროფმუშაობის ქრონიკა

— **ხელფასის თავის დროზე მიღებისათვის.** ტყავ-ტრესტის შრომის დაცვის კომისიამ დაადგინა იქნეს ზომები მიღებული ზედმეტი საათების ჯილდოს დროზე მიღებისათვის.

— **კოლხელშეკრულების გაცნობა.** იგივე კომისიის სხდომამ დაადგინა: ყველა შრომის დაცვის კომისიები გაეცნონ კოლხელშეკრულებას.

№ 8 თამბაქოს ფაბრიკაში

— **გასაჩარხი ქვის ცალკე დადგმა.** მე-3-მე თამბაქოს ფაბრიკის საწარმოო კომისიამ იმ მიზნით, რომ მანქანების მუშაობა იყოს ნაყოფიერი. დაადგინა გასაჩარხ ქვებს გაუკეთდეს ცალკე სა[illegible].

— **ვინტილიატორის მოწყობა.** იმ მიზნით, რომ ჩქარა გაშრეს სველი თამბაქო, საწარმოო კომისიამ საჭიროდ სცნო საშრობ განყოფილებაში მოეწყოს ვინტილიატორი.

— **საბავშვო ბაგა.** მე-3-მე თამბაქოს ტრესტის ქარხანაში მოწყობილია საბავშვო ბაგა, სადაც მოთავსებულია მუშათა 19 ბავშვი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

საარქივო საქმე მაზრებში

ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა პროექტი დებულებისა მაზრის საარქივო ბიუროსათვის. ამ დებულებით უნდა დაარსდეს მაზრის საარქივო ბიურო, მაზრის საარქივო ფონდის უშუალო გამგებლობისათვის. წინადადება მიეცა მაზრაღმასკომებს მაზრის საარქივო ბიუროების ხელმძღვანელობა დააკისრონ მაზრის პასუხისმგებელ თანამშრომლებს შეთავსებით.

ცვლილებანი სისხლის სამართლის კოდექსში

პრეზიდიუმმა მიიღო პროექტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ ცვლილებათა. ეს ცვლილებები იყო მოხსენებული ს. ს. ცაკის სესიაზე, რომელმაც მათი დაწვრილებითი განხილვა და გამოცემა დაავალა საქართველოს ცაკის პრეზიდიუმს.

ჩაის მრეწველობის 5 წლიანი გეგმა

ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა და დაამტკიცა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს ჩაის მრეწველობის განვითარების 5 წლ. კონიუნქტურული გეგმა.

სათიბების სარგებლობის შესახებ

თბილისის მაზრის წალკისა და ზიდენას რაიონებში მიწებისა და სამოვარ-სათიბ ადგილების სარგებლობის ნიადაგზე აღმოცენებულ დავის ადგილობრივად მოწესრიგება, ცაკის პრეზიდიუმმა დაავალა თბილისის აღმასკომს.

უთანხმოების ლიკვიდაციისათვის

თბილისის მაზრის ს. ავრანლოსა და გორის მაზრის ს. რეხას მცხოვრებთა შორის არსებულ მიწის დავის ადგილობრივად მოწესრიგება ცაკის პრეზიდიუმმა დაავალა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარს. მასვე დაავალა გორის მაზრის სოფ. საქადაგოსა და დუშეთის მაზრის ს. ციხის-ჯვრის მცხოვრებთა შორის უთანხმოების მოწესრიგება.

ადმინისტრატიული დაყოფა

თბილისის მაზრის ადმინისტრატიულად დაყოფის საკითხის ერთი კვირის განმავლობაში გამორკვევა და ამ დაყოფის პროექტის ცაკში წარმოდგენა, ცაკის პრეზიდიუმმა დაავალა კომისიას ამხ. ა. დოლიძის თავმჯდომარეობით.

თემის სახელწოდების შეცვლა

ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა შინაგან საქ. სახალხო კომის. შუამდგომლობა სენაკის მაზრის „სამიქაო თემის" „სამიქაო-მაიდნის" თემად შეცვლის შესახებ.

პასუხისგებაში მიცემა

იუსტიციის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, ცაკის პრეზიდიუმმა ნება დართო იუსტიციის კომისარიატს მისცეს პასუხისგებაში ცაკის წევრი ბორჩალოს მაზრიდან მეჯიდ რაფი-ოღლი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლება

ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა აჭარის [illegible] შუამდგომლობა აჭარის სახალხო მამულებზე დარჩენილ 1924/26 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, ვინაიდან ეს მამულები დიდად დაზარალდენ არაჩვეულებრივი ცივ ზამთრის გამო.

სახალხო კომისართა საბჭოში

ცხინვალის საზაფხულო თეატრის შეფასება

სახკომსაბჭომ აირჩია კომისია ამხ. ა. დოლიძის (თავმჯდომარე), ნ. ზახტაძისა და ჯატიევის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა გამორკვიოს ცხინვალის საზაფხულო თეატრის შენობის ღირებულება.

აბხაზეთის ს. მ. უ. საბჭოს შტატი

აბხაზეთის ს. მ. უ. საბჭოს შტატი დამტკიცებულ იქნა 17 კაცის რაოდენობით.

ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს ფინსახკომს დაუგზავნოს ცირკულიარული განკარგულება ყველა დაწესებულებისა და ავტონომიურ რესპუბლიკების ადმინისტრატიული ხარჯების 10%-ით შემცირების შესახებ.

უმუშევრობის შესახებ

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა შრომის სახალხო კომისარიატს საზოგადო სამუშაოების ორგანიზაციისა და ახალი კოლექტივების შექმნისათვის შეიმუშაოს 1926—27 წლის ხარჯთ-აღრიცხვა არა უმეტეს 300.0000 მანეთისა.

ს. მ. უ. ს. ქვემდებარე საწარმოთა რევიზიის წესები

სახკომსაბჭოს დადგენილებით ს. მ. უ. საბჭოს ქვემდებარე საწარმოთა რევიზიის უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ ს. მ. უ. საბჭოს.

სოციალური დაზღვევის საქმის მდგომარეობა

სახკომსაბჭომ მოისმინა საგეგმო კომისიის მოხსენება რესპუბლიკაში სოციალურ დაზღვევის საქმის მდგომარეობის შესახებ.

სათანადო მასალები დაეგზავნება სახალხო კომისარიატებს საკითხის გასაცნობად და თავისი დასკვნის წარმოსადგენად.

ა.-კ. ადგილობრივი ტრანსპორტის საგზაო დაბეგვრის სისტემა

სახკომსაბჭომ მოიწონა ადგილობრივი ტრანსპორტის სამხარეო სამმართველოს მიერ შემუშავებული პროექტი ა.-კავკასიაში გზათა მშენებლობისათვის ავტოტრანსპორტის მიწობრივი დაბეგვრის შესახებ.

მასთან სახკომსაბჭომ სასურველად სცნო რათა კომერციულ ავტო-ტრანსპორტებიდან [illegible] გადასახადის აკრეფა სწარმოებდეს ტრანსპორტის ექსპლოატაციის პროცესში და აღნიშნული გადასახადი დაირიცხოს ბილეთების ფასს ზედნართის სახით. აღნიშნული გადასახადით შემოსული თანხებიდან, სახკომსაბჭოს აზრით სასურველია დაარსებულ იქნეს სპეციალური მიზნობრივი ფონდი, რაც უნდა იხარჯებოდეს ხსენებული ფონდისათვის არსებულ საერთო წესის მიხედვით.

ამასთანავე მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რათა ზემოაღნიშნული სპეციალური მიზნობრივი ფონდი დაარსებულ იქნეს ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების გზატკეცილების სამმართველოებთან.

კოოპერაცია

(ცეკავშირი)

საკომისიო განყოფილება

ცეკავშირის საკომისიო-საშუამავლო განყოფილებამ, რომელმაც დაიწყო მუშაობა 15 აგვისტოს დასდვა საკომისიო-შუამავლობის ხელშეკრულება სიღნაღის მაზრის ცხრა კოოპერატივთან. გარდა ამისა მან თერთმეტ კოოპერატივისაგან მიიღო დაკვეთები მათთვის საჭირო საქონლის შესაძენად და მისაწოდებლად.

საკომისიო განყოფილებასთან მოეწყო ნაწილები: საინფორმაციო, საექსპედიციო და საგენტურო, რომელთა შორის არის განაწილებული განყოფილების მთელი საქმიანობა. საინფორმაციო ნაწილი აგროვებს ცნობებს ბაზრის მდგომარეობის შესახებ, საექსპედიციო—აწარმოებს საქონლის გადაგზავნას და საგენტურო კი შეკვეთების შესრულებას და სხვა.

მატყლის დამზადება.

ცეკავშირმა უკვე დაამთავრა გაზაფხულის მატყლის დამზადება. სულ დამზადებულ იქნა 7 ათასი ფუთი მატყლი და იგი ჩაბარდა სრულად სააქციო საზ-ბა „შერსტ"-ს.

ეხლა შეუდგენ შემოდგომის მატყლის დამზადებას 6 ათასი ფუთის რაოდენობით. მატყლის დამზადება იწარმოებს: ახალგორის, ახალქალაქის, დუშეთის, ქვემო-მაჩხაანის და ალვანის კოოპერატივების საშუალებით. საჭირო თანხები მატყლის დასამზადებლათ ამ კოოპერატივებს უკვე გადაცემული აქვთ. ეს მატყლიც „შერსტს" ჩაბარდება.

საგზაო მშენებლობა

სიღნაღ-ლაგოდეხის გზატკეცილი

სიღნაღ-ლაგოდეხის გზატკეცილს საერთო რესპუბლიკანური მნიშვნელობა აქვს. ეს გზატკეცილი უკავშირებს უმდიდრესს ალაზნის ველის რაიონს და ზაქათალის ოლქს რკინის გზის სადგურს წნორის-წყალს. ამ კუთხეებიდან ყოველდღიურად წნორის წყლის სადგურზე მოდის 1000-ზე მეტი დატვირთული ურემი. ზემოხსენებულ რაიონებიდან სადგურზე მოეზიდებიან ხე-ტყეს, თამბაქოს და ბოსტნეულს, ათასგვარ ხილეულობას და სხვას. იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების განმავლობაში გზატკეცილის შეკეთებისათვის არავის უზრუნვია, რის გამო გზატკეცილი ისე გაუვარგისდა, რომ შეუძლებელი შეიქნა მასზე უხიფათო მოგზაურობა. წნორის წყლიდან სოფელ ქიათურამდე გზატკეცილი სრულიად დანგრეულია, თხრილები ამოვსებულია და წვიმების დროს წყალი თვით გზატკეცილზე მიმდინარეობს, ორმოები და თხრილები ივსება წვიმის წყლით და ამგვარად მთელი მიდამოები ჭაობიანდება.

საქართველოს გზატკეცილების სამმართველო უკვე შეუდგა ამ გზატკეცილის საფუძვლიან შეკეთებას ივლისის დამლევს.

პირველ რიგში რემონტი უკეთდება მეთექვსმეტე და ოცდამეერთე ქალაქის შუა მდებარე გზატკეცილის უბანს, რომელიც სრულიად განადგურებული იყო. გლეხებმა საკუთარი შრომით დაამზადეს 120 კუბიკური ხრეში, ამჟამად სწარმოებს გზატკეცილის მოტკეპნა, რომლის შემდეგ გზატკეცილზე დაყრილი იქნება ღორღი, რისთვისაც გლეხების მიერვე დამზადებულია 200 კუბიკური ღორღი. გზატკეცილზე მუშაობს ერთი სატკეპნი მანქანა; გაგზავნილია მეორე მანქანაც, რომელიც ამუშავებულ იქნება ამ დღეებში. ხიდების შესაკეთებლად ადგილებზე მოზიდულია ხე-ტყის მასალა. პირველ რიგში საფუძვლიანად შეკეთებულ იქნება ხიდი მეოცე კილომეტრზე. ამ დღეებში სოფელ ანაგაში დამთავრდება მუშაობა დიდი ტინობის მილის ასაგებად, რომელიც კეთდება ნიაღვრის წყლის გასაშვებად.

მუშაობა ზემოხსენებულ უბანში დამთავრებულ იქნება ენკენისთვის შუა რიცხვებში.

საგზატკეცილო სამმართველოს გზის შეკეთებაში დიდ დახმარებას უწევს სამაზრო აღმასკომი, რომელსაც ნებაყოფლობით ბეგარათ გამოჰყავს ადგილობრივი მოსახლეობა.

ბანკების გამოკვლევა

ბანკების მიერ კერძო პირებზე და ორგანიზაციებზე სესხის გაცემის საქმე

ა.-კ. მუშ. და გლ. ინსპექციის გეგმის გარეშე ინსპექციამ მოახდინა ზოგიერთი ბანკების ოპერაციების გამოკვლევა კერძო პირებზე და ორგანიზაციებზე სესხის გაცემის დარგში.

გამოირკვა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან ოპერაციებს ამ დარგში აწარმოებდა სამრეწველო ბანკის სრ. საქართველოს კანტორა. კანტორაში კერძო პირებისათვის კრედიტების მიცემის ისეთ წესს ჰქონდა ადგილი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა სამრეწველო ბანკის გამგეობის დირექტივებს. ადგილი ჰქონდა კერძო პირთა თამასუქების განაღდების ვადის გაგრძელების შემთხვევებს.

რაც შეეხება სახელმწიფო ბანკს, აქ ოპერაციებს კერძო პირებთან და ორგანიზაციებთან ეჭირა მეტად განსაზღვრული ადგილი და გამოსაკვლევი პერიოდის დროისათვის სახელ. ბანკს სრულიად შეუწყვეტია ასეთი ოპერაციები.

საგარეო ვაჭრობის კერძო პირებზე სესხის მიცემა შეუწყვეტია 1925 წელს. ამ ბანკის მუშაობის ნაკლად ცნობილია ის, რომ იგი სესხს აძლევდა სხვადასხვა ტრესტებს და კოოპერატ. ორგანიზაციებს, რაც ეწინააღმდეგება ბანკის წესდებას, რომლის თანახმად ბანკმა საკრედიტო ოპერაციები უნდა აწარმოოს მხოლოდ საგარეო ვაჭრობის დარგში.

წესდების საწინააღმდეგო ოპერაციები კერძო პირებთან უწარმოებია აგრეთვე ელექტრობანკს, რომლის მთავარ დანიშნულებას შეადგენს სესხის გაცემა ელექტროფიკაციასთან დაკავშირებულ საქმეებისათვის.

კერძო პირებზე სესხის არაპირდაპირი გაცემა უწარმოებია სრ. საკავშირო კოოპერატ. ბანკის ადგილობრივ განყოფილებას, რომელიც კერძო პირებზე სესხს იძლეოდა კოოპერატიულ ორგანიზაციების კრედიტების ანგარიშში.

გამოკვლევის დასკვნებთან გაცნობის შემდეგ, მ./გ. ინსპექციის კოლლეგიამ ყოველი ბანკისათვის გამოიმუშავა სათანადო ღონისძიებები, რომელიც მიზნათ ისახავს კერძო პირებზე სესხის მიცემის საკითხის მოწესრიგებას. კერძო სამრეწველო ბანკის ადგილობრივ განყოფილებას წინადადება მიეცა დაიცვას გამგეობის დირექტივები კერძო პირთათვის სესხის მიცემის საკითხში, შესწყვიტოს კრედიტი უნარმოკლებულ პირებისა და ორგანიზაციებისათვის სესხის გაცემა, მტკიცეთ დაიცვას თამასუქების განაღდების ვადა, — და გამოიმუშაოს გარკვეული საპროცენტო განაკვეთები.

სასოფ.-სამეურნეო პროდუქტების დამზადება

თამბაქოს დამზადება

ამჟამად აფხაზეთში მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა შარშანდელი მოსავლის თამბაქოს დასამზადებლათ. გადაწყვეტილია, რომ წელს სოხუმის თამბაქოს ფაბრიკებისათვის დატოვებულ იქნეს უფრო მეტი ნედლი თამ., ვიდრე წინა წლებში იმ მიზნით, რომ გარეშისათვის დამუშავებული იქნეს უფრო მეტი თამბაქოს ფაბრიკატები. პროდუქც. დამზადების საჭიროება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში მეტად გაიზარდა მოთხოვნილება სოხუმის უმაღლესი ხარისხის თამბაქოზე. ამჟამად სოხუმის თამბაქოს ქარხანა სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს რუსეთის ბაზრის მოთხოვნილებას.

მატყლის დამზადება

ახალქალაქის კოოპერატიული ორგანოები შეუდგენ მატყლის საშემოდგომო დამზადებას. ხელშეკრულებით მთელმა ახალქალაქის კოოპერატიულმა ამხანაგობებმა ცეკავშირს უნდა ჩააბარონ 3.000 ფუთი მატყლი. მაგრამ შესაძლებელია დამზადებულ იქნეს უფრო მეტი, რადგან გლეხობა, რომელიც მატყლის ფასს ნაღდად ღებულობს, მზად არის ჩააბაროს კოოპერატიულ ორგანოებს მატყლის მთელი მოსავალი. მატყლის მიღება და ჩაბარება უკვე დაიწყო.

რკინის გზებზე

მუშაობის მოწესრიგებისათვის

ა.-კ. რკ. გზების სამმართველომ, გზათა-მიმოსვლის კომისრის ამხ. რუძუტაკისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

მუშაობის მოწესრიგების მიმდინარე წლის პრაქტიკა მთელ რიგ გზებზე უნდა ჩაითვალოს არა დამაკმაყოფილებლად. ამის გამო გზათა-მიმოსვლის კომისარიატი შემდეგ წინადადებას იძლევა:

მუშაობის მოსალოდნელმა გადიდებამ არ უნდა გამოიწვიოს შტატის ავტომატიური გადიდება.

არსებული რაოდენობა მუშაკებისა გადასინჯული უნდა იქნეს იმ გვარად, რომ შევსებული იქნეს სამუშაო დრო, საქმის დაყენების გაუმჯობესებით; მოსპობილ უნდა იქნეს უსაქმოდ დგომა, უმიზეზოდ სამუშაოზე არ გამოცხადება და სხვა. ე. ი. სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული 8 საათის სამუშაო დღე.

ახალ მუშების მიღება შეუძლია მხოლოდ გზის მმართველობას, მაგრამ თავისუფალი ადგილები, რომლებიც გაიხსნება მუშაობის გადიდების გამო შევსებულ უნდა იქნენ ძველი მოსამსახურეებით, ხოლო უკანასკნელების მაგიერ [illegible] მიიღონ ახლები, მაგრამ იმ პირობით, რომ მუშაობის შემცირების შემთხვევაში სამუშაოებზე დროებით გადაყვანილი ძველი მუშები უნდა დაბრუნონ თავიანთ ადგილებზე, ხოლო დროებით მოწვეულები კი დაითხოვონ.

ეს პირობები უნდა იქნეს აღნიშნული საანგარიშო წიგნაკებში.

1926—27 წლის ხარჯთ-აღრიცხვით ცენტრალურ მომწესრიგებელ ბიუროს მიერ დაწესებული შტატი უნდა ჩაითვალოს წინასწარად და მაქსიმალურად, რის გამო ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების დროს შესაძლოა მისი შემცირება.

საგანმანათლებლო მუშაობისათვის

საგანმანათლებლო მუშაობისათვის საჭირო თანხა 1926—27 წლისათვის ა.-კ. რკინის გზაზე გამოანგარიშებულია—2.389.000 მანეთის რაოდენობით. აქედან საქართველოს საჭიროებისათვის განზრახულია—490.131 მან. გაცემა, აზერბეიჯანისთვის—281.159 მან. და სომხეთისთვის—161.401 მანეთის.

ბავშთა ჯანმრთელობის დაცვისათვის მთელ გზებზე საჭიროა—46.987 მან.; წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის — 60.083 მან.; თბილისის რკ. გზ. მუშფაკისათვის—8.748 მან. და პროფტექნიკური განათლებისათვის—440.542 მან.

გარდა ამისა განზრახულია სუბსიდიის მიცემა პოლიტექნიკურ ინსტიტუტისათვის—14.600 მანეთის რაოდენობით, და 37.284 მან. უმაღლეს სასწავლებლების სტიპენდიანტ სტუდენტებისათვის.

სასკოლო აღმშენებლობისათვის მთელ გზებზე გამოანგარიშებულია—537.000 მანეთი.

ეს ხარჯთაღრიცხვა საორიენტაციოა და წარდგენილია ცენტრში საბოლოოდ დასამტკიცებლათ.

დაუდევრობისათვის

მიმდინარე წლის თებერვალში ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს მიერ ხე-ტყის მასალის დამუ[illegible] რაიონების გამოსაკვლევათ არჩეული იყო კომისია, რომელიც გაემგზავრა ადგილზე, სადაც დაჰყო დიდ ხანს, მაგრამ ანგარიში კი არ წარმოუდგენია აქამდე, გარდა მესამე რაიონისა და ისიც მეოთხეჯერ გახსენების შემდეგ. ამავე დროს კი იმავე რაიონში მეორე კომისიის მიერ აღმოჩენილი იქნა მთელი რიგი ბოროტმოქმედებებისა.

დავალების დაუდევრათ შესრულებისა და რამდენჯერმე მიცემულ განკარგულების შეუსრულებლობის გამო, ა.-კ. რკ. გზ. მმართველობამ შენიშვნა მისცა კომისიის თავმჯდომარეს, სატყეო განყოფილების უფროსის თანაშემწეს ჯაჯანელას და კომისიის წევრებს: კიკნაძეს, ავალიანს და ტოპჩანს.

შემთხვევა ქარელში

26 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, სადგ. ქარელში სახალხო მატ. № 15-ს ორთქლმავალი მოედვა ძველ შპალებს სადგურში შესასვლელ ისართან და იგი ჩაათრია სადგურამდე, სადაც გასდვა ფიცრის ბაქანს და დააზიანა.

მადლობა მესანგრეთა მე-19 ცალკე ბატალიონს

ბრძანება

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი
1926 წ. აგვისტოს 26
№ 3.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო გაეცნო კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მე-19 ცალკე საპიორთა ბატალიონის მუშაობას სვანეთის გზის აღდგენისა და გაგანიერებისათვის და აღნიშნავს მთლად ბატალიონის შედგენილობის ორგანიზაციის უნარსა და ერთსულოვნობას, ენერგიას და სიმამაცეს განსაკუთრებით მძიმე და საშიშარ მუშაობის დროს, ხოლო ბატალიონის საკომანდო შედგენილობის—უმაღლეს ტექნიკურ მომზადებას. ამასთანავე ბატალიონმა დაამყარა მჭიდრო კავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელმაც მის მიერ ნაკისრები მოვალეობა აღფრთოვანებით შეასრულა. აგრეთვე ბატალიონმა გამოიჩინა სრული შეგნება იმ მიზნის უდიდესი მნიშვნელობისა, რასაც იგი ემსახურებოდა, ე. ი., რომ საქართველოს დაშორებული და უაღრესად ჩამორჩენილი კუთხე—სვანეთი—მუდმივად მომქმედი გზით დაუახლოვდეს საქართველოს ცენტრებს და თანაზიარი გახდეს საბჭოთა აღმშენებლობისა და კულტურისა.

ამის გამო საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო მადლობას უცხადებს მთლად ბატალიონის საკომანდო და პოლიტიკურ შედგენილობას და წითელ არმიელებს, რომელთაც პირველი ქვაკუთხედი დასდეს აღნიშნული მიზნის განხორციელებლად.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—
შ. ელიავა.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—
ალ. სალარიძე.

თბილისი—სასახლე.

განათლების ფრონტზე

სკოლების შეკეთება

თბილისსა და თბ. მაზრაში სკოლების შესაკეთებლად თბ. აღმასკომის განათლების განყოფილებას გადადებული აქვს 71.300 მანეთი. სკოლების შეკეთება დამთავრდება 25 სექტემბრამდე.

საბავშო მოედნები

სექტემბრის 1 რიცხვისათვის დამთავრდება საბავშო მოედნების ხელახალი მოწყობა, რის შემდეგ ყველა მოედნებზე განახლებული იქნება ყველა საბავშო სახლებში.

მაღალი ტიპის სკოლები

პოლიტგანათლების განყოფილებას განზრახული აქვს შემოდგომაზე თბილისში გახსნას მაღალი ტიპის სკოლა, რომელშიაც მიიღებენ მხოლოდ წ.-კ. მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების კურსდამთავრებულებს.

კურსები

20 სექტემბერს თბილისში გაიხსნ[illegible] განათლების მოკლევადიანი კურს[illegible] რის ქოხ-სამკითხველოების გამგე[illegible] სამზადებლათ.

სამოსწავლო წლის დაწყ[illegible] წინ

გლეხური ახალგაზრდობის სკოლები კახეთში

მიმდინარე სამოსწავლო წლისათვის კახეთში იხსნება გლეხური ახალგაზრდობის სამი სკოლა. ერთი სკოლა უკვე გასულ წელს არსებობდა. ამგვარად წელს კახეთში იქნება 4 ასეთი ტიპის სკოლა.

სამოსწავლო წლის დასაწყისი ქუთაისში

ქუთაისის და მისი მაზრის ოთხწლედის, შვიდწლედის და ცხრაწლედის სასწავლებლებში მეცადინეობა განახლდება 15 სექტემბრიდან, ხოლო გამოცდები დაიწყება იმავე თვის 10 რიცხვიდან.

აჭარისტანში

გლეხური ახალგაზრდობის სკოლები

მიმდინარე წლის შემოდგომიდან აჭარისტანის სხვადასხვა მაზრებში იხსნება გლეხური ახალგაზრდობის 4 სკოლა, ოთხწლიანი სამოსწავლო კურსით. სკოლებში საერთო წესის თანახმად, გარდა საერთო საგანმანათლებლო საგნებისა, შემოღებულ იქნება სასოფლო მეურნეობის ყველა დარგების სწავლება.

სკოლა—თავშესაფარი

მიმდინარე წლის შემოდგომიდან სოფ. ქედაში (აჭარისტანი) იხსნება სკოლა თავშესაფარი 50 ბავშვისათვის. სკოლაში მიღებულ იქნება ობლები და ულარიბესი გლეხების შვილები.

წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციოთ

მომავალი სამოსწავლო წლიდან აჭარისტანის ყველა მაზრებში იმუშავებს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 120 სკოლა. სკოლაში გატარებულ იქნება სულ 9.000 უცოდინარი.

სკოლების შეკეთება

აჭარისტანის სოფლების სკოლების შენობათა კაპიტალური შეკეთება დამთავრდება სამოსწავლო წლის დაწყებისათვის.

ხულოში შენდება სკოლის ახალი შენობა, რისთვისაც ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ გადასდო 2.500 მანეთი. სწავლა აჭარისტანის სკოლებში დაიწყება შემოდგომის მუშაობის დამთავრების შემდეგ—1 ოქტომბრიდან.

სამხრეთ-ოსეთი

ტექნიკუმის შენობა ცხინვალში

საქართველოს უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა ქალ. ცხინვალში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ასაგებად. შენობა დაიტევს 120 მსმენელს. იქვე მოთავსებული იქნება ინტერნატიც. შენობა შეიცავს ოთხ საკლასო ოთახს, 8 საძინებელს, 2 ლაბორატორიას, წიგნთსაცავს, სამრეცხველო და სასადილო ოთახებს, სავარჯიშო დარბაზს და სხვ.

შენობა ორსართულიანია და შენდება ქართულ სტილზე. ჯდება ხარჯთაღრიცხვით მისი აშენება 200.000 მანეთი. შენობის საალმშენებლო მუშაობას შეუდგებიან მიმდინარე სექტემბრის თვიდან.

გლეხ-ახალგაზრდობის სკოლის შენობა

საქართველოს უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ ამ დღეებში დაამტკიცა გლეხ-ახალგაზრდობის სკოლის შენობის აგება და ხარჯთაღრიცხვა. სკოლა შენდება ქალ. ცხინვალში. შენობა ერთსართულიანი იქნება და უნდა შეიცავდეს 4 საკლასო დარბაზს, ქიმიურ ლაბორატორიუმს და მასწავლებელთა საცხოვრებელ ინტერნატს. ხარჯთაღრიცხვით შენობის აგება უნდა დაჯდეს 60.000 მანეთი. შენობა ქვისაა.

სახალხო მამულების ტრესტში

სახალხო მამულების ტრესტის მმართველმა დაათვალიერა სახალხო მამულები დასავლეთ საქართველოში — ვაქევი, ვარციხე და ამერიკული ვაზის სანერგე ვაზის უბანი (ყოფილი ქორეის უბანი), ვაქევის და ვარციხის მამულებას ვენახები სავსებით დაცულია ავათმყოფობისაგან და მოსავალს კარგი პირი უჩანს, მიუხედავათ ავდრიან წელიწადისა, ვენახების წამლობა წესიერად ტარდებოდა და ყურძენი, რომელიც უკვე შეთვალებულია, სრულებით საღია, ვაქევის მამულში შამპანიური ვაზის სხვადასხვანაირი ჯიშები საუკეთესო მასალას იძლევიან შამპანიური ღვინის მისაღებათ. ამის გამო გადაწყვეტილია ვაქევისის მამულში გაშენდეს მხოლოდ შამპანიური ვაზის ჯიშები. ვაქევის მამულს გარშემო აკრავს საგლეხო მიწები, რაზედაც დღეს სიმინდი მოჰყავთ. ტრესტის მმართველობას გადაწყვეტილი აქვს აღძრას შუამდგომლობა, რომ ამ მიწებზე გაშენდეს შამპანიური ვაზის ჯიშები ვაქევის მამულის მაგალითის მიხედვით: თუ გლეხები მოისურვებენ მიწებზე შამპანიური ვაზის გაშენებას, ტრესტის მმართველობა მათ ხელს შეუწყობს დასარგავი ნამყენი ვაზის მასალით. სახალხო მამულების ტრესტის გამგეობამ ვაქევში ვენახების გასაფართოვებლად უკვე ზომები მიიღო: მას ბლომათ აქვს დამყნილი შამპანიური ვაზის ჯიშები და ვაქევში წელს განზრახული აქვს ათი დესეტინა ვენახი მიუმატოს.

ვარციხის და ვაქევის გარშემო მდებარე სოფლების გლეხები ძლიერ დაინტერესებული არიან, რომ გასული წლის მაგალითის მიხედვით, ტრესტის მმართველობამ მათგან რაც შეიძლება მეტი ყურძენი შეიძინოს.

ვარციხის გარშემო სოფლებში, დიმში, ფერსათში, სადიმიტრიეოში და სხვაგან. წელს ვენახებს კარგათ ასხია და ვენახები რიგიანათ არის დამუშავებული; გლეხები მზათ არიან ვენახების სივრცე გააფართოვონ, თუ ნაწარმოებს გასავალი ექნება. ვარციხის სახალხო მამულში ახლად დადგმულია კიდევ დიდი წარმოების სპირტის გაუმჯობესებული ქარხანა; ასე რომ არსებულ სპირტის ქარხნებით ვარციხის მამულს შეუძლია დიდძალი სპირტი გამოხადოს. მიმდინარე 1926—27 წელში ვარციხეში შარშანდელზე მეტი სპირტი გამოიხდება და შესძლებს გლეხების მოთხოვნილება - ყურძნის შეძენის შესახებ დააკმაყოფილოს.

ამერიკული ვაზის სანერგეში ვაზის უბანში 40 დესეტინამდის ამერიკული ვაზის სადედეა და 400 ათასზე მეტი ნამყენი ვაზია გასახარებლად დარგული. ხშირი და განუწყვეტელი წვიმების გამო დამყნილ ვაზს ოდნავ ჭრაქი ეტყობა და ზოგ ნაკვეთში სადედეში ამერიკული ვაზის ჯიშები არეულია. ენერგიულათ სწარმოებს ნამყენის წამლობა შაბიამანით, ვაზის უბნის მიწა მეტის მეტათ ნოყიერია: ამერიკული ვაზის საძირე მასალა მოდის უხვათ — დესეტინაზე 50 ათას მეტრამდის; აგრეთვე ნამყენი გამოდის კარგათ შეხორცებული და მძლავრი, თუმცა აქ ჩვეულებრივის წესით ამყნობენ. ტრესტის მმართველობას გადაწყვეტილი აქვს აქ მოაწყოს ამერიკული ვაზის წმინდა ჯიშების და ჰიბრიდების ჯიშნარები და აგრეთვე გააფართოვოს სადედე და-ნამყენის წარმოება.

ჩვენი მრეწველობა

ნაბდის ფაბრიკა

საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭო უკვე შეუდგა თბილისის ტყავტრესტთან ნაბდის დასამუშავებელი ქარხნის აგებას. ფაბრიკა შენდება თანამედროვე ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. შენობაში მოწყობილი იქნება ცენტრალური განათება-გათბობა და ვენტილიაცია. მუშებისათვის მოწყობილი იქნება საერთო დასასვენებელი დარბაზი, საერთო სასადილო ოთახი, პირსაბანები და აბანო ცივი და თბილი ვანების მისაღებად.

საალმშენებლო მასალები, რომელიც საჭიროა ნაბდის ფაბრიკის შენობის ასაგებად უკვე შეძენილია. შეძენილია აგრეთვე უცხოეთში, ფაბრიკისათვის საჭირო მანქანები. ამ დღეებში საბჭომ მიიღო გერმანიაში შესყიდულ მანქანების ერთი ნაწილი.

სპეციალისტების გამოკვლევით ფაბრიკა ყოველდღიურად დაამუშავებს 80 ფუთ ნაბდის ქსოვილს ერთ წყებათ მუშაობის დროს.

უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა აგრეთვე ახალი შენობის რკინა-ტინობის სახურავით დახურვის ხარჯთაღრიცხვა. ნაბდის ფაბრიკის ახალი შენობა სამსართულიანი იქნება და მისი აგება ხარჯთაღრიცხვით 200.000 მანეთი დაჯდება.

სატყეო მრეწველობა

ხე-ტყის ქარხნები აფხაზეთში

ერთი თვეა, რაც ამუშავებულ იქნა გაგრის ხე-ტყის ქარხანა, რომელიც ახალი მანქანებით და იარაღებით იქნა მოწყობილი. გასულ წელს ქარხანამ დაამუშავა 80 ათასი კუბიკური ფუტი მასალა. ხელახალი მოწყობის შემდეგ ქარხნის ნაყოფიერება წელიწადში მიაღწევს 550.000 კუბიკურ ფუტს.

ამჟამად აფხაზეთის სატყეო ტრესტს გაჰყავს ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა სატყეო აგარაკებიდან ხე-ტყის ჩამოსატანად. ხე-ტყის გამოზიდვის ასეთი მექანიზაცია გააიაფებს პროდუქციის ღირებულებას და ასწევს წარმოების ნაყოფიერებას.

აფხაზეთის სატყეო ტრესტების უწყებაში გადავიდა აგრეთვე ეოქვარის ხეობაში აგებული ხე-ტყის ქარხანა, რომელიც მანამდე კერძო პირს ჰქონდა იჯარით გადაცემული. ამჟამად ხდება ქარხნის ახალი მანქანებით და იარაღებით მოწყობა, რის შემდეგ ქარხნის ნაყოფიერება წელიწადში იქნება 8 ათასი კუბიკ. ფუტი. ქარხანა უზრუნველყოფილია ხე-ტყით. სატყეო აგარაკში დამზადებულია 140 ათასი კუბ. ფუტი ხე-ტყე.

მიწათმოქმედების კომისარიატის სასოფ.-სამეურნეო იარაღების საწყობის მუშაობა

მიწად მოქმედების კომისარიატს გარდა ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების საწყობისა, ელისაბედის ქუჩაზე აქვს კიდევ მეორე საწყობი, რომელიც უშუალოდ აწვდის იარაღ- მანქანებს გლეხობას.

იარაღ-მანქანები გლეხობას ეძლევა რაც შეიძლება ხელსაყრელ ფასებში. ზოგიერთ მანქანას, რომლებიც მაღალი ფასების გამო გლეხობისათვის ხელმიუწვდომელია, საწყობი აქირავებს. ქირით უმთავრესად მიაქვთ ტრაქტორები. საწყობს მოეპოვება „ფორდზონი"-ს და „ჰოლტი"-ს სისტემის ტრაქტორები, მათგან ჩვენი გლეხობა უმთავრესად „ჰოლტს" ეტანება.

უნდა ითქვას, რომ მოთხოვნილება იარაღ-მანქანებზე რესპუბლიკის ყოველ კუთხიდან ისეთია, რომ ვერც კი აკმაყოფილებენ მას.

წელს საწყობიდან გაიყიდა გლეხთა ამხანაგობებზე და არტელებზე: 35 „ფორდზონი"-ს და 20 „ჰოლტი"-ს ტრაქტორები, 300-დე მათოხები, 70—ფარცხი, 12—სათიბი მანქანა, 14—სეპარატორი, 15—სათესი მანქანა, 54—სანიავებელი და 18—სამკალი—თვითკონავი მანქანა. ყველაზე მეტი მოთხოვნილება წელს გუთნებზე იყო (გაიყიდა 1000 ცალზე მეტი), დიდი რაოდენობით სალდება აგრეთვე „ვერმორელი"-ს სასხურებელი მანქანა.

აღსანიშნავია, რომ შარშან გაყიდულ იქნა გლეხთა არტელებზე სამი ლოკომობილი „ლანცი"-ს სისტემისა.

ტრაქტორებს ყიდულობენ უმთავრესად არტელები, საკრედიტო ამხანაგობები და გლეხკომები.

გარდა იარაღ-მანქანებისა, საწყობი აწვდის გლეხობას აგრეთვე ყოველგვარ საბოსტნე, საბაღო და სამინდვრო თესლეულს. დიდია მოთხოვნილება: იონჯის, სამყურას, ესპარცეტა კოინდარის და სხვა ბალახების თესლეულზე მოთხოვნილებაა აგრეთვე აბრეშუმის თესლზე და მეფუტკრ[illegible] საჭირო მასალებზე.

მუშათა ცხოვრება

ქალაქის კეთილმოწყობისათვის

(ქალ. აღმასკომის კეთილმომწყობ განყოფილების მუშაობის მოკლე მიმოხილვა)

სამოქალაქო მშვიდობიანობის დამყარებისთანავე საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა ქალაქთა კეთილმოწყობისათვის ზრუნვას.

ამ მხრივ ჩვენმა ქალ. აღმასკომმაც მცირე ხნის განმავლობაში დიდ შედეგებს მიაღწია.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში თბილისი თვალსაჩინოდ გადახალისდა და გამშვენიერდა.

უმთავრესად აღსანიშნავია ქალაქის განაპირა (მუშათა) უბნები, სადაც უმეტესად მშრომელი მოსახლეობა ბინადრობს.

ლენინის რაიონში (ხაძალადევი) მახათის მთის ფერდობები და სხვა რაიონები ელექტრონის სხივებში ჩაფლული ამაყად გადმოჰყურებს დღეს „სოლოლაკის" კუთხეს, ამ ყოფილ ბუდეს თბილისის პლუტოკრატიისა...

გაერთიანებულია ქალაქის აზიური ნაწილი ცენტრთან, სომხის ბაზარზე ფართო ქუჩის გაყვანით, რომელზედაც ამ დღეებში დაიწყება ტრამვაის ახალი ლიანდაგის დაგება თავისუფლების მოედნიდან აბანოებამდე.

ბევრგან, ქალაქის შუაგულ ნაწილში, სადაც წინად „გამოუსადეგარი ადგილი" იყო—დღეს მოფენილია ბაღებით და მუშათა კლუბებით.

მუშათა განაპირა რაიონებში ყველგან მოწყობილია ბაღნა-ბაღები, სადაც ახლო მცხოვრებნი მუშათა ოჯახები, ღარიბი მოსახლეობა და მოზარდი ახალგაზრდობა ერთობა სუფთა ჰაერზე ტანვარჯიშობით.

თბილისის სიამაყეს სამკურნალო გოგირდის წყლის აბანოები შეადგენენ. ამ აბანოების შენობები მოწყობილია, გაფართოებული და ჰიგიენურად გადაკეთებულია. მუშაობა ამ მხრივ თანდათან ფართოვდება. თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს გადააქციოს ეს შესანიშნავი კუთხე შესაფერის სამკურნალო კურორტად.

გოგირდის აბანოებთან მოწყობილია სპეციალური აბაზანები ასტალის ტალახით, რაიც დიდ დახმარებას უწევს მუშა-მოსამსახურეთ სამკურნალო საქმეში.

აღსანიშნავია ფართო მაშტაბით წარმოებული საბინაო აღმშენებლობა: შენდება მუშათა [illegible] საცხოვრებელ ბინებისათვის დიდი და ჰიგიენურად მოწყობილი სახლები.

ამ ნაწილობრივად ჩამოთვლილ მიღწევებს ამშვენებს თავისი სიდიადით და ტექნიკურ მოწყობით „ზაჰესი" ელექტრო სადგური, რომელიც თავის უხვ სხივებში გაახვევს ამ მოკლე ხანში თბილისსა და მის ახლო მდებარე სოფლებს.

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს ქალაქის კეთილმოწყობის საქმე ფართო მაშტაბით აქვს დასახული, რომელსაც იგი სისტემატიური ზრუნვით თანდათან ახორციელებს მშრომელი მასების საკეთილდღეოდ.

ნ. ჯაფარიძე.

პლეხანოვის სახელობის კლუბი

პლეხანოვის სახელობის კლუბი ნამდვილად მუშათა კლუბია. ხსენებული კლუბი ემსახურება მუშათა უბანს და ამიტომ მისი წევრებიც მთლად რკინისგზის მუშებია. ამ სამი-ოთხი წლის წინეთ კლუბში თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა, არა ჰყავდა მას იმდენი წევრები, რამდენიც დღეს მას ჰყავს, არ არსებობდა არავითარი, არ იმართებოდა კარგი წარმოდგენები, არ აჩვენებდენ კარგ კინო-სურათებს, არ ჰქონდა კლუბს ისეთი ბაღი, როგორიც დღეს აქვს და სხვა.

მაგრამ, როგორც ძველი, ისე ახალი გამგეობის მუყაითმა მუშაობამ დღეს ეს დიდი ნაკლი გამოასწორა და კლუბის პრესტიჟი ასწია სათანადო სიმაღლეზე:

დღეს კლუბს ჰყავს 2.137 აქტიური წევრები; არსებობს სხვადასხვა წრეები: რუსულ-ქართული დრამატიული დასი, რუსულ-ქართული მომღერალთა გუნდები, სიმებიანი ორკესტრი, პროფმოძრაობის წრე, ფიზკულტურის და ბადრაკის წრეები. ყველა ამ წრეებში მეცადინეობენ როგორც მუშები, ისე მუშათა შვილები.

ამას გარდა კლუბში იმართება საუკეთესო წარმოდგენები როგორც ადგილობრივი მუშებისგან შემდგარი ძალებისგან, ისე აკადემიური დასის მსახიობების მიერ, სადაც ხშირად მონაწილეობას ღებულობენ სახალხო მსახიობები.

ამას გარდა კიდევ იმართება ინსცენიროვკები, კონცერტები, ცოცხალი გაზეთი და აჩვენებენ საუკეთესო კინო-სურათებს, მათ შორის მრავალია უფასო.

აქ კიდევ აღსანიშნავია ის, რომ კლუბთან არსებობს იურიდიული ცნობათა ბიურო, [illegible] ბიურო და სხვადასხვა კომისიები.

ერთი სიტყვით, პლეხანოვის სახელობის კლუბი ყველაფრით აკმაყოფილებს თავის წევრებს და მთელი რაიონის მცხოვრებლების მოთხოვნილებებს, რისთვისაც მადლობის ღირსია როგორც ძველი და ახალი გამგეობა, ისე ის აქტივებიც, რომლებიც არა ნაკლებ მუყაითობას იჩენენ კლუბის მასიურ მუშაობაში.

მუშა [illegible]

ბორჯომ-პარკის სადგურში

ბორჯომ-პარკის სადგურის სალაროსთან ყოველთვის აუარებელი ხალხი იყრის თავს მატარებლის მოლოდინში და თითქმის საათობით უხდება ცდა. თითქო რამე დანაშაული მიუძღვის ამ ხალხს და მიტომ ისჯებაო, მთელი დრო ფეხზე დგას, ვინაიდან სადგურზე არ არის არც ერთი სკამი, რომ ადამიანი ჩამოჯდეს, რა უშავს, რომ სადგურის გამგემ იზრუნოს და ამ უბრალოდ დასჯილი ხალხისათვის ორი-სამი უბრალო ხის სკამი დასდგას, რომ ფეხზე დგომით არ დაიქანცნენ. ეს სკამები არც ისე ძვირი დაჯდება, არც რკინისგზა გაკოტრდება, არც მისი ადმინისტრაცია იზარალებს რამეს და ხალხი კი მადლიერი დარჩება.

გააკეთეთ მატარებლის მომლოდინე ხალხისთვის სკამები!

მუშა ნ. ახ—ლი.

მუშათა ქრონიკა

— **თანხის გადიდება.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა ხაშურის საუბნო პროფკავშირის გაუდიდა სალარი ადგილკომების შესანახად 175 მანეთით ყოველთვიურად.

— **120 მანეთი სამკითხველოსათვის.** ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ გადასდო ყოველთვიურად 120 მანეთი სამკითხველოს მოწყობისათვის.

— **სამხედრო-სანიტარული კუთხე.** ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობას განზრახული აქვს ახლო მომავალში გახსნას სამხედრო-სანიტარული კუთხე.

— **გამორიცხვა.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა დაუდასტურა ხაშურის საუბნო კავშირს გამორიცხონ კავშირიდან მოქ. კიკნაძე და ჩიხლაძე, რომლებიც არ გადაიხდიდენ 6 თვის განმავლობაში კავშირის საწ. ანარიცხებს.

— **5 პროცენტი საკლუბო მშენებლობისათვის.** ა.-კ. რკინიგზის კავშირის „ცეკა"-მ მიმართა საგზაო კომიტეტს კულტფონდიდან გაიღოს 5 პროცენტი საკლუბო მშენებლობისათვის.

— **კვირაში ერთი წარმოდგენა.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ სთხოვა ამავე კლუბის არსებულ ქართულ დრამწრის რეჟისორს ვიქ. წინიძეს, რათა კვირაში ერთი წარმოდგენა დადგას.

— **კავშირის და არაკავშირის წევრი.** რკინისგზის საუბნო ბირჟაში ითვლება 350 უმუშევარი კავშირის და არაკავშირის წევრი.

— **ფულის პოვნა.** ამას წინეთ საქონლის სადგურის მუშებმა ლუკა ექიზაშვილმა და ჟღენტმა იპოვეს ერთი დიდი ჩანთა ოქრო ფულებით და სხვადასხვა სახაზინო ფული, რაც გადაეცა საგანგებო კომისიას.

— **2.840 მუშა-მოსამსახურე.** რკინისგზის მთავარ სახელოსნოში ითვლება ამჟამად 2.840 მუშა-მოსამსახურე.

— **81 არაკავშირის წევრი.** ივნისამდე რკინისგზის მთავარ სახელოსნოში ითვლებოდა 81 არაკავშირის წევრი მუშა-მოსამსახურე.

— **შემოსავალ-გასავალი.** რკინისგზის მთავარ სახელოსნოს ურთიერთ დამხმარე ბიურომ შემოსავალ-გასავალი 6 თვის განმავლობაში ასე აწარმოვა: პირველ იანვრიდან პირველ ივნისამდე შემოსული უდრის—1.327 მან. და 70 კაპ. გასავალი—1.308 მან.

— **გაზ. „კომუნისტი" მაისში.** მთავარ სახელოსნოს 1[illegible] მუშა-მოსამსახურემ გამოიწერა გაზ. „კომუნისტი" მაისის თვეში.

— **„მწვერვალი".** კულტკომისია უშვებს ყოველთვიურ კედლის გაზეთს „მწვერვალს" სა[illegible].

— **14 წარმოდგენა.** რკინისგზის მთავარ სახელოსნოს დრამწრემ პირველ ივნისამდე დასდგა სულ 14 წარმოდგენა.

— **„ზაკტპოს" წევრებად.** რკინისგზის მთავარ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა 80 პროც. ჩაწერილია „ზაკტპო"-ს წევრებად.

— **საშეფკომში წევრებად.** რკინისგზის მთავარ საავადმყოფოს საშეფკომში წევრებად ჩაწერილია 115 კაცი.

— **საშეფოდ აყვანა.** რკინისგზის მთ. საავადმყოფოს კულტკომისიამ საშეფოდ აიყვანა სოფ. ხიდის-თავი (გორის მაზრა).

თბილისის სანიტარული მდგომარეობა

თბილისში სულ 12.279 მფლობელობაა. ყველა ეს მფლობელობანი შესდგება 14.786 საცხოვრებელ და 5.693 არა საცხოვრებელ შენობებისაგან.

საერთო საბინაო მოედანი თბილისში უდრის 3.292.788 კვადრატიულ არშინს, და თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 290 ათას სულს, მაშინ თვითეულ სულზე მოდის 11,4 კვადრატიული არშინი.

თუ ყველა იმ დეფექტებს, რომლებიც აღმოჩენილია სანიტარული ზედამხედველობის მიერ გავყოფთ მფლობელობათა რიცხვზე, მივიღებთ, რომ თვითეულ მფლობელობაზე მოდის სამზე მეტი დეფექტი.

ყველა ამ მფლობელობიდან 3,3 პროცენტს არ გააჩნია არავითარი გამასუფთავებელი საშუალებები (კანალიზაცია და სხვა), ხოლო არა საცხოვრებელ მფლობელობაში—45,5 პროცენტს.

სახლების 45 პროცენტს აქვს გაყვანილი წყალსადენი და სარგებლობენ კანალიზაციით, ხოლო დანარჩენი რაოდენობა ასეთებით არ სარგებლობს.

წყალი მიაქვთ ქალაქის წყლის განმანაწილებლებიდან. უმნიშვნელო ნაწილი მოსახლეობისა წყალს ღებულობს უბრალო ჭებიდან, რომელთა 60 პროცენტი ვერ აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებებს.

1922 წელს ბინებში ითვლებოდა 7.685 უმოქმედო წყალსადენი, რომლებიც 1926 წლისთვის აღდგენილ იქნენ. უკანალიზაციოთ ეხლა დარჩენილია ბინების უმნიშვნელო რაოდენობა.

მთელი მოსახლეობის 9 პროცენტი სარგებლობს უბრალო ფეხისადგილებით, ხოლო 300 საცხოვრებელ სახლში ასეთებიც კი არ მოიპოვება. საერთოდ უბრალო ფეხისადგილები მოდის 11.117 ბინაზე; აქედან 80 პროცენტი სრულიად ვერ აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებებს. ზოგიერთ შემთხვევებში ამ მიზნისათვის იყენებენ სარდაფებს.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მიექცა ყურადღება ქალაქის კეთილმოწყობას და 1926 წლისათვის გაშენებულ იქნა რვა ბაღი, ამოშრობილ იქნა საბურთალოს ჭაობები, გაფართოვდა მთელი რიგი ქუჩებისა, გადაკეთდა ქალაქის აბანოები, დაიწყო და ეხლაც გრძელდება მუშების საცხოვრებელ ბინების აგება და ქალაქის მიდამოებში 150 დესეტინა სივრცეზე გაშენდა ტყე.

ქუჩების ნახევარზე მეტი მოუკირწყლავია, უარესია მდგომარეობა შესახვევებში; ასეთსავე მგომარეობაში იმყოფებიან ფილაქნები. მართალია, ქუჩების მორწყვის მხრივ მდგომარეობა უკეთესია ვინემ ომამდე იყო, მაგრამ იგი მაინც ვერ აკმაყოფილებს სანიტარიის და ჰიგიენის მოთხოვნილებებს. მოკირწყვლის მხრივ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან აგრეთვე ეზოებიც,—ნახევარზე მეტი ეზოებისა მოუკირწყლავია და იქ ავდრების დროს წყალი დგება.

ქალაქის აბანოებს, ეხლანდელ მდგომარეობაში, შეუძლიათ წლიურად გაატარონ—1.232.386 კაცი, მაგრამ თუ ვიანგარიშებთ, რომ თვითეული პირი წავა აბანოში ორ კვირაში ერთხელ, ისინი მოთხოვნილებას დააკმაყოფილებენ.

სამკურნალო დაწესებულებების რიცხვი გაცილებით აღემატება ომამდე არსებულ რიცხვს.

თუ ქალაქის ყველა სანიტარულ დეფექტებს დავყოფთ სამ კატეგორიათ, პირველში შევლენ ისეთი დეფექტები, რომლებიც საშიშროებას უქადიან მოქალაქეებს (შენობების ნგრევა), მეორეში—ტეხნიკური ნაკლულოვანებანი (ბინების შეუკეთებლობა, ქუჩების და ეზოების მოუკირწყლაობა და სხვა) და მესამეში—უსუფთაობა (ბინების, ეზოების, ქალაქის მოედნების და ქუჩების ბინძურათ შენახვა).

* * *

ა.-კ. საგეგმო კომისიაში

ელექტრო-მშენებლობა ამიერ-კავკასიაში

ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაავალა სატრანსპორტო-სამშენებლო სექციას შეიმუშავოს მომავალი წლის ელექტრო-მშენებლობის გეგმა. ამისათვის სექციას დაევალა დებულების შედგენა, რომელშიაც უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი: 1) პროექტების დამუშავება და ხარჯთ-აღრიცხვების შედგენა, 2) საპერსპექტივო და საოპერაციო გეგმების შედგენა, 3) ურთიერთობის მოგვარება იმ ორგანოებს შორის, რომლებიც აწარმოებენ საოპერაციო მუშაობას და მეთვალყურეობას ელექტრო-მშენებლობაზე.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთების გეგმა

ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების შეკეთების გეგმა მომავალ 1926—27 წლისათვის. დასკვნისათვის გეგმათა ასლები დაეგზავნა ყველა რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიებს.

თანხების განაწილება

ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ამ დღეებში განაწილა რესპუბლიკების საჭიროებისათვის ა.-კ. მთავრობის მიერ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსაგან მიღებული 50.171 მან. 45 კაპ.:

საქართველოს — 31.955 მან. 50 კაპ., აზერბეიჯანს — 15.622 მან. 73 კაპ., სომხეთს — 2.593 მან. 22 კაპ.

აღნიშნული თანხა მოხმარდება სასოფლო-მეურნეობის საქმეს.

* * *

ქუჩების გასუფთავება

თბილისის ქუჩებში ეტლების დასაყენებლად მიჩენილია განსაკუთრებული ადგილები, სადაც შეიძლება იდგეს ეტლების მხოლოდ განსაზღვრული რიცხვი. ამ წესს ხშირად არღვევენ მეეტლეები.

ქუჩების იმ მანძილზე, რაც საჭიროა განსაზღვრულ რაოდენობის ეტლების დასაყენებლად ქალაქის აღმასკომის კეთილმომწყობ განყოფილებამ ცემენტის ფილაქანი მოაწყო და ამით ის უსუფთაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინეთ მოისპო.

ნორმაზე მეტი ეტლების გაჩერების გამო უსუფთაობამ კვლავ იჩინა თავი და ეტლების სადგომ ადგილებში ზაფხულის ცხელ დღეებში საშიშელი სუნი ასდის.

ამ ანტისანიტარულ მდგომარეობას ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ-ტეხნიკურმა საბჭომ მიაქცია ყურადღება და გამომუშავა ღონისძიებები, რომელთა მიხედვით მიჩნეულ ადგილებში განსაზღვრულ რაოდენობის ეტლებზე მეტს არ გააჩერებენ და ეტლების სადგომ ადგილებს სისტემატიურად ყოველ დღე გარეცხენ.

* * *

დოლლაურის ველის მორწყვა

ამჟამად სწარმოებს კვლევა-ძიება დოლლაურის ველის (გორის მაზრა) მორწყვის საკითხის გამოსარკვევად. ამ ველის მოედანი, რომელიც მორწყულ უნდა იქნეს, უდრის დაახლოვებით 22 ათას დესეტინას. ამ ველის მორწყვა განზრახულია იმ მიზნით, რომ გაშენებული იქნეს ჭარხლის პლანტაციები, იმ შაქრის ქარხნისათვის ნედლი მასალის მისაწოდებლად, რომლის აგება განზრახულია სამრეწველო აღმშენებლობის 5 წლიანი გეგმის მიხედვით.

საქ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო

ცა-კის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს საგანგებო კომისია გარდაიქმნა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოთ. ამ სამმართველოს თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. ეპ. კვანტალიანი, მის მოადგილეთ კი ამხ. ბერია.

* * *

ალაზნის არხი

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით, ალაზნის არხზე მუშაობას კიდევ დასჭირდება სამი წელიწადი. არხზე მუშაობა დაიწყო 1925 წლის ივნისიდან. მისი საერთო სიგრძე 87 კილომეტრს უდრის. ამ არხით მოირწყება მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქალა, დაახლოვებით—50.000 დესეტინა. არხის სათავე იწყება თელავის ხევამდე. არხში უნდა იდგეს წყალი 2 მეტრის სიღრმეზე. ამჟამად სწარმოებს არხის გათხრა. გათხრილია 30 კილომეტრის მანძილი, საიდანაც ამოღებულია, დაახლოვებით—51.000 კუბ. საჟენის მიწა.

* * *

ზარალი

სტიქიურ უბედურებათაგან

საქართველოს ცენტ. სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით, მიმდინარე წელში სტიქიურ უბედურებისაგან (სეტყვა, გვალვა, წყალდიდობა) საქართველოში დაზარალდა: პურის ნათესი—5.067 დეს., სიმინდის—561 დეს., ბამბის—627 დეს., ბაღ-ვენახი—947,5 დეს., თამბაქო—0,8 დეს. დანგრეულია 26 საცხოვრებელი სახლი და 28 წისქვილი.

საქონლის ჭირისაგან დაიღუპა 629 მსხვილ ფეხა საქონელი, 56 წვრილ ფეხა საქონელი, 677 ფრინველი.

სტიქიურ უბედურებათა და საქონლის ჭირით გამოწვეული ზარალი მთელ საქართველოში უდრის 1.292.536 მანეთს.

* * *

ლაგოდეხის თამბაქო

მიმდინარე წელს ლაგოდეხის რაიონში თამბაქოთი დათესილი იქნა 1.600 დესეტინა. საშუალოდ თამბაქოს ყოველ მეურნეზე მოდის ერთი მეოთხედი დესეტინა. თამბაქოს მთელი პლანტაციების მხოლოდ ორი პროცენტი დამუშავებულია არტელების მიერ. დანარჩენი მეურნეები დამოუკიდებლად აწარმოებენ მეურნეობას.

ყველა პლანტატორები ჩარიცხული არიან წევრებად სასოფლო სამეურნეო ამხანაგობებში და ღებულობენ მათგან სესხს 400 მანეთის რაოდენობით თვითეულ დესეტინაზე. სესხის გასტუმრების ვადა თავდება 1927 წლის პირველ იანვარს. ამის შემდეგ თამბაქო, რომელიც ინახება საკრედიტო ამხანაგობათა საწყობებში ითვლება დაწინდრებულათ.

თამბაქოს გასაღებას მეურნეებთან შეთანხმებით აწარმოებენ საკრედიტო ამხანაგობები.

წელს თამბაქოს შეყიდვას და დამზადებას რაიონში აწარმოებენ საქართველოს თამბაქოს ტრესტი, აზერბეიჯანის თამბაქოს ტრესტი, და მოსკოვის საზოგადოება „ტაბაკ სივიე“.

15 აგვისტოდან დაიწყო თამბაქოს მცენარეებისათვის ფოთლების შეტეხა და გახმობა.

მუშა-ხელი მთელს რაიონში საკმაოდ მოიპოვება. ამ მხრივ მუშაობას არაფერი აბრკოლებს.

ქრონიკა

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

5 წლიანი საამშენებლო გეგმის შედგენა. საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ტეხნიკურ-საწარმოო განყოფილება შეუდგა ხუთწლიან საამშენებლო გეგმის შედგენას გეგმით გათვალისწინებულია მთელ რიგ საამშენებლო ხასიათის სამუშაოები.

შენობის ჩამონგრევის მიზეზების გამოსარკვევად. გუშინ, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს საწარმოო-ტეხნიკურ განყოფილებაში შესდგა ტეხნიკურ კომისიის სხდომა „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციის ახალი შენობის ერთი ნაწილის დანგრევის მიზეზების გამოსარკვევად.

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოში

გეგმის გამომუშავება. საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა მომავალი 1926—27 საოპერაციო წლის გეგმის შედგენას. გეგმაში გათვალისწინებული იქნება მთელი რიგი ახალი სამუშაოების წყალსადენის დარგში.

გამოკვლევათა საქმე. სექტემბრის თვიდან სამმართველოს განზრახვა აქვს მოახდინოს ახალციხის მაზრის გეობოტანიკური გამოკვლევა.

თბ. აღმასკომში

— **ზაჰესის მოდელი.** ქალაქის მუზეუმს დაევალა დაამზადოს ზაჰესის მოდელი მუშაობის დამთავრებამდე და მისი ამუშავების შემდეგ.

— **გაერთიანებულ ბავშთა სახლის** შესაკეთებლად გადადებულია 6.200 მან.

— **მონადირეთა კავშირის** შუამდგომლობის თანახმად, მონადირეთა კავშირის წევრებს ნება ეძლევათ ძაღლები წაიყვანონ ტრამვაის ბაქანით.

— **სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე** შეძენილ იარაღების გამოსასყიდათ გადაიდო 30.000 მან.

— **ყარაიას თემაღმასკომის** თავმჯდომარეთ ამხ. ალიევის ნაცვლად დაინიშნა ამხ. გუსეინოვი.

—**ტრამვაის ახალი რონოდები.** სექტემბრის პირველ რიცხვებში მოსკოვიდან მიღებული იქნება შეკვეთილ რონოდების ნაწილი, რიცხვი 10 რონოდა.

— **სასოფლო სამეურნეო გამოკვლევა.** სტატისტიკური სექცია შეუდგა მაზრაში სასოფლო მეურნეობის გამოკვლევას.

მიწათმოქ. სახ კომისარიატში

— **აგრო-დახმარების პუნქტები.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა თბ. მაზრის აგრონომიულ პუნქტების მუშაობის გასაცნობად მიავლინა აგრო-დახმარების ინსპექტორი.

— **მეფუტკრეობა.** კომისარიატმა ახალციხის მაზრაში მიავლინა სპეციალისტი მეფუტკრე ადგილობრივ მეფუტკრეობის გამოსაკვლევად და ხელმძღვანელობის გასაწევად.

შრომის კომისარიატში

—**მოჯამაგირეთა შრომის გამოკვლევა.** ქუთაისის და შორაპნის მაზრაში მივლენილი იქნა სასოფლო სამეურნეო შრომის ინსპექტორი მოჯამაგირეთა შრომის გამოსაკვლევად.

— **შრომის პირობების გაუმჯობესება.** შრომის კომისარიატი ამ დღეებში განიხილავს აფხაზეთის თამბაქოს პლანტაციებში მომუშავეთა შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხს.

ჯანმრთელობის საქმე

— **სალვერსანი.** ამჟამად ქალაქის აფთიაქებში და სამკურნალო დაწესებულებებში სალვერსანის (სიფილისის წინააღმდეგ საექიმო წამალია) დიდი ნაკლებობაა.

— **სოციალურ სენთან საბრძოლველად.** ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებასთან დაარსდა სანიტარულ-ეპიდემიური ნაწილი სოციალურ სნეულებებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით.

— **ჯანმრთელობის შემოწმება.** ახლო ხანში გადამდებ სნეულებებთან ბრძოლის მიზნით, გამოკვლეული იქნება პარიკმახერების ჯანმრთელობა.

— **ალბულაღის** საავადმყოფოსთან მოეწყო ვენერიულ სნეულების სამკურნალო განყოფილება.

—**ახალი საავადმყოფოები.** სართიჭალასა და თიანეთში ამ დღეებში გაიხსნება 17 საწოლიანი საავადმყოფოები.

— **კონსულტაციები.** მანგლისში, წალკაში, ალბულაღში, სართიჭალაში და მარტყოფში მოეწყო ორსულ და ბავშვიან დედათათვის რჩევისა და დახმარების მისაცემად კონსულტაციები.

სხვადასხვა

— **ჯარში გაწვეულები.** დღეს 28 აგვისტოს დანიშნულია მსროლელთა მე-6 ლეგიონზე მიწერილ მწვევანდელების გამოცხადება.

— **სესხი.** კომუნალურ ბანკს წინადადება მიეცა გაადიდოს საბინაო მშენებლობაზე გასაცემი სესხის რაოდენობა.

ხელოვნება

სამხატვრო აკადემია

— **მისაღები სტუდენტების რიცხვი.** 1926—27 სამოსწავლო წელს საკონკურსო გამოცდებით სამხატვრო აკადემიაში მისაღებ სტუდენტთა რიცხვი განსაზღვრულია 30 კაცით.

— **გამოცდები.** გამოცდები ხატვაში (ცოცხალი ფიგურა ნატურით) დაიწყება სექტემბრის 20-ს—დასრულდება 24-ს მუშაობა (დღეში სამი საათი). ხუროთმოძღვრების განყოფილებაზე შესვლის მსურველებმა დამატებითი გამოცდები უნდა ჩააბარონ მათემატიკაში (ალგებრა), გეომეტრია, ტრიგონომეტრია).

— **განცხადების მიღება.** განცხადებების მიღება აკადემიაში ახალი შესვლის შესახებ გრძელდება. 15 სექტემბრის შემდეგ განცხადებები აღარ მიიღება.

— **გამოფენა.** სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა საზაფხულო გამოფენა გაიმართება 1-ლ ოქტომბრიდან 10-მდე.

— **„გაჭირვების ტალკვესი“.** ორჯონიკიძის სახელობის კლუბში დღეს ინგლისის გაფიცულ მემაღაროელთა დახმარების ფონდის გასაძლიერებლად წარმოდგენილი იქნება „გაჭირვების ტალკვესი“.

— **მუშათა ახალ კლუბში.** დღეს, საქველმოქმედო მიზნით გაიმართება დიდი სალამო-წარმოდგენა.

— **„მგლის შვილი“.** კინო „მინიონში“ დაიწყო ახალ სურათის „მგლის შვილის“ ჩვენება.

— **„შოთა რუსთაველის ცოლი“.** ს. შანშიაშვილმა დასწერა ახალი პიესა რუსთაველის ცხოვრებიდან: „შოთა რუსთაველის ცოლი“.

— **პოეტი მოსაშვილის** ლექსების პირველი წიგნი გამოვა შემოდგომაზე.

— **„ძინა-ძაძუ“.** ამჟამად კინო „ოაზისში“ აჩვენებენ „ძინა-ძაძუ“-ს .

შემთხვევები

უბედური შემთხვევები

რკინის გზის სახელოსნოებში გუშინ, 27 აგვისტოს სახვრეტმა მანქანამ ჩაიხვია მექვაბე მუშა **იოსებ ხუროშვილი** და მძიმედ დაამავა. წინა დღით, 26 აგვისტოს, იმავე საამქროში გამოსაყრელმა იარაღმა მექვაბის თანაშემწე სურამელაშვილს გაუტეხა შუბლი. ორივენი მოთავსებულ იქნენ საავადმყოფოში.

— **ქურდობა.** 25 აგვ. მოქ. იაკობ ოგანოვს მოპარეს 700 მან. ნივთები.

— **შეპყრობა.** 25 აგვ. დააპატიმრეს ვინმე მეავანაძე, რომელმაც ბებუთოვის ქ. № 62, გაქურდა ფეხსაცმელების სახელოსნო.

— **ამავე დღეს** შეიპყრეს გიორგი ასათიანი, რომელსაც ბრალდება გორში რამდენიმე ქურდობის ჩადენა.

— **ამავე დღეს** შეიპყრეს აგებეგოვი ქურდობისათვის.

— **ამავე დღეს** შეიპყრეს ნოე ქურიძის ბინის გამქურდავი ვინმე მანუკოვი.

* * *

კახეთის აგარაკები

აგარაკი შუამთა

შუამთის აგარაკმა (თელავის მაზრა) მიმდინარე საგარაკო სეზონში დიდძალი მოაგარაკენი მიიზიდა, როგორც კახეთის დაბლობ ადგილებიდან, ისე ქალაქებიდან, მათ შორის თბილისიდანაც. წელს თელავის სამაზრო პროფბიუროს აგარაკზე ჰქონდა საკუთარი დასასვენებელი სახლი, რომელიც მოთავსებული იყო ყოფილ მონასტერში. წელს დასასვენებლად შუამთის აგარაკის დასასვენებელ სახლში დამზღვევ სალაროს ხარჯზე გაგზავნილი იყო 40 მუშა-მოსამსახურე. თელავის პროფბიურო საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წინაშე შუამდგომლობს, რომ მომავალ წლიდან შუამთის დასასვენებელი სახლი ჩარიცხულ იქნას მის უზრუნველყოფაზე მყოფ დასასვენებელ სახლთა სიაში.

შუამთის აგარაკზე სეზონი თავდება სექტემბრის დამდეგს.

ახტალა

ახტალის სამკურნალო ტალახებზე არასოდეს არ ყოფილა ამდენი ავადმყოფები, როგორც მიმდინარე სეზონში. სამკურნალოდ აგარაკზე ჩამოსულნი იყვნენ არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, არამედ აზერბეიჯანიდან და აგრეთვე სომხეთიდანაც. დიდძალი ავადმყოფების მოზღვავებამ გამოიწვია საბინაო კრიზისი. ახტალის აგარაკს ძალიან ნაკლებად მოეპოვება საგანგებოდ საგარაკო სეზონისათვის აგებული სახლები. ჩამოსულნი იძულებულნი გახდენ დაექირავებიათ გლეხების სახლები, თვით ახტალაში და ახლო-მახლო სოფლებში. წელს კურორტზე მოწვეულნი იყვნენ სპეციალისტი ექიმები, რომელნიც რჩევა-დარიგებას აძლევდენ სამკურნალოდ ჩამოსულ მოქალაქეებს. ბლომად იყვენ წელს დამზღვევ კასების ხარჯზე გამოგზავნილნი მუშა-მოსამსახურეებიც. სამკურნალო სეზონი ახტალაზე გაგრძელდება კიდევ ერთ თვეს.

იმას გარდა, რომ ავადმყოფები ტალახით მკურნალობდენ ადგილობრივ, ახტალის სამკურნალო ტალახი გაჰქონდათ სხვა ადგილებში. ახტალის ტალახით მოწყობილ იქნა კერძო ტალახის სამკურნალო.

* * *

შრატის დამზადება

ტაბახმელის საშრატე სადგურმა ივლისის თვის განმავლობაში დაამზადა საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატი 1123 ლიტრი, თბილისის ვეტ-ბაქტერიოლოგიურმა ლაბორატორიამ დაამზადა ამავე თვის განმავლობაში ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატი 21 ლიტრი, ოსიაურის ვეტ-ბაქტერიოლოგიურმა ლაბორატორიამ—ღორის ჭირის საწინააღმდეგო შრატ 43 ლიტრი.

სატრაქტორო კურსები

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ა.-წ. 1-ლ ოქტომბრიდან ხსნის სატრაქტორო კურსებს, კურსებზე მისაღებ მთხოვნელთა რიცხვი სამასს აღემატება, საქართველოს ყოველი კუთხიდან შემოდის სხვადასხვა ორგანიზაციების და დაწესებულებათა შუამდგომლობანი კურსებზე ახალგაზრდობის ჩარიცხვის შესახებ

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტროფიკაცია ქარის მამოძრავებლების საშუალებით

ყველამ იცის, რომ ქარის მამოძრავებლები უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ორთქლისა და შინაგანი წვის მამოძრავებლები. ქარის მამოძრავებლები სარგებლობენ უფასო ენერგიით, თითქმის არ მოითხოვენ მოვლას და იშვიათად იმტვრევიან.



საკავშირო აერო-ჰიდრო-დინამიური ინსტიტუტის ქარის მამოძრავებელი (6 ცხენის ძალიანი). დამზადებულია კოსტრომის ქარხანაში „მუშა-მელითონე“.

ეს გარემოება მხედველობაში მიიღეს ამერიკაში და იქ ახლა არსებობს 300 მეტი ქარხანა, სადაც წლიურათ ერთ მილიონზე მეტი ქარის მამოძრავებლები მზადდება. ამერიკის ზოგიერთ რაიონებში ფერმების უმრავლესობაში ქარის მამოძრავებლებია დადგმული. საკავშირო აერო-ჰიდრო-დინამიურ ინსტიტუტის გამოანგარიშებით და პროფ. რამზინის ცნობებით, ქარს (მსოფლიო მასშტაბით) შეუძლია თითქმის 5-ჯერ მეტი ენერგიის მოცემა, ვიდრე ნახშირს, ნავთს და ტორფს, ერთად აღებულს.

ქარის მამოძრავებლების აღმშენებლობას საბჭოთა კავშირში დღემდე დიდი ადგილი არ ეჭირა. ახლა საკავშირო აერო-ჰიდრო-დინამიურმა ინსტიტუტმა მოახერხა აგება ახალი სახის ჰაერით მამოძრავებლის, რომელთაც უსათუოდ დიდი მომავალი აქვს.

ერთი ასეთი ქარის მამოძრავებელი დადგმულია ბაქოს ნავთის სამრეწველოებზე, სადაც უკვე წელიწადი სრულდება სრულიად დაუზიანებლად მუშაობს.

ამ დღეებში კოსტრომის ქარხანაში „მუშა-მელითონე“ დაამთავრეს საკავშირო აერო-ჰიდრო-დინამიური ინსტიტუტის ახალი მამოძრავებლის აგება. ეს მამოძრავებელი დანიშნულია სარწყავი სამუშაოებისათვის (მისი საშუალებით შეიძლება 15—30 დესეტინა ნათესების მორწყვა); მაგრამ მისი გამოყენება შეიძლება აგრეთვე მანქანების მოსაყვანათ მოძრაობაში. ასეთი სახის მამოძრავებელს შეუძლია იმდენი ენერგიის მოცემა, რამდენიც საკმაო იქნება 50—75 ეზოს გასანათებლათ სოფელში. მამოძრავებელი ღირს 1500—1700 მანეთი.

ამ ქარის მამოძრავებლის გამოცდამ ცხადყო მისი მაღალი ღირსება მუშაობის დროს და ამიტომ განზრახულია მისი მასიურათ დამზადების დაწყება. ახლო ხანში შეუდგებიან ქარის მამოძრავებლების დამზადებას 1-დან 7 ნახ. ცხ. ძალოვნობის და 12-დან 120-დი ცხენის ძალოვნობის.

საკავშირო აერო-ჰიდრო-დინამიური ინსტიტუტი შეუდგა 100 ძალიანი ქარის მამოძრავებლის პროექტის შედგენას. 6 ასეთი მამოძრავებელი დადგმული იქნება ყირიმის ერთ-ერთ რაიონში და მათი საშუალებით გაანათებენ ახლობელ ქალაქებს, სოფლებს, სამრეწველო ცენტრებს. ასეთი მძლავრი დადგმულობის საშუალებით მიღებული იქნება 6.000 ცხენის ძალის ენერგია.

უახლოესი წლების განმავლობაში განზრახულია საბჭოთა კავშირის ყველა სამხრეთ-რაიონებისა და ზღვის სანაპიროების ელექტროფიკაცია ქარის მამოძრავებლების საშუალებით.

პარაშიუტი ჰეროპლანების გადასარჩენად

ლოს ანჯელში (კალიფორნია) გამოსცადეს ამერიკელ ინჟინერის მიერ გამოგონილი პარაშიუტი, რომლის დიამეტრი უდრის 50 ფუტს. პარაშიუტის დანიშნულებაა ჰეროპლანის და მფრინავების გადარჩენა ჰაერში მოტორის გაჩერების დროს. გამოცდის დროს ჰეროპლანის მოტორი გააჩერეს 2.500 ფუტის სიმაღლეზე, ჰეროპლანი უვნებლად დაეშვა პარაშიუტის საშუალებით.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია თუ არა სახლის კომენდანტის მოთხოვა?

კითხვა

ვარ მედსანშრომის კავშირის წევრი და ვმსახურობ ქალაქის პირველ საავადმყოფოში მოწყალების დად. სამი თვის წინეთ ჩემთან მოთავსეს ტუბერკულიოზით დაავადებული კავშირის წევრი ქალი, კერძო მის ბინაში მომვლელის უყოლობის გამო.

უკანასკნელმა დაჰყო საავადმყოფოში ერთ თვემდე, რის შემდეგ გამოეწერა საავადმყოფოდან და თანაც მთხოვა, რადგანაც მას მომვლელი არავინ ჰყავდა, გამოვსულიყავ მასთან ოთახში საცხოვრებლად და მომევლო მისთვის იმ პირობით, რომ თუ გადარჩებოდა ჩემს შრომას დააფასებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მისი ოთახი მე დამრჩებოდა. მეც შევასრულე მისი თხოვნა და გადმოველ მასთან საცხოვრებლად. ორ თვეზე მეტს უვლიდი მას, მხოლოდ და მხოლოდ მარტო მე. მიმდინარე წლის 23 ივლისს ის გარდაიცვალა. დღეს, სახლის (რომელიც ეკუთვნის „უქსს“) კომენდანტი მემუქრება გამოსახლებით.

გთხოვთ განმიმარტოთ, კანონიერია თუ არა მისი მოქმედება და ვის მივმართო ამ შემთხვევაში ზომებისათვის, მე ის ძველი ბინაც დავკარგე, ამდენი შრომაც და თანაც ბავშვიანათ ქუჩაში გაგდების კარზე ვარ დამდგარი. სახლის წიგნში კი ჯერ კიდევ ავადმყოფის სიცოცხლის დროსაც ვარ ჩაწერილი.

ანნა დათუნაშვილი.

პასუხი

თანახმად არსებულ საბინაო კანონმდებლობისა საბჭოთა არც ერთ მოქალაქეს არა აქვს უფლება სახლის მფლობელობასთან შეუთანხმებლად თვითნებობით ან და რომელიმე მდგმურთან ურთიერთ შეთანხმებით, დაიჭიროს ბინა.

თქვენ და გარდაცვალებული მდგმურს შორის შეთანხმება სრულებით საკმარისი არ არის იმისათვის, რომ „უქსი“ (ამ სახლის პატრონი) იძულებული გახდეს დაგტოვოთ იქ, სადაც თქვენ ამჟამად ცხოვრობთ.

ამიტომ სახ. კომენდანტის მოთხოვნა სავსებით კანონიერია. განა—შეიძლება რომელიმე მოქალაქენი სხვის საკუთრება-მფლობელობაზე სდებდენ რაიმე პირობებს თვით აღნიშნულ ფლობელობის, ან საკუთრების ფლობელის ან პატრონის გარეშე?!.

გვერგება თუ არა ბავშვის მოსავლელი ერთდროული დახმარება

კითხვა

ვარ კავშირის წევრი და დაზღვეულიც, ბავშვის დაბადებამდე ერთი თვით ადრე ვთხოვე დამზღვევ სალაროს სამშობიარო ფული, რაზედაც უარი მითხრეს. ამის შემდეგ ერთი თვე გავიდა, დავრჩი უმუშევრად და ბავშვიც გავიჩინე. წარუდგინე დამზღვევ სალაროს სათანადო საბუთები მაგრამ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს.

გთხოვთ განგვიმარტოთ, გვერგება თუ არა აღნიშნული ერთდროული დახმარება?

ალმ. კავშ. წევრი № 9015.

პასუხი

თანახმად ამ.-კავკ. შრომის სახკომატის 1925 წ. 17 ოქტომბრის დადგენილება № 71-ისა (იხ. შრომის კანონთა კოდექ. მუხ. 153 და ა.-კ. საკავშირო საბჭოს 1923 წ. 23 აგვისტოს სოც. უზრუნველყოფის შესახებ გამოცემული დეკრეტის მუხ. 4.) დაზღვეულებს უნდა მიეცეთ ერთდროული ბავშვის მოსავლელი დახმარება ერთი თვით ადრე ბავშვის დაბადებამდის. ამ დახმარების მისაღებად საჭიროა დამზღვევ სალაროს წარუდგინოს საექიმო-საკონტროლო კომისიის მოწმობა ბავშვის მოსალოდნელ დაბადების ვადის შესახებ. თუ კი ასეთი თქვენ წარუდგინეთ დამზღვევ სალაროს და მან მაინც უარი გითხრა, ეს არ არის კანონიერი. იგი უნდა მიეცა დამზღვევ სალაროს დაუყოვნებლივ (იხ. საქართველოს სოც. დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველოს ცირკულიარი № 54 1928 წ. 17 ოქტომბრიდან).

ბავშვის მოსავლელი დახმარება, როგორც დაზღვეულს და კავშირის წევრს თქვენ აუცილებლად გერგებათ.

მოთხოვნა კი ამ დახმარების მისაღებად დამზღვევ სალაროს უნდა წარედგინოს საერთო წესით, არა უგვიანეს ექვსი თვის, დღიდან ბავშვის დაბადებისა. (იხ. საკავშირო საბ. სოც. რესპ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1926 წ. 14 მაისის დადგენილების მუხ. 4—გამოქვეყ. „ზარია ვოსტოკა“-ში 1926 წ. 11 ივნისის № 1198).

თქვენ გირჩევთ სათანადო განცხადებით მიმართოთ საქართველოს რესპუბლიკის სოცდაზღვევის სამმართველოს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სავალდებულო დადგენილება

ა.-კ. საუწყებათაშორისო მეტრიულ კომისიისა

№ 3.

17 ივლისი—1926 წელი.

ს. ს. რ. კ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ა.-კ. რწმუნებულის დაწესებულებებში (ა.-კ. ფ.-ტ. სამმართველოს ოლქში) მეტრიულ სისტემით ზომა-წონის შემოღების შესახებ.

თანახმად მუხ. „3“ § 11 ა.-კ. სახკომსაბჭოს და დადგენილებისა № 53—1925 წლის 29 ოქტომბრის თარიღით ა.-კ. საუწყებათაშორისო მეტრიული კომისია ადგენს:

1) მეტრიულ სისტემით ზომა-წონის შემოღება ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამართველოში და ყველა მის ქვემდებარე დაწესებულებებში და ფ.-ტ. კანტორებში, რომლებიც აწარმოებენ მუშაობას ა.-კ. რესპუბლიკის ტერიტორიაზედ, მთავრდება 1926 წლის 1-ლ ოქტომბრს.

2) ძველი ზომების ხმარება იმ დაწესებულებებში, რომლებიც მოხსენებულია ამ დადგენილების 1-ლ მუხლში 1926 წლის 1-ლ ოქტომბრიდან აკრძალულია.

3) ამ დადგენილების 1-ლ მუხლის შესრულების მიზნით, ყველა დაწესებულებები და ფ.-ტ. კანტორები, აღნიშნულნი ამ დადგენილების 1-ლ მუხლში, ვალდებულნი არიან ზემოაღნიშნულ ვადისათვის იქონიონ მეტრიულ სისტემის სასწორები, საწონები და ყველა დანარჩენი მათთვის საჭირო საზომები, დადგენილ ზომა-წონის პალატის დაღით.

4) ამ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გატარება ეკისრება ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს, თანახმად ფოსტელსახკომატის რადიოგრამმისა № 32/215—1924 წ. 26/9 თარიღით და სახ. კავშირის დაწესებულებებში მეტრიულ სისტემით ზომა-წონის შემოღების ინსტრუქციისა. (ფოსტელსახკომატის ბიულეტენი № 37—1923 წლის ოქტომბრის თვისა, № 32/645—1923 წლის 2/11 თარიღით, ბიულეტ. № 42—1924 წ. 19 მაისის და № 31/532 ბიულეტ. 19).

5) საქართველოს ეკონომსაბჭოს რწმუნებულს ა.-კ. საუწყებათაშორისო მეტრკომისიასთან ევალება იქონიოს ზედამხედველობა ამ სავალდებულო დადგენილების შესრულებაზედ, ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს ყველა დაწესებულებებში, რომლებიც აწარმოებენ მუშაობას საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზედ.

6) აღნიშნულ სავალდებულო დადგენილების დარღვევა დაისჯება საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლით.

ს. ს. ფ. კ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარ. ა.-კ. რწმუნებულის მაგიერ **ოსეპჩუკი**.

ა.-კ. საუწყებათაშორისო მეტრკომისიის თავმჯდომარე პროფესორი **ზავრიევი**.

საქართველოს ეკონომ. საბჭოს რწმუნებული ა.-კ. მეტრკომისიასთან **ნ. პოდოლსკი**.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— 1926 წ. 28 აგვისტოს საღამოს სრულ 6 საათზე საქ. რემედასის ცეკას ბინაზე კომინტერნის ქ. № 5 (მეორე სართული) შესდგება **საქ. რემედასის ცეკას პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.**

დღის წესრიგი:

1. რემედასის თბილისის კომიტ. ანგარიში, 2. მთავარ სახელოსნოების სამშედლო ცეხის რემედასის უჯრედის მდივნის ანგარიში, 3. უჯრედების ბიუროს და სარევიზიო კომისიის წევრების გადარჩევა, 4. სამაზრო საოლქო კონფერენცია, 5. რემედასის ცეკას პლენუმი. 6 სხვადასხვა.

დასწრება ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებისა სავალდებულოა:

1. მ. ჩოდრიშვილი, ა. ჯიჯაძე, იმედაძე, მუშიშვილი, რუხაძე, ბელიაევი, ათაბეგოვი, ჯაიანი, გენიალიძე, გუდავაძე, ნაცვლიშვილი, მუშლაძე, არაზაშვილი, ქელიძე, კიზირია, ნუცუბიძე და ხომერიკი.

საქ. რემედასის ცეკა.

— ა.-წ. 5 სექტემბრის, საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი იწვევს თემკომების მდივანთა თათბირს სათემო აღმასკომების თავმჯდომარეების თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1. საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგები.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. პარტიის ამოცანები სოფლად.
4. ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.
5. ადგილობრივ ბიუჯეტის შესახებ.

— წინადადება ეძლევა ამხ. სოლომონიას ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საალრიცხვო ქვე-განყოფილებაში ამხ. კვირკველიასთან.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საალრიცხვო ქვე-განყ. მდივანი: — **ხიმონოვა**.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომის საგიტ.-საპროპ. განყოფილება იუწყება, რომ **საგიტ.-საპროპ. კოლეგიის** მორიგი სხდომა გაიმართება ორშაბათს 30 აგვისტოს, საღამოს 5½ საათზე.

საგიტ.-საპროპ. კოლეგიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის **სააგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის სხდომა** გაიმართება სამშაბათს, 31 აგვისტოს, დილის 8 საათზე ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

— საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, ა.-წ. 30 აგვისტოს, საღამოს სრულ 6 საათზე კომკავშირის სარაიონო კლუბის შენობაში (მილიუტინის და ანდრეევის ქუჩის კუთხე) გაიმართება **უჯრედთა მდივნების თათბირი რაიკომის წევრების და კანდიდატების თანდასწრებით.**

აღნიშნულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

— საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომის **უჯრედთა მდივნებს** თათბირის დადგენილების თანახმად გამოეცხადათ საყვედური აღნიშნულ თათბირზე გამოუცხადებლობისათვის შემდეგ ამხანაგებს.

უჯრედების მდივნებს: კარეტინს — ტრამ-სახელოსნოს უჯრ., გვენცაძეს — ტრამვაის მოძრაობის უჯრ., მერაბოვს — კომუნალ. მეურ. უჯ., სარქისოვს — აღმშენებელთა უჯრ., რიზინ აკოფოვს — საქ. ჰრა-კერვის მრეწ. უჯ., დარჩიევს — კინო-ფაბრიკის უჯრ., არუთინოვს — საშინ. მუშ. უჯრ., ვარნაძეს თურიკალინინის სახ. ქარხნის უჯრ., პეტროსიანს — მთავარ საავადმყ. უჯრ., იაჭკვეიშს — ცეცხლის მქრობელთა უჯრ., გენის — საბაზრო საინსპ. საწყობ. უჯრ., ჯანელიძეს — საქარ. სახელმწ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგ. უჯრ., ნაცვლიშვილს — სახელმწ. ზომა-წონის უჯრ., კირაკოსიანს — მკერავთა არტელის უჯრ.

რაიკომის წევრებს: აირაპეტოვს ბუნიატს, მაჰვიაშვილს ლადომ., ორჯონიძეს ვლად., ბეჟიაშვილს ვასილს, ნარიმანიშვილს, ეკმახრიძეს, ხარაზოვს ლეონს, ვედერნიკოვს, იეგიანს კონსტანტინს, ფანიევს ალექს. ხეჩუმოვ გიორგის, ვოზნო ილიას.

ამა წლის 26 აგვისტოს, სოფელ ბახვში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ივანე მაიზოსროს-ძე ბოლქვაძე

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, სიძე პავლე მიხეილის-ძე ნიკოლაიშვილი თავის შვილებით თენგულა, აქსენტი, სანდრო, ვალოდია, და რძლებით ოლღა და დორათი და სევერიან არსენის-ძე მეავანაძე. დაკრძალვა სოფელ ბახვში 29 აგვისტოს, დღის 2 საათზე.

3422

თავზარდაცემული მამა მოსე, მეუღლე ეკატერინე შალიკაშვილის ასული, დები გოცა და ელენე, ძმები მიხაკო და ალექსი, რძალი ნინა და დეიდა კასიანე აუწყებენ ყველა გულშემატკივართ, რომ ქ. ბათომში უდროოდ ტრაღიკულად დაიღუპა მათთვის დაუვიწყარი

ესე (ესიკა) მოსეს-ძე ზორბენაძე

მისი უკანასკნელი გამოთხოვების დღეთ დანიშნულია კვირა, 22 აგვისტო, ს. ჩიბათში (ოზურგეთის მაზრა).

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორისაგან

„კომუნისტ“-ზე და „ახალ სოფელ“-ზე პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება

შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. **ხაშურში**—განყ. გამგე **მათე გოგუაძესთან**—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე **გ. გოგელიასთან**—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისში**—განყ. გამგე **მ. ტყაბლაძესთან**—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—განყ. გამგე **ჩემიასთან**—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. **სამტრედიაში**—განყ. გამგე **ლ. გოგელიასთან**—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკში**—განყ. გამგე. **ესებუასთან**—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
7. **აბაშაში**—განყ. გამგე **მიქაძესთან**—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისათვის.
8. **ფოთში**—განყ. გამგე **მგალობლიშვილთან**—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისათ.
9. **ბათომში**—„კომუნისტი“-ს კანტორაში **გოგიშვილთან**—მთელი აჭარისტანისთვის.
10. **ოზურგეთში**—განყ. გამგე **ეპიფ. ცეცხლაძესთან**—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. **თელავში**—განყ. გამგე **რევაზოვთან**—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. **სიღნაღში**—განყ. გამგე **ა. მდივანოვთან**—სიღნაღის მაზრისათვის.
13. **ზუგდიდში**—**კილასონიასთან**.
14. **სოხუმში**—„კომუნისტი“-ს კანტორაში **ცხაკაიასთან**— მთელი აფხაზეთისათვის.
15. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე **ესტატე შიშნიაშვილთან**.

0—1

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

ტფილისის ქალაქის ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ს.ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის 28 დეკემბრის თარიღით გამოცემულ დეკრეტის № 16 მე-10 მუხლის თანახმად 1925 წლის 1-ლ ივნისისათვის

სავალო გადასახადთა შემოუტანლობის გამო, ბანკის დარბაზში, პუშკინის ქუჩაზე № 3,

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობის წესით

ამა 1926 წლის 29 სექტემბერს გასასყიდათ ყოფ. ყოფ. ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში და ტფილისის საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებული, ქალ. ტფილისში მდებარე მამულნი.

ამ პირველ საჯარო ვაჭრობის დროს გაუყიდავათ დარჩენილი მამულნი გაყიდულ იქნებიან მეორე და საბოლოო საჯარო ვაჭრობით ა. წ. 15 ოქტომბერს იმავე ბანკის ბინაზედ.

საჯარო ვაჭრობაში შესვლის მსურველმა, გარდა სავალო გადასახადთა, უნდა შემოიტანოს ბანკის სალაროში ყველა ქალაქისა, სახელმწიფო და სხვა გადასახადნი, ხოლო თავნი ვალი და ვადაგადადებული გადასახადნი შესაძლებელია მყიდველმა თავის სახელზედ გადიტანოს.

გასაყიდათ დანიშნულ მამულთა სია, დაწვრილებითი ცნობებით, გამოკრული იქნება, როგორც თვით ბანკის დარბაზში, აგრეთვე სხვა თვალსაჩინო ადგილებში.

ნ. 1711

გაზეთ „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს და „ახალი სოფელი“-ს

მთავარი კანტორები

ამით აცხადებენ, რომ ქალ. ზუგდიდსა და მის მაზრაში რწმუნებულათ ამა აგვისტოს 27-დან დანიშნულია

კონსტანტინე კილასონია

რაც შეეხება ნესტორ პავლეს-ძე როგავას (გლეხკომი), იგი მოხსნილია რწმუნებულობიდან და მასთან დადებული ხელშეკრულობა გაუქმებულია.

„კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს და „ახალი სოფელი“-ს
უფ. 2—1. მთავარი კანტორები.

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ნ. 1613 0—17

დღეს, მსოფლიო შედევრის
„მანდრენ“-ის
მე-3-ე და მე-4-ე სერია
არაჩვეულებრივი წარმატების გამო გაგრძელებულია ჩვენება სურათის
„დაბრკოლებათა-წინააღმდეგ“
ანონსი: შემდეგი პროგრამა
„დოროთი ვერნონ“
მერი პიკფორდის მონაწილეობით.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

ა. წ. აგვისტოს 30-ს დილის 9 საათზე, ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყ. მიერ

მოწვეულია

მაზრის ქალთა შორის მომუშავე განყოფილებების გამგეების მორიგი თათბირი

ნ. 1702 3—1

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.
25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89
25—

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ცეების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისი. 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
იბეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი
ბ-ტ ი. მირიანაშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.
ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74. მე-6 საბჭოთა (ყ. ვაგზლისა) აფთიაქის ახლოს. 25—1

წყლებით სამკურნალო
(ხანინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდი.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმ-სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ნ. 1650

დაიკარგა საბინაო დავთარი ნიკო მეშველდიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3425

დაიკარგა საბინაო დავთარი საერთო № 10531, განყოფ. № 921, ესტატე ნარგიზოვის სახელზე, ჩ. გ. 3415

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 2961, მიხეილ ჩუტკერაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3417

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 143, კავშირის წიგნაკი № 13505, კომკავშირის წიგნაკი შაქრო ქაქალოვის სახელზე, ჩ. გ. 3419

დაიკარგა პასპორტი № 1654, სამსონ ესტატეს-ძე ნოზაძის სახელზე, ჩ. გ. 3418

დაიკარგა პირადობის მოწმობა ალექსანდრე გრიგოლის-ძე ელბანდაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3423

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა ნოე ჭანკალეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3424

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი პავლე ერეკლეს-ძე ბურჯანაძის სახელზე, ჩ. გ. 34 0

დაიკარგა საკანდიდატო პარტ. მანდატი № 10127, რემედასის წიგნაკი № 5619241, გიგო მაისურაძის სახელზე, ჩ. გ. 3421

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68